# საერთო გაზეთი

№13 (366) • 13 აპრილი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.




**ირაკლი ტრიპოლსკი:**

## მთის კანონის მიღება ეს არის ისტორიული მოვლენა, რომელიც მთლიანად შეცვლის საქართველოს აწმყოსა და მომავალს

**კობა არაბული:**

## მთის გადარჩენა მხოლოდ საგადასახადო შეღავათებით არ მოხდება. ის მორალი და ცხოვრების წესი უნდა დავიბრუნოთ, ჩვენს წინაპრებს რომ ჰქონდათ





**გოგი თოფაძე:**

## კოალიციაში განხეთქილებას ზოგიერთები მე კი მაბრალებდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, შექმნილი ვითარება ლოგიკური დასასრულია იმისა, რაც 2012 წელს დაიწყო...



„ნაცები“ ისევ გვცემენ და სანამ „დუბინკებით“ გაუპატიურებაზე არ გადასულან, იქნებ ვინმემ აღკვეთოს ამათი თავგასულობა?

## „დღეს საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი რომ რუსეთთანაც აღადგინოს ურთიერთობები და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებიც წარმატებით გადაჭრას“



ექსკლუზიური ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „ინფოროს“-ის ხელმძღვანელთან ბატონ **დენის ტიურინთან**

**პეტრე ქორჩაკიძე:**

## იესო ქრისტემ უკანასკნელი სიტყვები წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა?



ექსკლუზიური ინტერვიუ 1992 წელს ამოხოცილი თორაძეების ოჯახის ცოცხლად გადარჩენილ წევრთან ქალბატონ თამარ თორაძესთან







## თამარ თორაძე: ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი – მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც 23 წლის წინათ ხუთი ძმა და დედ-მამა ერთ დღეში მოიკლეს



**ვახტანგ ხარჩილავა**

# დიდი მამათმავლის, ლეიბას, პოლიტიკური ნაბიჭვრები

## „ამ ფირების ნაწილმა შეიძლება ახლა კი არა 20–30 წლის შემდეგაც ამოჰყოს თავი და რომელიმე ახალგაზრდა ქართველმა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები მეორე ქართველს ცხვირწინ აუფრიალოს: ნახე, ბაბუაჩემი რას უშვებოდა შენს პოლიტიკოს ბებიასო“

ინგა გრიგოლია სადაც მიდის, თან „რუსთავი-2“ მიაქვს – „იმედში“ წავიდა, თან „რუსთავი-2“ წაიყოლა, „TV-პირველში“ გადმოვიდა – „რუსთავი-2“ გადმოიყოლა, სხვაგან წავა და „რუსთავი-2“-ს იქაც თან წაიღებს.

„რუსთავი-2“ ქ-ნი ინგას მარადიული მზითევია და ეს მზითევი მთელი თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის ბოლომდე თან უნდა ათრიოს.

„რუსთავი-2“-ის სკოლადამთავრებული გრიგოლია შემოქმედებითად ვერ გაიზარდა და ვერა და ვერ გასცდა იმ ჩარჩოებს, რომელიც მშობლიურ სასწავლებელში მოუზომეს – იყოს მუდმივად აგრესიული, იყოს მუდმივად დესტრუქციული – გახლიჩოს, დაანგრიოს, დააპირისპიროს საზოგადოება და ეს ყველაფერი კარგად შენიღბული ფარისევლობის და დემაგოგიის ფონზე აკეთოს და აკეთოს ისე, რომ ობიექტური და მიუკერძოებელი ჟურნალისტის იმიჯი მოირგოს, თუმცა ამ ობიექტური და მიუკერძოებელი ჟურნალისტის მიერ ხმაურით, ყვირილით, თვალების ბრიალით წაყვანილ გადაცემას რომ გააანალიზებ, ადვილად მიხვდები, რომ ქალბატონი ინგა ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს.

ამ მიზნისთვის გრიგოლიას არც გასული კვირის პარასკევის დეს ამ ფირების ტირაჟირებასთან.

საქმე ის არის, რომ ამ ფაილების ასლები, ალბათ, ათიათასობით და ასიათასობით, უკონტროლოდ არის მომოფანტული არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ვინ, როდის და სად ატვრითავს მათ ინტერნეტში, არავინ იცის.

მეტსაც გეტყვით, ამ ფირების ნაწილმა შეიძლება ახლა კი არა 20-30-40 წლის შემდეგაც ამოჰყოს თავი და რომელიმე ახალგაზრდა ქართველმა მეორე ქართველი დააშანტაჟოს: აი, ნახე, ბაბუაჩემი რას უშვებოდა შენს პოლიტიკოს ბებიას... ამას ახლა მთელ ქვეყანას მოვდებ, თუ ჩემს ყველა სურვილს არ შეასრულებო.



„ნაცმოძრაობამ“ ამ ფარული ჩანაწერების დამზადებით საუკუნის დანაშაული ჩაიდინა, რომელიც მთელს თაობებს გაჰყვება სირცხვილად და თავის მოჭრად.

ეს არის უმძიმესი სისტემური დანაშაული, რომელშიც ჩართული იყო „ნაცმოძრაობის“ მთელი სახელმწიფო მანქანა, ამხანაგი სააკაშვილის, ამხანაგი ადეიშვილის, ამხანაგი მერაბიშვილის მეთაურობით, ხოლო ლელუაშვილი და სხვები მათი ბრძანების შემსრულებელი პაიკები იყვნენ.

**ვაჟა ლელუაშვილს და კიდევ სხვა ლელუაშვილებს აქვთ უნიკალური შანსი, ქართველ ხალხს გულწრფელად და გულახდილად მოუთხრონ, თუ რა უსასტიკეს და ყოვლად უზნეო, ანტიადამიანურ ხელისუფლებასთან გვქონდა საქმე „ნაცმოძრაობის“ სახით.**

**დიახ, მათ აქვთ უნიკალური შანსი, გათავისუფლდნენ უმძიმესი ცოდვისგან და დამნაშავეებიდან გმირებად იქცნენ,** რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ ხმას ჩააკმენდინებენ იმ უტიფრებს, იმ ფარისევლებს, რომლებიც ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს, ბედავენ და ისევ ხელისუფლებაში მობრუნებაზე საუბრობენ.

**როგორ უნდა დაბრუნდეთ თქვენ ხელისუფლებაში, „ნაციონალებო“? ქართველი ხალხი თქვენ არჩევნებში ხმას არ მოგცემთ და სხვანაირად როგორ უნდა დაბრუნდეთ? ტანკებით, ავტომატებით, ჰაუბიცებით აპირებთ დაბრუნებას?**

როგორც ჩანს, არც უმაგისობაა და გრიგოლიები, გაბუნიები, კვესიტაძეები და სხვა ე. წ. ჟურნალისტები, რომლებიც ღიად და ფარულად „ნაცმოძრაობის“ გათეთრება-გაკეთილშობილებას ცდილობენ თავიანთი დემაგოგიური გადაცემებით, სინამდვილეში „ქართული მაიდნის“ იდეოლოგიურად შემზადებას ემსახურებიან.

ეს იმდენად ნათელი და თვალშისაცემია, მიკვირს, რატომ რჩება სათანადო სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების მიღმა ეს ყველაფერი?

ისიც მიკვირს, საიდან და ვისგან ფინანსდებიან ბოლოხანს სოკოებივით მომრავლებული ეს ტელეარხები, საინფორმაციო სააგენტოები და საიტები, სქელტანიანი გაზეთები, რომლებიც ან ღიად ებრძვიან ამ ხელისუფლებას, ან „დვურუშნიკობენ“ და ორმაგ თამაშს ეწევიან – ცოტას აქეთ, „ქართული ოცნებისკენ“ გადმოისვრიან მოწყალე ღიმილს და იმავე დროს „ნაცმოძრაობას“ ემსახურებიან მთელი არსებით, მთელი თავიანთი შესაძლებლობებით.

ეს ე. წ. ჟურნალისტები, არასამთავრობოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ყველანი იგივენი არიან, რაც მათი ბელადი სააკაშვილია და ყველას ერთი და იგივე კლინიკაში, ერთი და იგივე ქირურგების მიერ აქვთ გაკეთებული შუბლის ძარღვის „ამპუტაცია“.







ამიტომაც არიან ერთნაირად უტიფრები, ერთნაირად უსირცხვილოები, ერთნაირად უსინდისოები, ერთნაირად არაკაცები, ერთნაირად არაქალები, ვიღაცის მიერ თითქოს ერთნაირად და ერთიდაიგივე ტექნოლოგიით დაზომბირებულები.

როგორც ცოტნე გამსახურდიამ აღნიშნა: „მხოლოდ საქართველოში: მინისტრი პოლიტიკოსი ახერხებს, ბედავს, რომ მრუშობა და ღალატი ზოგადეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მიზნებით და ამოცანებით „გააპრავოს“. ამავე დროს, ბევრი ილაპარაკოს ოჯახზე, შვილებზე, პატიოსნებაზე“.

ესენი, ეს შუბლისძარღვგაწყვეტილი ზომბები, ახალი „ზნეობის“, ახალი „ფასეულობების“, ახალი „რელიგიის“ დამკვიდრებას ცდილობენ საქართველოში.

ეს სექტაა, ქართულად მოლაპარაკე ხლისტების სექტა, როგორც ადრე ვწერდი, ლეიბა ბრონშტეინის (ტროცკის) შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც იგივეს ქადაგებენ, რასაც მათი დიდი პაპა, ლეიბა ქადაგებდა: ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კომუნები, სადაც ყველა ცოლი ყველას ცოლი და ყველა ქმარი ყველას ქმარი იქნებაო.

გასული საუკუნის 30-იან წლებში რამდენიმე ასეთი კომუნა მართლაც დაარსდა, თუმცა სტალინმა ეს კომუნებიც და მისი დამფუძნებლებიც მალე ააორთქლა.

ჩვენ პროდასავლური ორიენტაციის ხალხი ვართ, ევროპული ღირებულებების ერთგული ადამიანები ვართო – გაჰყვირიან ეს უბადრუკი არსებები.

არავითარი პროდასავლელები თქვენ არ ხართ, არავითარი ევროპელები თქვენ არ ხართ, თქვენ ლეიბა ბრონშტეინის კომკავშირლები, მისი იდეოლოგიური ნაბიჭვრები ხართ და ისევ იმ კომუნის აშენებას ცდილობთ, რომლის აშენებაც დიდმა მამათმავალმა, ლეიბამ, ვერ მოასწრო...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის პაღაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ნაცები“ ისევ გვცემენ და სანამ „დუბინკებით“ გაუპატიურებაზე არ გადასულან, იქნებ ვინმემ აღკვეთოს ამათი თავგასულობა?

ჟურნალისტ ზაზა დავითაიას სასამართლო პროცესი, რომელიც საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა მასზე ჯგუფური თავდასხმისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტზე, დასრულდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო – სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ „თავისუფალი ზონის“ პროვოცირებით კვლავ ხელჩართული ჩხუბი ატყდა.

საკვირველი ამბების მომსწრენი ვართ – ვინც დასაკავებელია თუ ყურის ასაწევი, იქით გვცემს, გვირტყამს და კიდევ დაზარალებულები არიან დამნაშავეები?

გასაოცარი ამბავია – დამნაშავე რეჟიმის „თავები“, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიერ კანონისა და კანონიერების დაცვის შემთხვევაში ნარზე უნდა გორავდნენ, იქით ითხოვენ ვიღაცების თავებს და პარალელურად თავზე გვახურავენ კეთილების უკანალს...

ეს კიდევ არაფერი – იქადნებიან კიდეც, მოვა ოქტომბერი და ისევ ჩვენ რომ მოვალთ, პასუხს აგებთ ყველაფერზეო.

**ზაზა დავითაია**, ამ შემთხვევაში კრებსითი სახელი უნდა იყოს ჟურნალისტიკისა; კრებსითი სახელი ყველა ფიზიკურად თუ სიტყვიერად შეურაცხოფილი ადამიანისა; კრებსითი სახელი საქართველოს მოქალაქისა, რომელიც თავდასხმის მსვერპლი იყო, არის და შესაძლოა გახდეს ნებისმიერ მოულოდნელ დროს, მაგრამ არა, ცნობილ მიზეზთა გამო ეს არ აინტერესებს არც სახალხო დამცველს, არც არასამთავრობო ორგანიზაციებს, არც – ზოგადად ადამიანის უფლებადამცველებს...

მართლა და მართლა, აღარ კმარა?

**დავით ჟღენტი** („ქართული მისია“): – „სასამართლო პროცესი რომ დამთავრდა, წამოვედით და პირველი მე დამარტყეს. კადრებში ჩანს ვინც დამარტყა. კორიდორში ვიყავით და რომ წამოვედით, მაგათი მეთოდია, დაუწყეს ზაზა დავითაიას ყვირილი, ფსბ ხარ, ესა ხარ, ისა ხარ. ჩვენს შორის მანდატურები იყვნენ ჩამდგარი, გვაწვებოდნენ და გავყავდით. გაიწია ამ დროს მანდატური და მის ზურგსუკნიდან მომხვდა თავში. ეს ხელი არ იყო. მეგონა თავი გამიტყდა, ხელით მოვისინჯე, სისხლს ველოდი. ობიექტურობა თუ აინტერესებთ, იმ კორიდორში თვალია დამონტაჟებული და ამოიღონ ჩანაწერი.

**მარიამ მინდორაძე** („თავისუფალი თაობა“): – „თავისუფალი ზონის“ წევრი რუსკა მჭედლიძე ტვინის სერყევის მიღებით მემუქრებოდა, დიდი ხანია გაგიარა ტვინის შერყევამო? მემუქრები-თქო? ისეთ ტვინის შერყევას მიგაღებინებ, ცხოვრების ბოლომდე გაგყვება-მეთქი და ხელი ამიწია დასარტყმელად. რომ გავუკავე ხელი, ამის გამო წამოვიდა ჩემი მისამართით საშინელი ტექსტით გინება და პასუხი რომ დავუბრუნე, ამ დროს შემომესია 4-5 პატრული და დაიწყეს ჩემი დაკავება, რაზეც წინააღმდეგობა გავუწიე, მე კი არ უნდა მაკავებდეთ, ვინც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა-თქო. არ მივყვებოდი რომ დამაკავეს, ამიხსენით, რისთვის მაკავებთ, სანამ არ ამიხსნით, ძირს დავჯდები-თქო. წინა აქციის შემდეგ, რაც პატრულმა მცემა, თან ისე ველარ მექცეოდნენ, ეტყობა, შიში აქვთ, რამე არ ვატკინოთ, ჩვენც არ გვიჩივლოსო. რუსკა მჭედლიძესთან ერთად იყო მარიამ ბაშარული, რომელიც ამ ყველაფერს იღებდა და თავიანთ გვერდზე მხოლოდ ჩემი პასუხი დადო, რომ თურმე მე მკვდარ დედას ვუგინებ. დაკავების ოქმში საზოგადოებრივ ადგილას გინება და დაუმორჩილებლობა მიწერია 166 და 173 მუხლები. გამომიშვეს ხელწერილით, ასევე, ლადო სადღობელაშვილი და გიორგი ბაბუხადია. Gიორგი ონიანი იმავე დღეს შსს-სთან მომხდარ ჩხუბზეც დააკავეს, წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს 1 ღამით და სასამართლომ 250-ლარიანი ჯარიმით გაათავისუფლა. გიორგი მუხიგულაშვილი და ნაუმი გაფრინდაშვილი 150-ლარიანი ჯარიმით გამოუშვეს და ზურა ხალხელაურიც 166-173 მუხლით დააკავეს. ყველას ორი მუხლი წაგვიყენეს, რაც სპეციალურად იყო გაკეთებული, ხოლო „ზონის“ წევრებს მხოლოდ ერთი მუხლი.



**რამაზ გაგნიძე** (პოლიტრეპრესირებული, „ქართული მისია“): – „სასაცილოა, როცა „ნაციონალი“ და „თავისუფალი ზონის წევრი“, რომელიც ემსახურებოდა ადამიანების ხოცვა-ჟლეტას, წამებას და მის გაუბედურებას, მე დამიძახებს ერისა და ქვეყნის მოღალატეს. მე ასეთი რამ არ მეკადრება, მაგრამ სამწუხაროდ, მაკადრეს. ეზოში რომ გადავინაცვლეთ, მე ცოტა განზე ვიდექი იმ დროს, როცა გინება და დაპირისპირება ატყდა. ვიღაც გოგო მოვიდა, არც ვიცი ვინ არის და დაიწყო ისეთი უშვერი სიტყვებით გინება, არ გავიმეორებ. მომცვივდნენ პოლიციელები, წამიყვანეს სამინისტროში და იქ გავიგე რომ ვიღაცის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და წინააღმდეგობის გაწევისთვის დავუკავებივარ.

**ტრისტან ჩითელაშვილი:** – „არც ერთ ქვეყანაში ასეთი რაღაც არ ხდება – ორგანიზებულ პირთა ჯგუფი თავს დაესხა ჟურნალისტს, ზაზა დავითაიას და მიაყენეს მძიმე ფორმის ფიზიკური შეურაცხყოფა. ცნობილია, რომ ესენი იყვნენ „თავისუფალი ზონის“ ზონდერ-ჯგუფები. დამთავრდა სასამართლო პროცესი და პროვოკაციები ატყდა შენობაშივე, გვიწოდებდნენ მოღალატეებს, პუტინის მონას, ფსბ-ს აგენტს და ა.შ მანდატურს კატეგორიულად მივუთითე, ხომ ხედავთ რას შვრებიან, მიხედეთ-თქო და პასუხად მომიგო „ჩვენ მაგათ ვაკონტროლებთ!“ – აკონტროლებდნენ კი არა, არ აკონტროლებდნენ, არ უნდოდათ გაკონტროლება. გამოვდიოდი სასამართლოს შენობიდან ქალი რომ მომვარდა, შენი პუტინის აგენტოოო. გადი ქალბატონო, გამერიდე ახლა-თქო და ეს კი მოვიშორე. კადრებში ნახავდით, ახლა გარეთ მომაფრინდა ქალი, მისი ჭკუით სახის დაპორჭყვნა უნდოდა ალბათ. იმათ ჯერ ქალები გამოუშვეს წინ, ეტყობა, გეგმა ჰქონდათ რომ წამოვგებოდით პროვოკაციაზე და ქალებისთვის მიგვეყენებინა შეურაცხყოფა სალაპარაკო რომ ჰქონოდათ მერე. ყაჩაღებს როგორ მივაყენებ შეურაცხყოფას, ესენი არიან ქათამთა და ძუკნებთა გაერთიანება. 20-ლარიანებიც აღარ არიან – აქამდე დღეში უხდიდნენ 20 ლარს, ახლა თვეში უხდიან... „თავისუფალი ზონა“ არის კრიმინალური ორგანიზაცია!



ქვეყანამ თითქოს თვალში გამოიხედა, მხოლოდ ნაგავი დარჩა გასატანი და ამ ნაგავს რომ კოჰაბიტაცია გამოუცხადეს, იმის ბრალი რაც ხდება ყველგან და ყველაფერში, ყველა სფეროში.

**ზვიად ტომარაძე** (დემოგრაფიული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი): – „სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლოს შენობიდან გარეთ გავდიოდი. ისე მოხდა, რომ გასვლისას შევყოვნდი. ზაზა დავითაიას მხარდასაჭერად მოსული მეგობრები უკვე გარეთ იყვნენ. ჩემს გვერდზე მანდატურები იდგნენ, უკან – „თავისუფალი ზონის“ წევრები. ერთმა მათგანმა ძალიან უხეშად მომმართა. მარტივი პროვოკაცია იყო, თუმცა მე ამ პროვოკაციაზე წამოვეგე... იმ წამსვე ფიზიკური შეურაცხყოფის ბრალდებით დამაკავეს და 5-საათიანი პატიმრობის შემდეგ 150-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გამათავისუფლეს. ჩემთან ერთად დაკავებული იყო ნიკოლოზ დარსაველიძე და ნაუმი გაფრინდაშვილი, რომლებსაც ასევე, 150-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრათ. პირადად ჩემს მიმართ მანდატურების მხრიდან მიკერძოება არ მიგრძვნია, თუმცა კადრები როდესაც ვნახე, როგორ დააკავეს რამაზ გაგნიძე სრულიად უკანონოდ, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ და „თავისუფალი ზონა“ ამდენს ვერ უნდა ბედავდეს, მაგრამ სანამ სამართალი არ აღსდგება, ქვეყანაში წესრიგი არ იქნება!“

**გიორგი ჩხეიძე**





# მთის კანონის მიღება ეს არის ისტორიული მოვლენა, რომელიც მთლიანად შეცვლის საქართველოს აწმყოსა და მომავალს

***ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ ირაკლი ტრიპოლსკისთან.***

**– ბატონო ირაკლი, როგორც ცნობილია, ე. წ. მთის კანონის ამოქმედება 2016 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. რა შეღავათებს, პრივილეგიებსა და დახმარებას გულისხმობს კანონი საქართველოს მთისთვის და იქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის?**

– დაახლოებით 20 წელიწადი ელოდებოდა საქართველოს მოსახლეობა მთის კანონს და ბოლოს, 2015 წლის 16 ივლისს, პარლამენტმა მიიღო ეს კანონი.

ზოგიერთს ჰგონია, რადგან კანონი უკვე მივიღეთ, მთაში ყველა პრობლემა მოიხსნება და ყველა ხარვეზი გამოსწორდება, რაც წლების განმავლობაში საქართველოს მთაში დაგროვდა, თუმცა ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ მთას მხოლოდ კანონის მიღება უშველის.

მთის კანონის მიღება, შეიძლება ითქვას, წინ გადადგმული ერთი ნაბიჯია მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეს არის საწყისი, რომელიც გაგრძელებას საჭიროებს.

დიდი ხანი არ არის, რაც მთის განვითარების ეროვნული საბჭო შეიქმნა. სადაც თითქმის ყველა მინისტრი შევიდა.

ევროსაბჭოსა და ევროსტრუქტურებისგანაც გვქონდა რეკომენდაციები და ჩვენც ვფიქრობდით, რომ მთის პრობლემებს ვერ გაუმკლავდებოდა მხოლოდ ერთი სამინისტრო. ბოლოს შევქმენით ის, რომ თვით პრემიერ-მინისტრის, ასე ვთქვათ, მეთვალყურეობის ქვეშ მოვაქციეთ მთის საკითხი. ამას გარდა, საბჭოში რამდენიმე პარლამენტარიც ვართ, გუბერნატორები და სხვა პასუხისმგებელი პირებიც. საბჭოში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებიც არიან.

წლეულს შეიქმნა საქართველოს მთიანეთის 20 მლნ-იანი ფონდი. რა თქმა უნდა, ეს თანხა არ არის საკმარისი, თუმცა პირველი ნაბიჯისთვის არც ისე ცუდია და საერთოდ, სასიხარულოა, რომ გადაიდგა ნაბიჯი ამ მიმართულებით.

**– თქვენი აზრით, რა არის ყველაზე პრიორიტეტული დღეს საქართველოს მთისთვის?**

– დავანებოთ ჯერ თავი პრიორიტეტებს. 20 მლნ-ს რაციონალურად დახარჯვაზე ვსაუბრობთ და გადაწყდა, რომ ეს თანხა უნდა მივმართოთ ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტების გვერდის ავლით, სხვა აუცილებელი პროექტებისთვის.

თვით მთის კანონი სამ კრიტერიუმს განსაზღვრავს:

მაღალმთიანი დასახლების სტატუსთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას;

ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისთვის სტატუსის მინიჭებას;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური და საგადასახადო შეღავათების მიღებას.

ამ კანონის მეორე მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს ისტორიული კუთხეები, მიუხედავად ჰიბსომეტრიული სიმაღლეებისა, მთიულეთი, გუდამაყარი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და ა.შ. 12 კუთხე, თავისთავად მოხვდება მთის კანონის მოქმედების არეალში.

კანონის შემუშავებისას დისკუსიების პერიოდში მე გახლდით ერთ-ერთი, ვინც წინააღმდეგი ვიყავი მთაში მხოლოდ გზის გაყვანის საკითხის მოგვარებით. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ გზასთან ერთად სხვა კომუნიკაციებიც აუცილებელია.

გზა მხოლოდ იმისთვის არ უნდა გაკეთდეს, რომ ვინმე მთაში კომფორტულად ავიდეს, იქეიფოს და უკან ისევ კომფორტულად დაბრუნდეს. თუ გზა კეთდება, სკოლა ან რაიმე საწარმო შენდება, ამას რაღაც სხვა კიდევ უნდა მოჰყვეს.

მით უფრო, რომ ამ კანონის შესაბამისად, მთაში გაშლილი ყოველგვარი საქმიანობა და ახლადშექმნილი საწარმო 10 წლის ვადით ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდება.

უკვე ამოქმედდა საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში

შემოღებული იქნა „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი“.

ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან.

მეწარმე პირი მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით გათავისუფლდა მოგებისა და ქონების გადასახადებისგან, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული პირობებით.

**– სოციალური სახის შეღავათებიც არის, რამდენადაც ვიცი.**

– იმის გარდა, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი, რომელიც, როგორც გითხარით, განისაზღვრება 20 მილიონი ლარის ოდენობით, სოციალური შეღავათების დასაფინანსებლადაც გასცემს 40 მილიონ ლარს, 2017 და შემდგომ წლებში, წინასწარი პროგნოზით, 60, 70, 100 მილიონ ლარს.

**– ვთქვათ, ადამიანს, რომელსაც არასდროს უცხოვრია მთაში და ახლა სურს იქ დასახლდეს, აიშენოს სახლი და მუდმივად მთაში დარჩეს, მისთვის რაიმე ტიპის შეღავათი ან პრივილეგია თუ დაწესდება?**

– მაგალითისთვის გეტყვით, მლეთაში ადრე, თურმე, ბუთხუზებს უცხოვრიათ და ახლა თბილისში მცხოვრებ 14 ოჯახს სურს მლეთაში დაბრუნება.

ამ საკითხზე მე ვკითხე ქალბატონ იუსტიციის მინისტრს და მივიღეთ პასუხი, რომ ყველანაირი სახის შეღავათი იქნება.



მაგრამ, მიგიხვდით, თქვენ სხვა კონტექსტით მკითხეთ და გიპასუხებთ: – თუ თქვენ წახვალთ მთაში, მიიღებთ ყველა შეღავათს, რაც იქ მცხოვრებლებისთვის არის გათვალისწინებული.

მოდით, ასე ვთქვათ: ვინც სოფელში ცხოვრობდა თქვენს ჩასვლამდე, თქვენ რომ პრივილეგიას ითხოვთ, იმან რა დააშავა, რადგან სოფელში ცხოვრობდა, იქ ჩასულზე ნაკლები შეღავათები უნდა მიიღოს?

მთის კანონის მიხედვით, თქვენც და იქ მაცხოვრებლებსაც ერთნაირად დაგეხმარებათ სახელმწიფო.

ხელისუფლებამ მოსვლიდან ორ თუ სამ თვეში დაიწყო ამ თემებზე მსჯელობა და მუშაობა. მართალია, გაიწელა ეს საკითხი, მაგრამ, მინდა იცოდეთ, საკმაოდ რთულ თემებზეა საუბარი. ხევსურეთში, შატილში არის მთები, რომელთაგან ერთი ჩრდილიანია, მეორე – მზიანი. ჯერ მიწები დაურეგისტრირებელია, ამიტომ გასარკვევია, ერთ წელიწადს მზიან მხარეს რომელი გვარი დაამუშავებს, რომ მომდევნო წელს მეორე გვარმა მიიღოს მოსავალი.

ეს ადრე წილისყრით იყო. ამიტომ სახელმწიფო ამის რეგულაციას ვერ მოახდენს.

მთასთან დაკავშირებით სხვა გეგმებიც გვაქვს. ჯერ არ მითქვამს და ახლა თქვენთან ვიტყვი – მთის რეგიონებში კოოპერაციული გაერთიანებების დანერგვას ვაპირებთ და ამაზე უკვე სერიოზულად ვმუშაობთ.

ჩვენს მენტალიტეტში ჩარჩენილია, რომ კოოპერაციული გაერთიანება კოლმეურნეობას ნიშნავს, არადა, ასე არ არის.

ხელისუფლებამაც დაინახა უკვე, რომ თუ კოოპერაციისკენ არ წავედით, არაფერი არ გამოვა.

მარტივად აგხსნი: ვთქვათ, მოქალაქეს აქვს დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც გააშენა ვენახი, მთის კანონთან ერთად, როცა კოოპერაციულ მოძრაობაზე მიდის საუბრები, გასათვალისწინებელია, რომ პირველად საქონელს, მაგალითად, ყურძენს, როცა გლეხი ჩააბარებს ქარხანას, მთავრდება მთელი პროცესი, სინამდვილეში ასე არ უნდა იყოს. მაგალითად, იტალია 5 მლრდ ევროს რძეს აწარმოებს წელიწადში და ყიდის 21 მლრდ-ის რძის ნაწარმს. იგივეს თქმა მინდა ჩვენს მევენახეზეც. მიწაც და ყურძენიც, ფაქტობრივად, მისი აღარ არის, რადგან იქედან შემოსულ მოგებას ის ვერ სარგებლობს. კოოპერაციული ტიპის უნდა იყოს ეს ურთიერთობები – ის ღვინის ქარხანაც გლეხის უნდა იყოს და მოგებაც თანაბრად უნდა გადანაწილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მიწაც ღვინის ქარხნის მეპატრონის ყოფილა, რომელიც ამუშავებს გლეხს და 1 ლარზე მეტს არ აძლევს შემდეგ მის მიერ მოწეულ პროდუქციაში.

მიწის რეგისტრაციაზეც უზარმაზარი ფულია გამოყოფილი.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თავადაც ნახონ, რამდენი იყო გამოყოფილი და რა გააკეთეს და რა დაარეგისტრირეს.





მინდა გითხრათ: ახლა მიმდინარეობს ქვეყნის სივრცითი დაგეგმარება. საქმეს კარგი პირი უჩანს, უახლოეს პერიოდში ეს პროცესიც დამთავრდება.

თუ ქვეყნის სივრცითი მოწყობის საკითხი არ მოვაგვარეთ, შეუძლებელი გახდება სათემო მფლობელობაში მიწის გადაცემა.

ზუსტად გუშინ შევხვდი მებაღეობის ასოციაციის ხელმძღვანელს. სახლები აქვთ აშენებული, ბაღები, მეურნეობა, მაგრამ არ ურეგისტრირებენ 100-120000 ადამიანი იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს, რომ, ეგებ, რაიმე მოხდეს და დაურეგისტრირდეთ თავიანთი ნაშრომი ამ ადამიანებს.

საბედნიეროდ, უნდა გითხრათ, რომ მებაღეების საქმე დაიძრა, ყველა მებაღეს დაუკანონდება განაშენიანებული მიწა და მიეცემათ სოფლის მაცხოვრებლის სტატუსი.



მე, როგორც დეპუტატი, შესაძლებლობებში შეუზღუდავი არა ვარ, მაგრამ ვცდილობ, აი, ასეთ საქმეებს მხარი დავუჭირო და გვერდით დავუდგე ადამიანებს.

ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ საქმეები კეთდება ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ, მაჟორიტარები, ვხვდებით ხალხს, ხელისუფლება ხშირად ვერ იცლის მათთან შესახვედრად თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მშვენივრად ვიცით, მოსახლეობის პრობლემები.

მეც მსაყვედურობენ ხშირად, 250 სოფელში სათითაოდ რატომ არ ჩამოდისო. ბოლოს და ბოლოს, მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, თუ ყოველდღე სოფლებში ვიარე, საქმე როგორ გავაკეთოო.

— **მოსახლეობას სურს, გითხრან თავიანთი გასაჭირი.**

— ყველაფერი ვიცი.

არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ჩემს ამომრჩეველს დაერეკა და მე არ მეპასუხა.

— **პიარზე რას ფიქრობთ, ბატონო ირაკლი, „ქართული ოცნება" მედიასთან ურთიერთობაში არაა აქტიური წინა რეჟიმისგან განსხვავებით, რომლებსაც საკუთარი ჯიბის მედიასაშუალებები და ე. წ. „პიარშჩიკი" ჟურნალისტები ჰყავდათ.**

— სამწუხაროდ, არ მეხერხება წერა, თორემ დავწერდი ზღაპარს ერთ გადასარევ ქვეყანაზე, რომელიც იყო წინათ, მოვიდა ურჩხული, დაანგრია ეს ქვეყანა, გადაყლაპა წყალი, მოსპო ყველაფერი, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ თუ რაიმე გაკეთდა სასიკეთო წლების განმავლობაში, აი, ამ გველეშაპს გაუკეთებია.

დიახ, დგას კომუნიკაციის პრობლემა. რეგიონებში კი არა, ხშირად დედაქალაქშიც ჭირს სწორი ინფორმაციის მიწოდება. ვფიქრობთ ამაზე, მაგრამ ჩვენ არ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვმუშაობთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ...

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# მთის გადარჩენა მხოლოდ საგადასახადო შეღავათებით არ მოხდება. ის მორალი და ცხოვრების წესი უნდა დავიბრუნოთ, ჩვენს წინაპრებს რომ ჰქონდათ

## გვესაუბრება მთის განვითარების აკადემიის კომისიის წევრი, მწერალი, ბატონი კობა არაბული

— **ბატონო კობა, მთის საკითხებში კომისიის საქმიანობა რა ეტაპზეა ახლა, რას აკეთებთ, რას გეგმავს უახლოეს ხანებში თქვენი კომისია?**

— მინდა გითხრათ, რომ მთის საკითხებს მეტად საინტერესო კურატორი ჰყავს. ეს არის ბატონი **ირაკლი ტრიპოლსკი**. ზედმეტ ქებად არ ჩამითვალოთ, მაგრამ ამ ქვეყანაში ძაგება უფრო მოსაწონი საქციელი გახდა, ვიდრე ვინმეს ქება, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ბატონი ირაკლის ძალისხმევა რომ არა, მთის კანონი შეიძლება საერთოდ ვერ მიგვეღო. ბატონი ირაკლი დღეს მთის ცხოვრებით ცხოვრობს, მსჯელობს ჩვენთან ერთად, კამათობს, წარმოიდგინეთ და მეცნიერები მოიწვია და იმათ ეკითხება აზრს, როგორ ჯობს, რა იქნება უკეთესი და ა.შ.

90-იანი წლებიდან ვმუშაობ სათემო მოდელზე და ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს საქმე, მთამ რომ ამოისუნთქოს.

— **ბატონო კობა, განათლების მხრივ მთის მცხოვრებლებისთვის პრივილეგიები არ არის მითითებული მთის კანონში?**

— არა, ასეთი რამ ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვეწია ეს კანონი. მთის განვითარების ფონდის საქმიანობაც ზედმიწევნით უნდა დაიხვეწოს, თორემ მისთვის არაფრის მიმცემი სამეურნეო ფონდები რომ არსებობდა წლების წინ, იმას დაემსგავსება და ვერაფერს ვერ გავაკეთებთ.

მთის განვითარებისთვის 20 მლნ ლარია გათვალისწინებული. ეს კი ზღვაში წვეთია იმ მოთხოვნილებებთან და აუცილებლობებთან შედარებით, რაც საქართველოს მთას სჭირდება დღესდღეობით. ისე კი იმ 20 მლნ-ით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. საქართველოში 12 მთის თემია, შეიძლება იმ 20 მლნ-ის გადანაწილება მთის 12 თემზე და გარკვეულ მიზნობრივ პროექტებს აამუშავებენ.

მაგალითად, ხევსურეთში 1 მლნ-ის სამუშაო რომ განხორციელდეს, 1 მლნ – ხევზე დაიხარჯოს, 1 მლნ – მთიულეთ-გუდამაყარზე და ფშავზე. ცხვრის, ძროხის, ფუტკრის მოშენება შეიძლება. ეროვნული მეურნეობა უნდა ავაღორძინოთ, გავაცოცხლოთ ძველი ჯიშები და გენოფონდები.

ჩვენს ერზე ჰიბრიდულ რასათა ძალადობა მიმდინარეობს. ეს ძალადობა ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ხასიათისაა, ძირითადად, მაგრამ აქ არანაკლებ ნეგატიურ როლს ეკონომიკური ძალადობა და ექსპანსია ასრულებს.

ეკონომიკური ძალადობა დიდად სახიფათოა, გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ბაქტერიოლოგიური შხამები წამლავს როგორც ადამიანებს, ასევე შინაურ პირუტყვსაც. რაც ნიშნავს, რომ ნადგურდება ერის გენოფონდი.

ნატურალური პროდუქციის შექმნა გენეტიკური ინფორმაციის გაღვიძებასაც განაპირობებს. მთებში დადგება ძველი ჯიშის საქონლის ჯოგები, შეიქმნება ქართული ყველი, რძე, სხვა პროდუქტი. მაგრამ ამ იდეას მტრები აუცილებლად გამოუჩნდებიან. საზღვარგარეთიდან შემოტანილი უცხო ენერგეტიკით გაჯერებული ხორცი, რძე, ყველი როგორ გაყიდონ, როგორ გაასაღონ, თუ ჩვენ ჩვენი გვექნება"...

საქმე ისაა, რომ ვერსად ვერ გადარჩა ბარის სივრცეზე ქართული ტომები, მოყოლებული მესოპოტამიიდან, შუმერული, ხეთური სივრციდან. საქართველო გადარჩა მხოლოდ მთის ზოლზე, კავკასიის გასწვრივ, სოლარულ წრეზე. ამ საკრალურმა სივრცემ დაიცვა ჩვენი გენეტიკა და რასა....

გარეული ტყის საკვებით და სამკურნალო მცენარეებით ცხოვრობდა ხალხი ადრე – „ხმლის ქარქაშობის" დროს...

დღესაც მთაში უამრავი მცენარეა, რომელთაც ადამიანთა გამოკვება შეუძლიათ. ზოგიერთი მცენარის ფესვებს ფქვავდნენ და პურისა და მჭადის მაგივრად იყენებდნენ. ეთნოლოგი, ბატონი ბოჭორიძე 1800-იანი წლების თუშებზე როცა წერს, ამბობს: მთაში დეკის დაფქული წიპწებით გადაირჩინეს თავი შიმშილით დაღუპვისგანო.

ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც ურჯულო მასონი ხორბალს რომ აღარ მოგყიდის, თურქი რომ სავაჭრო გზას ჩაგიკეტავს, რას შვრები, სად მიდიხარ?

დასავლეთი, აღმოსავლეთი, ყველა კუთხე მოვლილი მაქვს. უნიკალურია ჩვენი ბუნება. აქ შიმშილს როგორ უნდა განიცდიდეს ადამიანი – გაშალე მეურნეობა, გაამრავლე საქონელი, ფუტკარი... ასეთი ქვეყნის პატრონებს შეგვაჩვიეს, რომ – ღარიბი ქვეყნის „იარლიყი" ვატაროთ.



ჩვენ ვართ უმდიდრესი ქვეყანა, მშვენიერი ხალხით...

მარტო ჩვენი წყალი რად ღირს?!. და ამ წყალსაც არ გვაძლევენ, რომელსაც „დევი" აზის...

სხვათა შორის, თქვენს გაზეთში გამოვაქვეყნე ესსეები მთის საკრალური ცოდნის შესახებ, რომლებიც ახლა უკვე წიგნად შევკარი და თემის ფსიქოლოგიურ ერთგვარ ანთოლოგიად ვაქციე.

ვინმეს, შეიძლება, მთაში შექმნილი მითები და ანდრეზები ზღაპრად მოეჩვენოს, მაგრამ იქ მნიშვნელოვანი ცოდნაა ჩადებული ერის არსებობისთვის...

მაგალითად, კოპალასა და იახსარის მიერ დამარცხებული უკანასკნელი დევი აბუდელაურის ტბაში რომ ჩაიხრჩო, მას ჩაჰყვა იახსარიც, ეს ის იახსარია, ქადაგის რიტუალით 9 წლის შემდეგ რომ ამოვიდა ტბიდან. აქ ჩანს წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ცივილიზაციების ომი.

— **ხევსურები უხსოვარ დროში ტრეპანაციას აკეთებდნენ, არ შეიძლება, ეს ცოდნა ახლაც გავაცოცხლოთ?**

— ბიბლიაშიც არის აღწერილი გოლიათებთან ომები. მაგრამ ახლა წარღვნის პერიოდი გამახსენდა: როცა ნოე კიდობნიდან გამოვიდა, გადარჩენილი ადამის ჟამის ადამიანებიც იხილა. სადაც მიწვდა წყალი, იქ გაანადგურა ყველაფერი წყალმა, მაგრამ შუბანის მითი გვეუბნება, რომ სადღაც ცივილიზაცია გადარჩა, რომ ნოე შევიდა და რიტუალი იხილა ფხოვის რომელიღაც სალოცავში. ეს „ოქროს მითია"!

მითის მიხედვით, დევებისა და მათი ბრძოლის ადგილები, ადამის ჟამის ადამიანთა არსებობის მაუწყებელია, ამათ ახლა დევთა ნასახლარები, დევთა საფლავები, ციხე-გორები ჰქვია, რომლებიც კაცის ხელს არ გაუკეთებია.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მთაში, არა მხოლოდ დასახლე-

6 გვ.

# მთის გადარჩენა მხოლოდ საგადასახადო შეღავათებით არ მოხდება. ის მორალი და ცხოვრების წესი უნდა დავიბრუნოთ, ჩვენს წინაპრებს რომ ჰქონდათ

5 გვ.

ბა, კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა, მეურნეობა და ა.შ. არის ასაღორძინებელი, არამედ საკვლევი სივრცეც გვაქვს იქ. ჩვენი არსებობის აუცილებლობის საკრალური კოდები უნდა ვეძებოთ მთის წიაღში, რასაც ჩვენი ხელით გვანადგურებინებენ, ჩვენს საკუთრებას გვიმალავენ და გვიუფასურებენ.

ლოხნესის ურჩხული ამოდის ტბიდანო და ამაზე ლაპარაკობს მთელი მსოფლიო. ჩვენს მთაში უზარმაზარი საიდუმლოება და რეალურ დევებთან მებრძოლი რეალური გმირების ასტრალური სულები ტრიალებენ, მათთ-



ვის ვერ მოგვივლია და ლოხნესზე და ევროკავშირზე გვაქვს თვალები დაქაჩული.

სხვანაირი წესრიგი იყო მთაში. იქ ახლაც შეხვდებით გამოქვაბულებს, ამანათთა, ანუ სხვა მხარიდან გადმოხიზნულთა სადგომებს, ხატის მამულებს, ხოდაბუნებს. ბევრი ისეთი ადგილი ვიცი, სადაც ჩვენ, საკუთარი ფუძეებიდან აყრილები რომ კვლავ დავბრუნდეთ და ძველ ფუძეზე დავბინავდეთ, ჩვენი მომრევი არავინ არ იქნება. შეგვეძლება მთელი ქალაქიც შევიფაროთ – ასე იყო წარსულში.

ჰიბრიდული ომები ვახსენე წეღან – თურქეთი, რუსეთი, მუსულმანური სამყარო ბორგავს. არავინ არაა გარანტორი იმისა, რომ ამ მოვლენებს ვინმე შეაჩერებს. ჩვენც რომ მოგვწვდეს ეს ქარიშხალი, სად მივდივართ?! არ უნდა გვქონდეს სადმე თავშესაფარი, გასახიზნი, ბავშვები და ქალები რომ გავიყვანოთ?

ოდითგანვე მთაში იხიზნებოდნენ ბარიდან დევნილნი. მთა რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენი ბუნდღა არ იქნებოდა. მუცო, შატილი, გუდანი, არხოტი ჩვენი წინაპრების ნადგომებია და ახლა იქაურობა ტყითაა გადაფარული. ტყის უღრანი ჩემი თემის სალოცავებში აღარ გვიშვებს...სადაც ადამიანის ხელი აღარ წვდება, ტყე ელვის სისწრაფით იზრდება და ცოტა ხანში იქაურობას გაუვალი ტყე დაფარავს...

ციხე-კოშკები ნაქვითკირალია უკვე, ტყე-ღრედაა ქცეული ის წმინდა ადგილები, სასაფლაოები და ა.შ.

ჩემი აზრით, მთაში ფარნავაზის დროს ყველაზე დიდი დემოგრაფიული აფეთქება მოხდა. ეს ის ფარნავაზია, ფხოვიდან რომ ჩამოვიდა და ომის ხელოვნება ჩამოიტანა იქიდან. როგორც ჩანს, იმ დროს მზის კულტი უმთავრესი იყო, თვით ფარნავაზიც მზის ენერგიის მატარებელი მაგია იყო. გახსოვთ, მზის სხივი წელზე შემოერტყა და ცვარი მოხოცა...

მთაში მზის ტაძრებიც იყო.

კოპალას მთაზე, შუბანის, გუდანის, ცროლის, ფხიტუს მთაზე მზის და მთვარის ტაძრები იყო აღმართული, რაც ნიშნავს, რომ ოდითგანვე ჩვენი კულტი იყო მზე და მთვარე. ჩვენ მზის შვილები ვართ, ჩვენი სალოცავთა სადიდებელიც მამა ღმერთისაა...

საბედნიეროდ, არაგვის ხეობის მთიანეთით დაინტერესებულია ჩვენი მთავრობა, დეპუტატი **ირაკლი ტრიპოლსკი,** დუშეთის გამგებელი **ვაჟა ჩოხელი,** მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი **გოჩა ზეიკიძე** და სხვები, რომელთაც ესმით ჩვენი მიდგომა საკითხებისადმი, სადაც განსაკუთრებულად ყურადღება გვაქვს გამახვილებული ქართული მთის გენოფონდისადმი.

**– ბატონო კობა, უცებ მომაგონდა, ქართული ჯიშის ცხვარზე იყო დიდი მოთხოვნილება წლების წინ. თუ არ ვცდები, არაბები იყვნენ დაინტერესებულნი და ნერბები მიჰყავდათ ძირითადად.**

– ჩვენი თხა, მეგრულ-ზანური ჯიშის თხა, რომელიც ევროპაში ჩვენგან გაიყვანეს თავის დროზე, ახლა უკან აბრუნებენ, შემოჰყავთ, ყიდულობენ...

ქართულ ცხვარს რაც შეეხება, თითქმის აღარ არის ქართული ცხვარი. არაბებს და მონღოლებს პარტიებად მიჰყავთ. საუკეთესო ჯიშის, მსოფლიოში უნიკალური შავ-ჭრელი, ფშავურ-იბერიული ჯიშის ცხვრები გადაშენდა ბევრი რამ ნაციონალების დროს საქართველოდან და გაქრა. ფშაური თუშურის წინარე ჯიშის ცხვრებია, რომლებზეც, წესით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ყოფილიყო გამახვილებული.

ამასწინათ მეცნიერული კვლევა წავიკითხე – ხევსურული ჯიშის ძროხის რძე ადამიანის გენეტიკას ცვლის, მოზარდს საკუთარი მიწა-წყლის გენეტიკურ სიყვარულს უნერგავს და მას საუკეთესო მეომრად აყალიბებსო. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს განსაკუთრებული



ელემენტი მხოლოდ და მხოლოდ ხევსურული ჯიშის საქონელს აქვს.

მითი გვეუბნება, რომ ეს საქონელი ჩვენმა მეომრებმა არტანუჯიდან და ქაჯთა ქალაქიდან მოიყვანეს ნაოტ ხვასტაგად.



**მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე**



**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი**

ჩვენს ერამდე მე-20 ს-ში სიკვდილით დასჯა გააუქმეს ჩვენმა წინაპარმა ბრძენმა ქალებმა შუმერეთში, ხე-ქალამ, აშა-ქალამ, სო-ქალამ, ხოშა-ქალამ პირდაპირ სამართლებრივი რეფორმა მოახდინეს.

საადათო სამართლითა და მთის კანონით ყველაზე მკაცრად ისჯებოდა ის, ვინც კაცს მოკლავდა. თუკი სისხლს ვერ აიღებდა მოკლულის ნათესავი, გარკვეული დროის შემდეგ რჯულის კაცები დაუდგებოდნენ. გამოსასყიდი ეკისრებოდა მკვლელს – 60 ძროხა და სხვა გადასახადი და იგი სასჯელისგანაც თავისუფლდებოდა.

როგორც ხედავთ, მთაში არა მხოლოდ სამეურნეო და სოციალური წესრიგი, არამედ სამართალიც იდგა უმაღლეს დონეზე.

გადმოცემის მიხედვით, ქისტები ეახლნენ ხევსურ მსაჯულებს – კაცი უნდა დავსაჯოთ. სიკვდილს იმსახურებს, მაგრამ არ გვემეტება სასიკვდილოდ, გვითხარით, რა გზას დავადგეთო.

ხევსურებს უპასუხიათ ქისტებისთვის – თუ მოსაკლავად არ გემეტებათ და თუ სასიკვდილოდ გასამეტებელი ხალხი არა გყავთ, მზეზე დააყენეთ, მის ჩრდილს ისარი ან თოფი დაჰკარით, მკვდარი ხარ, მკვდარი ხარ, უთხარით და გაუშვით, ეგეც ეყოფა სასჯელადო.

დააკვირდით, როგორი მორალია.

**– მორალი და მისტიკური სასჯელიცაა ეს. ანუ ადამიანის ასტრალურ სხეულს კლავენ, რაც მის არარაობად ქცევას ნიშნავს.**

– დიახ. ეს ძალიან დიდი სასჯელია.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მთის გადარჩენა მხოლოდ გზით, სახლებით, საგადასახადო შეღავათებით არ მოხდება. ის მორალი და ცხოვრების წესი უნდა დავიბრუნოთ, ჩვენს წინაპრებს რომ ჰქონდათ და მტერთა თავდასხმას რომ უმკლავდებოდნენ. მთავარი მორალი ადამიანის ღირსების დაცვაა!

ახლა მტრად თავს ჰომოსექსუალთა რასები გვადგანან. ამაზე დიდი მტერი საქართველოს არასდროს ჰყოლია. კაცები ერთმანეთს შევრთოთ და ცოლ-ქმრად გამოვაცხადოთო. ამას თუ შევეგუეთ, ამათ მხარდამჭერ პარტიებს თუ არჩევნებში ხმა მივეცით, მთაც და ბარიც ოხრად დაგვრჩება – გინდ ვყოფილვართ და გინდ – არა!

ნაციონალებმა 60 მლნ. ე. წ. „პამპერსის ხიდზე“ რომ დახარჯეს, მთისთვის მოეხმარებინათ ეს თანხა, მაგრამ მაგათ მთაც ფეხზე ჰკიდიათ და მთელი საქართველოც.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# პირდაპირ ვიტყვი, ყარაბაღი, კავკასიის ეს „ახლადგაღვიძებული ვულკანი“ საქართველოს უდიდესი საფრთხის ქვეშ აყენებს

## ვის სურს საქართველოს რუკიდან გაქრობა?!

***გვესაუბრება კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის დირექტორი, ექსპერტი კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში შოთა აფხაიძე.***

— **შოთა, რამდენად არის საფრთხე, რომ ყარაბაღის კონფლიქტმა რეგიონული ომის სახე მიიღოს?**

— საფრთხე რეალურია. როგორც იცით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტურ რეგიონში ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო, სახეზეა სამხედრო კონფლიქტის ესკალაცია. აშშ-ს არ სურს და არ აძალებს საქართველოს, რომ ჩაერთოს ყარაბაღის კონფლიქტში სამხედრო გზით. ასე რომ, პროვოკატორობას და საკუთარ მერკანტილურ ინტერესებს ნუ გადააყოლებენ ქვეყნის ბედს. თურქეთს თუ ასე ძალიან სურს სომხეთთან ომი, მას პირდაპირი სახმელეთო საზღვარი აქვს ამ სახელწიფოსთან და ჩვენს გარეშეც შეუძლია დაუპირისპირდეს, არაა საჭირო საქართველო გაეხვიოს ამ სამხედრო პოლიტიკურ ავანტიურაში. თურქეთს სურს მის მიერ მოსყიდული ქართველი პოლიტიკოსების და ჩინოვნიკების ხელით სომხეთს ომი გამოვუცხადოთ. რასაც ჩვენზე რუსეთის რისხვა მოჰყვება აუცილებლად.

რაც შეეხება თურქეთს, იგი შეეცდება ეს კონფლიქტი რელიგიურ კონტექსტში მოაქციოს და რეგიონულ ომს ქრისტიანულ — მუსულმანური დაპირისპირების სახე მისცეს. ამიტომ ის გამოიყენებს ისლამური სახელმწიფოს სამხედრო რესურსს, რომელიც დღეს არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, ასევე სირიაში ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ალ ნუსრას, აჰრარ — ალ შამის და სირიის თავისუფალი არმიის მებრძოლებს.

რეგიონში ვითარება მაქსიმალურად იძაბება, სულ უფრო რეალური ხდება ამ კონფლიქტის რეგიონალურ ომში გადაზრდის საფრთხე. საქართველო აუცილებლად აღმოჩნდება არჩევნის წინაშე, კონფლიქტის მხარე ბლოკებს შორის: აზერბაიჯანი-თურქეთი-ნატოს და — რუსეთ-სომხეთის, დიდი ალბათობით ირანის მხარდაჭერით.

რეგიონული ომის შემთხვევაში რუსეთის სამხედრო ძალები სახმელეთო და საჰაერო გზით დისლოცირებას მოახდენენ სომხეთში — გიუმრის ბაზის გასაძლიერებლად, რაც საქართველოს ტერიტორიის გავლითაა ყველაზე სწრაფად შესაძლებელი. სავარაუდოდ, ეს კონფლიქტი ჯავახეთში გარკვეული სახის დესტაბილიზაციასაც გამოიწვევს.

— დიახ. საქართველო აღმოჩნდება ურთულესი გეოპოლიტიკური არჩევანის წინაშე.

ამ სიტუაციაში, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს კავკასიის რეგიონის სპეციფიური გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული გარემო და მწარე ისტორიული გამოცდილება.

თურქეთი, რომელსაც ასეთი დიდი გავლენა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს გავლით შეიყვანს ჯარს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. თურქეთმა, შეიძლება, მათთვის სატრანზიტო ბაზებიც მოითხოვოს ჩვენ ქვეყანაში. ასევე საქართველოს ტერიტორიიდან ჩრდილო კავკასიაში დივერსიულ — ტერორისტული ჯგუფები გადასხას დესტაბილიზაციის მოსაწყობად და სეპარატისტული მოძრაობების გასააქტიურებლად. ამას კი რუსეთი რადიკალური და ხისტი ნაბიჯებით უპასუხებს, რასაც საქართველოს ტერიტორიის სამხედრო პოლიგონად გადაქცევა მოჰყვება.



— **ეს იმ დროს, როცა საქართველოს ევროატლანტიკური კურსი აქვს აღებული.**

— საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ინტერესებზე წინ არ უნდა დააყენოს „ევროატლანტიკური კურსი“, გადახედვას უნდა დაექვემდებაროს თურქეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობისა და თანანშრომლობის ხელშეკრულებები. თურქეთ — აზერბაიჯანთან უნდა ვითანამშრომლოთ მხოლოდ პრაგმატულ ჭრილში, საქართველოსთვის მომგებიან ეკონომიკურ საკითხებში. უარი უნდა ვთქვათ თურქეთ-აზერბაიჯანთან სამხედრო სამოკავშირეო თანამშრომლობაზე, თურქული საჯარისო კონტინგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების დათმობაზე და საზღვაო, სახმელეთო, სამხედრო საჰაერო დერეფნის მიცემაზე. რადგან პირდაპირ კონფლიქტში არ შევიდეთ რუსეთთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან, რასაც აუცილებლად მოჰყვება რუსეთის არმიის ინტერვენცია საქართველის ტერიტორიაზე.

პირდაპირ ვიტყვი, ყარაბაღი, კავკასიის ეს „ახლადგაღვიძებული ვულკანი“ საქართვგელოს უდიდესი საფრთხის ქვეშ აყენებს. ვითარების გამწვავების შემთხვევაში, მოსალოდნელია პროცესებში მსოფლიო გეოპოლიტიკის უდიდესი მოთამაშეების — თურქეთის და რუსეთის ჩართვა.

— **ამ ე.წ. ცხელი კერების გაცოცხლება ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს?**

— პუტინმა თქვა, რომ კონფლიქტი უნდა დარეგულირდეს დიპლომატიური გზით. ალიევის მიმართ ამ შეგონებას მოჰყვა აზერბაიჯანის ნაბიჯი, თორემ ალიევი ჯარების გაყვანას კონფლიქტის ზონიდან სულაც არ აპირებდა. მიუხედავად ორივე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, ლოკალური კონფლიქტები, შეიარაღებული დაპირისპირება მაინც გრძელდება. რა შედეგი მოჰყვება ამას, ჯერჯერობით არავინ იცის. შესაძლოა, კონფლიქტი არ გაიყინოს და უფრო მასშტაბური სახე მიეცეს. ვერ ვიტყვით, რომ მოქმედებები აუცილებლად გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იქნება შესრულებული. ის, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება მიღწეული იქნა, არის რუსეთის და პირადად რუსეთის პრეზიდენტის დამსახურება. მან უზრუნველყო ამ გადაწყვეტილების მიღება ორივე მხრიდან, თორემ თურქეთის როლი ამ დაპირისპირებაში ყველამ დავინახეთ, როგორიც იყო. ყარაბაღის კონფლიქტი გაღვივებულ იქნა პირდაპირ ერდოღანის წაქეზებით. ერდოღანი იყო დაინტერესებული იმაში, რომ აზერბაიჯანს კონფლიქტი გაეცოცხლებინა.

თურქეთს თავისი მიზნები აქვს. ერდოღანს სირიაში განცდილი მარცხის გამო მიზნად ჰქონდა რეგიონალური ომის დაწყებით რუსეთისთვის სამაგიერო გადაეხადა. თურქეთი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობდა ისლამურ სახელმწიფოსთან, მხარს უჭერდა „ალ-ნუსრას“, სირიის თავისუფალ არმიას — ვითომ ზომიერ ოპოზიციას. ანკარა რადიკალ ისლამისტებს ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ სატრანზიტო გზას აძლევდა და იარაღით უზრუნველყოფდა. შემდეგ კარგად დავინახეთ რუსეთმა თავის ადგილზე როგორ მოსვა ყველა. ფაქტობრივად, დაამარცხა ისლამური სახელმწიფო და ერდოღანი მათთან თანამშრომლობაში ამხილა. ერდოღანის, როგორც პოლიტიკოსის რეიტინგი საერთაშორისო ასპარეზზე დიდად დაეცა, ეს ერდოღანის მარცხი იყო. ამიტომ ის დიდი გეოპოლიტიკური ომის წამოწყებაზე გადავიდა. რუსეთს ისედაც უამრავი პრობლემა აქვს, უკრაინაში, სირიაში დიდი რესურსი იხარჯება. ერდორანს სურდა აზერბაიჯანში გამოწვეული კონფლიქტი მთელ რეგიონს გადასდებოდა, ამას ჩრდილო კავკასიაც მიჰყვებოდა, ეს იყო მათი მიზანი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ალიევმა რატომ არ გააცოცხლა გაყინული კონფლიქტი? ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აზერბაიჯანში საუდის არაბეთის და ყატარის ხელისუფლების უმაღლესი პირების



ვიზიტები განხორციელდა, ამას ზედ ერდოღანის ვიზიტიც დაერთო. პირდაპირ ერდოღანის წაქეზებით მოხდა ყველაფერი, ეს ნათლად ჩანს და საკითხი ეჭვქვეშაც არ არის დასაყენებელი. განსახილველიც არ არის, რომ კონფლიქტი სწორედ ერდოღანის მიერ იყო პროვოცირებული.

— **როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში რა პოზიციას დაიკავებს ირანი?**

— ირანის თავდაცვის მინისტრის განცხდებით, ის მხარს უჭერს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. ირანს ჭკუათმყოფელი ხელისუფლება ჰყავს. თუ ვითარება არ გამწვავდა და კონფლიქტი გლობალურ ომში არ გადაიზარდა, ირანი არ იქნება კონკრეტულად რომელიმე ქვეყნის მხარდამჭერი. თეირანი ჯერჯერობით მედიატორის ფუნქციას შეასრულებს, ხოლო თუ გლობალური ომი გაჩაღდა და თურქეთი და ნატო ჩაერთნენ, ირანი, როგორც რუსეთის მოკავშირე და ევროატლანტიკური ალიანსის მოწინააღმდეგე, რუსეთის პოზიციას დაიჭერს.

— **თქვენ თქვით, რომ ქართულმა მხარემ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიკავოს, რამდენად შესაძლებელია ნეიტრალიტეტის შენარჩუნება ამ კრიზისულ სიტუაციაში?**

— პირდაპირ ვამბობ, რომ ქართულმა მხარემ არანაირი სამხედრო ტვირთი არ უნდა გაატაროს, არც რუსული და არც თურქულ-აზერბაიჯანული. რომელიმე მხარის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ნიშნავს საქართველოს ჩართვას რეგიონალურ კონფლიქტში და ეს იქნება დამღუპველი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## გოგი თოფაძე:

# კოალიციაში განხეთქილებას ზოგიერთები მე კი მაბრალებდენ, მაგრამ, სინამდვილეში, შექმნილი ვითარება ლოგიკური დასასრულია იმისა, რაც 2012 წელს დაიწყო...

**მას შემდეგ, რაც „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ ურთიერთობა „ცივი ომის“ ფაზიდან ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ ლიდერი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მედიასთან ურთიერთობისგან თავს იკავებდა, თუმცა კოალიციის დაშლილად გამოცხადების შემდეგ ინტერვიუზე დაგვთანხმდა და მასთან საინტერესო საუბარიც შედგა.**

**რა გახდა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის მთავარი მიზეზი, როდის დაიწყო დაპირისპირება რესპუბლიკელებთან, რას ფიქრობს მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე ესაუბრა:**



— დიახ, გარკვეული დროის მანძილზე ინტერვიუებისგან თავს ვიკავებდი და ზოგიერთ მედიასაშუალებასთან, მათი არაობიექტურობიდან გამომდინარე, ურთიერთობის სურვილი ახლაც არ მაქვს. ქვეყანაში უამრავი კეთილი საქმე კეთდება, მაგრამ ამას არ აშუქებენ და მხოლოდ ხელისუფლების ლანძღვაზე არიან მომართულები. რაც შეეხება კოალიციაში განხეთქილებას ზოგიერთები მე კი მაბრალებდენ, მაგრამ, სინამდვილეში, შექმნილი ვითარება ლოგიკური დასასრულია იმისა, რაც 2012 წელს დაიწყო. მაშინ მთავარი ამოცანა იყო, რომ ჩვენი გაერთიანებით დაგვესრულებინა ის უბედურება, რაც ქვეყანაში ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა. იმ ეტაპზე ეს ამოცანა შევასრულეთ და ძალა, რომელიც ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებდა, მოვიცილეთ. ამის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პარტიები, რომლებსაც განსხვავებული ხედვა ჰქონდათ თუნდაც ერთნაირ სქესიანთა ქორწინების მიმართ..



— **რესპუბლიკელებთან დაპირისპირების მიზეზი ეს გახდა?**

— ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად ეს იყო. ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ შეიძლება ჩვენი ქორწინების სახლში ახალგაზრდა ბიჭები შეუღლდნენ და ხვევნა-კოცნით გამოვიდნენ გარეთ. ამას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, კულტურა და რწმენა ეწინააღმდეგება. ამიტომ ვაპირებთ, რომ ჩავატაროთ რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობას ერთადერთ კითხვას დავუსვამთ — უნდათ თუ არა, რომ საქართველოში ერთნაირ სქესიანთა ქორწინება დაკანონდეს? რეფერენდუმისთვის მზადების პერიოდში, აჭარიდან მოყოლებული, მთელი საქართველო მოვიარეთ და ერთნაირ სქესიანთა ქორწინების მომხრე ერთი კაცი ვერ ვნახეთ. რატომ ვმეტიჩრობთ? ვინ გვაძალებს და გვახვევს თავს, როცა ევროკავშირის ქვეყნების ნახევარზე მეტი ამას არ აღიარებს? პარლამენტის 150 დეპუტატიდან 82 თვლის, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა. შევეცდებით 113 ხმა მოვაგროვოთ, რომ კონსტიტუციური ცვლილება დავიწყოთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ 37 დეპუტატი ანუ მეოთხედი, ამის დაფიქსირების წინააღმდეგია. წარმოგიდგენიათ, რომ ეს ვინმემ აღიაროს?

— **„რესპუბლიკურმა პარტიამ” გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც წერია, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა და ამ საკითხს ზედმეტი კონსტიტუციური ცვლილებები არ ჭირდება. თინა ხიდაშელის თქმით, ქორწინების თემით გააქტიურებით ვიღაც ცდილობს შექმნას ხელოვნური დაძაბულობა იქ, სადაც ის არ არსებობს.**

— თავს ნუ იმართლებენ. რეფერენდუმი სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ასეთი საფრთხე არსებობს ან მომავალში იარსებებს. რეფერენდუმის შედეგების გაუქმებას ახალი რეფერენდუმი დაჭირდება, საქართველოში კი ვერავინ იპოვის ერთნაირ სექსიანთა ქორწინების მომხრე 200 000 ადამიანს. კოალიციის დაშლა თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ლუსტრაცია მომხდარიყო და ხალხს სცოდნოდა, ვინ რას გვიპირებს და რას ემსახურება. თავიდან არავინ უყურებდა, ვინ რომელი პარტიიდან იყო, რადგან ყველა ბიძინა ივანიშვილის სახელით მოვიდა. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ზოგიერთ პარტიებს ძალიან ბევრი პრივილეგია მიეცათ: მინისტრები, მაჟორიტარი დეპუტატები და ა.შ. და კოალიციის დანარჩენი წევრები დაიჩაგრენ. რა თქმა უნდა, ამანაც გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. შემდეგ ვითარება იმან დაძაბა, რომ გაუთავებლად გაიძახოდნენ, ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალა ვართო. ასე, რომ ჩვენ არ დაგვიწყია ეს კონფრონტაცია. ჩვენ მერე ვუპასუხეთ, როცა სრულიად უსაფუძვლოდ, ჩვენი გუნდის კრიტიკა დაიწყეს. სხვათა შორის, ამ საქმეში განსაკუთრებით ქალბატონი თინა ხიდაშელი აქტიურობდა, მაგრამ ეგენი რაც მეტად გვაკრიტიკებენ, მით უფრო იზრდება ჩვენს მიმართ ხალხის ნდობა. ბუნებრივია, ამდენი უთანხმოების შემდეგ, დავაყენეთ საკითხი, რომ ასეთ კოალიციაში ვერ ვიქნებოდით, თუმცა მთელი რიგი საკითხების მიმართ განსხვავებული ხედვის გამო ეს მაინც მოხდებოდა. ძნელია, ერთი გუნდად აღიქვა გაერთიანება, რომელშიც ამდენი განსხვავებული პოზიცია არსებობს. ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა. ოქტომბერში ხალხი თავად გადაწყვეტს ვინ არის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალა.

— **თქვენი აზრით, როგორ მოხდება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში?**

— სულ რამდენიმე დღეა, რაც საარჩევნო ორომტრიალი დაიწყო, მაგრამ რამდენიმე პოლიტიკურ ძალას მაინც გამოვარჩევ. დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. კარგი შანსები აქვს პარლამენტის გარეთ დარჩენილ რამდენიმე პარტიასაც. ვფიქრობ, რომ სერიოზული და სოლიდური პოლიტიკოსია ნინო ბურჯანაძე, ძალიან გააქტიურდა „პატრიოტთა ალიანსი“, ასევე დემოკრატები. რადგან არჩევნები ახსენეთ, გეტყვით, რომ ჩემი აზრით, სასაზღვრო და მთიან რეგიონებიდან საკანონმდებლო ორგანოში ყველას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ყაზბეგი ქვეყნის სტრატეგიული რეგიონებია, საიდანაც ხალხი პრობლემების გამო გამორბის და ჩვენ პარლამენტში წარმომადგენლის შეყვანის უფლებასაც ვართმევთ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არჩეულმა მაჟორიტარმა ხალხის ნდობა გაამართლოს. არ შეიძლება ოთხი წელი იყო პარლამენტში, მიიღო ხელფასი, ისარგებლო ყველა პროვილეგიით და ამომრჩეველზე არ იფიქრო.

— **იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ დეპუტატებს გულისხმობთ?**

— სამწუხაროდ, ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, რომ ოცნების სახელით არჩეულებს თავიანთი რაიონიც დაავიწყდათ და ამომრჩეველიც. ალბათ, ახალ პარლამენტში დადგება საკითხი, რომ ამომრჩეველს საშუალება ჰქონდეს, უღირსი დეპუტატი უკან გაიწვიოს და სხვა დეპუტატით ჩაანაცვლოს.




— **სასაზღვრო და მთის რეგიონები ახსენეთ. 1 იანვრიდან ამოქმედდა „კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საგადასახადო და სოციალური შეღავათები. როგორც ვიცი, ამ კანონთან დაკავშირებით, თქვენ საკუთარი ხედვა გქონდათ...**

— პარლამენტმა ძალიან კარგი მთის კანონი მიიღო. ბევრი შეღავათია დაწესებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის პედაგოგებზე, ექიმებზე, ექთნებზე, პენსიონერებზე. ბიზნესმენებს ფაქტობრივად, გადასახადებს არ ახდევინებენ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ ცოტა სხვა რამეს ვითხოვდით. ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი და სხვა ევროპული ქვეყნები მთიან რეგიონებში წარმოებას ხსნიან და ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებენ. ეს შეიძლება იყოს ფერმა, რომელშიც 100 ძროხაა. თუ საქონელს კარგად მოუვლი, საშუალება გექნება ყველისა და ხორცის წარმოება მინიმალური პროცენტით შეიძინო. ერთი სიტყვით, ისეთი პირობებია, ხალხი ქალაქებიდან მთაში გარბის. მრეწველებს გვინდოდა, რომ რამდენიმე რაიონში ასეთი ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა. მთიანი რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები ელიავაზე კლიენტს კი არ უნდა ელოდებოდნენ, თავის კუთხეში უნდა საქმიანობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიები არ აშუქებენ, სოფლად უამრავი სასიკეთო საქმე კეთდება. ფერმები, წარმოება, სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები გაიხსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისი არ არის. ამიტომ გლეხი იძულებულია ჩამოვიდეს და „იტაქსაოს“ ან ხელობით იშოვოს ფული და ოჯახს გაუგზავნოს. ეს ხალხი სოფლად უნდა დავასაქმოთ და იქ გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანენ ქვეყანასაც და თავიანთ ოჯახებსაც. თბილისიც ცოტა განიტვირთება საცობებისგან და ამდენი მანქანაც აღარ ივლის.

— **2008 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობამ ჩრდილო ატლან-**

**ტიკულ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას მხარი დაუჭირა, თუმცა ბოლო დროს, პოლიტიკოსები და ექსპერტები ქვეყანაში რუსული განწყობის მომატებაზე ალაპარაკდნენ. საწინააღმდეგოს ამტკიცებს ამერიკის ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, მოსახლეობა კვლავაც მყარად უჭერს მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში. ალიანსში გაწევრიანების მომხრეთა მაჩვენებელი 68 პროცენტს შეადგენს, ევროკავშირის მომხრეთა რაოდენობა კი, გასული წლის აგვისტოს შემდეგ 61 პროცენტიდან 77 პროცენტამდე გაიზარდა. თქვენი აზრით, ვის უნდა ვენდოთ?**

– როგორც დასაწყისში ვთქვი, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, კულტურა და რწმენა. იმ დროს, როცა უძველეს მართლმადიდებელ საბერძნეთსაც კი დააშვებინეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, მართლმადიდებლობის მთავარი დამცველად რჩება ქვეყანაა, რომელშიც 400 მილიონზე მეტი მართლმადიდებელი ცხოვრობს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ისიც, რომ ეკონომიკურ ჭრილში რუსეთის ბაზარი ჩვენთვის შეუდარებელია. რუსებს კიდევ ახსოვთ ჩვენი ნატურალური ხილი, ბოსტნეული, ჩაი, ღვინო, საკონსერვო პროდუქცია და ეს დიდი პერსპექტივაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოფლად მცხოვრები უამრავი ოჯახი თავის კეთილდღეობას ამას უკავშირებს. რაც შეეხება ევროკავშირს, ამაზე უარს არავინ ამბობს. პირიქით,



გეზი ევროპისკენ გვაქვს აღებული. ბევრი რამ გვაქვს მათგან სასწავლი, თუნდაც ტექნოლოგიების თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს ჩვენთვის მიუღებელი მოთხოვნებიც. თუნდაც მაჰმადიანი მესხების მიღება. დაგვეხმარონ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაში, დაუბრუნონ ჩვენს დევნილებს წართმეული სახლკარი და მერე მივიღებთ ახალ დევნილებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპასაც ჭირდება საქართველო თავისი სტრატეგიული მდებარეობით. მით უმეტეს ახლა, როცა ჩინეთიდან ევროპისკენ ყველაზე მოკლე- აბრეშუმის გზა გაიხსნა.

– **იმის მიუხედავად, რომ ამერიკის პრეზიდენტმა პირდაპირ გვითხრა, საქართველო იმ გზაზეც კი არ დგას, რომელიც NATO-სკენ მიდის, მაინც ალიანსში გაწევრიანების მოლოდინში ვართ. თქვენი აზრით, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიცხოვროთ ილუზიებით?**

– რაც შეეხება „ნატოს“, არ მესმის, რატომ უნდა ვატყუოთ მოსახლეობა, რომ მალე „ნატოში“ შევალთ? მაპს მივიღებთო, რომ გავიძახით, მაპის მერე კიდევ ხუთი წელი უნდა გავიდეს, რომ გავწევრიანდეთ. სიმართლე ისაა, რომ 8-10 წელი ვერ მიგვიღებენ ნატოში, საერთოდ თუ მიგვიღეს. როგორც ვიცი, NATO–ს წევრი ვერ გახდება ქვეყანა, რომელსაც აქვს ტერიტორიული პრობლემები ან მოუგვარებელი სასაზღვრო დავები მეზობლებთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარე აგრესიის შემთხვევაში, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი სამხედრო დახმარებას ვერ გაგვიწევს. როგორ წარმოგიდგენიათ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამო ნატო რუსეთთან ომს გააჩაღებს? მოგვხედოს ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა, მოგვცეს გარანტია, რომ ტერიტორიებს დავიბრუნებთ და კი ბატონო, გავწევრიანდეთ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ასე არ მოხდება.

– **პოლიტიკურიდან ისევ ეკონომიკურ საკითხებს დავუბრუნდეთ. ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის გარდა, საქართველოს მტკნარი წყლის უზარმაზარი მარაგი აქვს და შესაძლოა, ამ კუთხით უმსხვილესი ექსპორტიორი გახდეს.**

– ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში წყლის დეფიციტის პრობლემა უკვე ძალიან სერიოზულად დგას. მით უფრო, ჩვენს ახლო თუ შორეულ სამეზობლოში: არაბეთის ქვეყნებში, ირანში, ქუვეითში და კიდევ ბევრგან ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას. შეიძლება, მალე წყალი ნავთობზე ძვირი გახდეს, ამიტომ წყლის გაყიდვა ჩვენი პერსპექტივაა. ჩვენ გვაქვს წყლის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანა, რომელსაც ხრიოკი უდაბნოებით სავსე ქვეყნები ესაზღვრება, მაგრამ ცდუნებას არ უნდა ავყვეთ და გაჭირვებას უნდა გავუძლოთ. დიახ, ჩვენი წყლის რესურსებით ძალიან დაინტერესდა ირანი. შეიძლება რაღაც შეთანხმება შედგეს, მაგრამ საკონტროლო პაკეტი აუცილებლად საქართველოს უნდა დარჩეს. წყალი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, ჩვენი შვილების მომავალია და ამის დაკარგვას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

# რისთვის დაიღუპე, შვილო, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის? მაშინ სად არის ან ერთი, ან – მეორე?

ამასწინათ კუკიის სასაფლაოზე გახლდით დაკრძალვაზე. რა თქმა უნდა, ეკლესიაშიც შევედი ჩემი მიცვალებულების სულთათვის სანთლის ასანთებად, სადაც თამრიკო ჭოველიძის საფლავს გადავაწყდი.

დიახ, თამრიკოს, რადგან თამარობა არ დასცალდა 16 წლის გოგონას და, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ამბობს ერთგან: მომეძალა „უსიამო ფიქრების გალა“ – რატომ და რისთვის დაიღუპე, შვილო, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის? მაშინ სად არის ან ერთი, ან – მეორე?..

ჯერ იყო და აშშ-ს იმედად მყოფ ქართველ ხალხს, ცივი წყალი გადაგვასხეს, როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა, რაც სხვა არა იყო რა, თუ არ მწვანე შუქის ანთება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლების დასამხობად და ელცინის რუსეთის დახმარებით, აკი, დაამხეს კიდეც ქართველმა რევანშისტებმა, რის შემდეგაც აშშ-რუსეთის ერთობლივი პროექტი, შევარდნაძის ხელისუფლება მოვიდა, რომლის მმართველობაც ბრეჟნევისეული უძრაობის ხანა იყო თავისი გაყინული კონფლიქტებით თუ რუსეთ-აშშ-ს შორის ბალანსირების პოლიტიკით!

ეს ის დროა, როდესაც ელცინის ხელით რუსეთს ამერიკის გავლენის აგენტი ოლიგარქები მართავენ, რამაც რუსეთის უკიდურესი დასუსტება გამოიწვია. რითიც ისარგებლა აშშ-მა და რუსეთთან საზიაროდ მართულ საქართველოს, სააკაშვილის რეჟიმის ხელით საქართველოში ამერიკის ერთპიროვნული მმართველობა არჩია და სწორედ აქედან იწყება პროცესი, რომელსაც ამერიკის შეშფოთებული შტატების აღშფოთების იმედად მყოფი საქართველო ჰქვია!

მას შემდეგ ვეძახით ნატოს, ვემუდარებით მიგვიღოს, მაგრამ ამაოდ - ხან მაპზე უკეთესი მოგვცეს, ხან ასპირანტობა და ამასობაში პუტინის რუსეთი იმდენად მოძლიერდა, რომ 2008-ში ნატო, ნატოს ძახილი, ცხვირიდან ძმრად გვადინა ქართველებს ცხინვალსა თუ სოხუმში?!



აშშ კი მხოლოდ შეშფოთ-აღშფოთდა, რის დასტურადაც პამპერსებით და მტკნარი წყლით დატვირთული გემები გამოგვიგზავნა...

თუმცა სააკაშვილის 9 წლიან სისხლიან რეჟიმს ფართოდ დახუჭული თვალებით ვერ ამჩნევდა აშშ და უფრო მეტიც, 26 მაისის სისხლიან დარბევას აშშ-ს მაშინდელმა ელჩმა, ჯონ ბასმა აუნთო მწვანე შუქი!

აშშ მხოლოდ მაშინ შეშფოთ-აღშფოთდა სერიოზულად და გულწრფელად, როდესაც ქართველმა ხალხმა იპოვა ძალა და სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი მოიცილა 2012 წლის არჩევნებით და ერთგული ნაც-ფინიების გადასარჩენად კოჰაბიტაცია მოგვახვია თავს!

არც ის ესიამოვნათ პოტომაკის ნაპირებზე რომ ამერიკული ენდიაი იძულებული გახდა ნახევარ სიმართლე მაინც ეღიარებინა და საქართველოში ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა 31 % განესაზღვრა. დიახ, ნახევარ სიმართლე, რადგან ეს პროცენტი გაცილებით მეტია და აჰა, ამ ორშაბათს, გამოქვეყნდა მათივე გამოკითხვის ახალი შედეგები, რომელიც თებერვალ-მარტში ჩაუტარებიათ და რომლის მიხედვითაც 31, 20 % დაქვეითებულა და ნატო-ევროკავშირის მომხრეთა რიცხვმა 75 % შეადგინა?!

აქედან ორ კითხვას დავსვამ: პირველი გამოკითხვის შემდეგ რა მოხდა ისეთი, რომ ასე შემცირებულა ერთი და მოუმატებია მეორეს, რა, ნატომ სოხუმი დაგვიბრუნა თუ ცხინვალი?

და მეორე, ვის და სად ეკითხებიან, რატომ არავის ვიცნობ ისეთს, რომელიც იტყვის, რომ კი, ბატონო, მე მკითხა ენდიაიმ ამის შესახებო, იქნებ თქვენ იცნობთ ასეთ ხალხს მკითხველნო?

თუმცა ეგეც იქეთ იყოს, რადგან ახალი გამიკითხვის შედეგების პარალერურად, კიდევ ერთხელ დაგვცინა ვარშავის ნატოს სამიტის იმედად მყოფ ქართველებს ნატოს გენმდივანმა - ამ ეტაპზე ალიანსის გაფართოვება არ დგას დღის წესრიგში, მაგრამ ნატოს კარები მაინც ღიააო...

დაკეტეთ, დაკეტეთ, ეგ წყეული კარები, სანამ ან რუსეთი მოგვიღებს ბოლოს, „სკვაზნიაკი“ მოგვინელებს ქართველებს!

იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს ქართველნო და ჩვენი ხსნა იქ ვეძებოთ, სადაც ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა იპოვნეს?

დიდმა ილია მართალმა, როდესაც სთქვა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, 20 წლის ყმაწვილი კაცი იყო. ხანში შესული, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბძენებული კი მიხვდა, რომ „გვეყუდნეს“ კი არა, თუ ვინმეს არ მივეყუდნეთ, ისე არსებობა შეუძლებელი იქნებოდა და ამ ვინმედ, ერთმორწმუნე რუსეთი დაიგულა. რუსეთი, რომლის დუმის დეპუტატიც ბრძანდებოდა თავადი ილია ჭავჭავაძე და იმ მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს კულტურულ ავტონომიას ითხოვდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ამიტომაც დაწერა 1899 წელს ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის წინათ“.

მაგრამ არა, მედასავლეთეები აკაკის „დამეხსენი ჩრდილოელოს“ აფრიალებენ, რაც ილიას „ჩვენადვე გვეყუდნეს“ არ იყოს, ვეჭვობ რომ საქართველოს ბულბულს ადრე აქვს დაწერილი, რის დასტურადაც აკაკის ერთი ლექსით დავამთავრებ წერილს

"ან ქვაკუთხედად უნდა დაედვას, „ორთა კავშირი“, კავშირი ჯვარით გამყარებული, კავშირი ძმური და მეგობრული და ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა, იყოს წყეული ღვთისაგან კრული“...

დავით მხეიძე
593 59 19 17

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

# ვინ არის „მასტერა“, იგივე გია დგებუაძე?!



## გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურაბ ქადაგიძე.

მოგეხსენებათ, 22 მარტს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის (კუდ-ი) და სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის გიორგი დგებუაძის, იგივე „მასტერას“ ჰოლანდიიდან ექსტრადირება მოხდა. იგი საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე გაცილებით ადრე 2014, წლის ივნისში დააკავეს ჰოლანდიელმა სამართალდამცავებმა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, დგებუაძემ ხელისუფლების შეცვლამდე, 2012 წლის სექტემბერში დატოვა საქართველოს ტერიტორია და ჰოლანდიას შეეხიზნა. „ვარდოსნების“ ჯალათად წოდებული დგებუაძის ბიოგრაფიას, თურმე გრიფი საიდუმლო ადევს, მაგრამ გავრცელებული ხმებს თუ დავუჯერებთ, „მასტერა“ წარსულში ე.წ. იოსებიძელების საძმოს წევრი გახლდათ. თუ გავიხსენებთ ნაციონალების დამოკიდებულებას ყოფილი „მხდრიონელების“ მიმართ, ამ პერსონის „თავბრუდამხვევი“ კარიერული წარმატებები აღარ უნდა გაგვიკვირდეს. რა დამსახურების გამო შეარქვეს დგებუაძეს „მასტერა“, ეს მის შეფობას უკეთ ეცოდინება, საზოგადოების ნაწილს ეჭვი აქვს, ალბათ ნაცების ბინძურ დავალებებს „ოსტატურად“ ასრულებდა და იმიტომ „დააჯილდოვეს“ ასეთი „თიკუნითო“. ინტერნეტმომხმარებელთა აზრით, ნაცებსა და მოქმედ ხელისუფლებას ძალიან უნდათ დგებუაძე სპეცსამსახურების სუპერპროფესიონალად წარმოგვიდგინონ, სინამდვილეში კი ის ქუჩის იაფფასიანი აფერისტია, რომელიც მერაბიშვილისა და ძმებ ახალაიების პროფესიონალი ლაქია და ყურმოჭრილი მონა იყო. იგი ყველაფრის მკადრებელი იყო, სიბინძურეებს სიამოვნებით სჩადიოდა, როგორც ჩანს ჩვენი დასავლელი მეგობრები უფრო დიდი ვერაგებისა და ბოროტმოქმედების (ადეიშვილი, კეზერაშვილი და ა.შ.) არ აპირებენ, მხოლოდ „პაიკების“ გადმოცემით იფარგლებიანო. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გვპირდება, რომ ყველა მათგანის ექსტრადირება მოხდება, რაშიც პირადად მე ეჭვი მეპარება, თუმცა მოვლენებს ნუ გავასწრებთ. საზოგადოების უკიდურეს გაღიზიანებასა და შეშფოთებას იწვევს ის ფაქტები, რაც ნაციონალების ყოფილი სამართალდამცავებისა და მხარდამჭერების სასამართლო პროცესებზე ხდება, როგორ ესხმიან თავს ნაციონალები და მათი მხარდამჭერები დაზარალებულებს და უმოწყალოდ დახოცილი ადამიანების ოჯახის წევრებს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი **ზურაბ ქადაგიძე** ესაუბრა.

- გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, ფაქტობრივად კუდ-ის ექსშეფის დავით ახალაიას მარჯვენა ხელი იყო და საქართველო 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მასთან ერთად დატოვა, იგი 2013 წლის აპრილიდან იძებნებოდა ინტერპოლის წითელი ცირკულარით. დგებუაძე 2005 წლიდან იკავებდა კუდ-ის მეორე სამმართველოს უფროსის თანამდებობას, მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას ბრძანებით, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა. მას ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს კუდის მაშინდელ უფროსთან დავით ახალაიასთან და ამავე დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, ნავთლუღის ავტოსადგურში სამი ახალგაზრდის – 17 წლის შოთა გორგაძის, 23 წლის მარად ართმელიძის და 21 წლის რომან სურმანიძის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში მონაწილეობა, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - თავისუფლების უკანონო აღკვეთა და წამების ორგანიზება. ნავთლუღის ავტოსადგურთან ჩაცხრილული ახალგაზრდები მაშინდელმა ხელისუფლებამ საშიშ დამნაშავეებად გამოაცხადა. ოფიციალური ვერსიით, ისინი შოთა გორგაძის ძმასთან, პატიმარ გიორგი გორგაძესთან შეთანხმებით, მსჯავრდებულების ციხიდან გაქცევის მიზნით, რუსთავის ციხეზე შეიარაღებულ თავდასხმას გეგმავდნენ. თითქოს კუდში შევიდა ინფორმაცია, ციხეზე შესაძლო თავდასხმის შესახებ და ამიტომაც ჩაატარეს ის სისხლიანი სპეცოპერაცია, ეს ბიჭები ფაქტობრივად ჩაცხრილეს, მათ ათზე მეტი ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი. „მასტერა“ ოქროს მოწმე იქნება, როგორც ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და თვით მიხეილ სააკაშვილის, ისე ძმებ ახალაიების საქმეებში. იგი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთის საქმეშიც მნიშვნელოვანი მოწმეა, რადგან გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერების მიხედვით, ჩეჩენ საველე მეთაურთან სწორედ გიორგი დგებუაძე აწარმოებდა მოლაპარაკებას. სხვათა შორის, ამ თემაზე ირაკლი ოქრუაშვილმაც ისაუბრა. ბიზნესმენის მკვლელობა, რომ ზემოხსენებულმა პერსონებმა შეუკვეთეს ჩეჩენ ტერორისტს, სწორედ „მასტერას“ აღიარება გამოააშკარავებს, ნათელი მოეფინება ე.წ. ციხის ბუნტს, ნავთლუღის სპეცოპერაციას, გირგვლიანის მკვლელობას და სხვა მძიმე დანაშაულებს. მისი სახელი ფიგურირებს რეინჯერ დავით ცინდელიანის, სამხედრო მზვერავების (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) პაატა ქარდავასა და როინ შავაძის მკვლელობების საქმეში, მისმა სახელმა გაიჟღერა ოპერაცია „ენვერის“ საქმეშიც. ასე რომ, ეს ადამიანი თითქმის ყველა გახმაურებული მძიმე დანაშაულში მონაწილეობდა და მეეჭვება, რომ მან დუმილის უფლება გამოიყენოს. როგორც წესი, ამ კატეგორიის ადამიანები ციხეს ვერ უძლებენ და ადვილად მიდიან გარიგებაზე, რომ გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ, სიმართლე თქვან. ამის აშკარა მაგალითია ოლეგ მელნიკოვი, რომელმაც ყველას წინააღმდეგ მისცა მამხილებელი ჩვენება.




ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩინოსანი ჯერ კიდევ 2012 წლის იანვარში აცხადებდა, რომ გიორგი დგებუაძეს რა თანამდებობაზეც არ უნდა ემუშავა, მისი მთავარი ფუნქცია იყო, დაეშინებინა ავღანეთში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები და იძულებით დაეთანხმებინა სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში წასვლაზე, რადგან კატასტროფულად ცოტა იყო იქ წასვლის მსურველი. „მასტერა“ საქვეყნოდ „ცნობილი“ 2007 წლის მარტში გახდა, ანუ იმ დროს, როდესაც საზოგადოებამ შეიტყო მისი და ყოფილი „კანონიერი ქურდის“, პლატონ მამარდაშვილის სატელეფონო საუბრის შინაარსი. საქმე ეხება 2006 წლის მარტში მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს, რომლის ჩახშობის დროსაც ათეულობით პატიმარი დაიღუპა და დასახიჩრდა. ამ სატელეფონო საუბრებიდან გახდა ცნობილი, „რეზბალნიცაში“ (ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო) მომხდარი ინციდენტი, „კანონიერი ქურდებისა“ და კრიმინალური ავტორიტეტებისა უმოწყალო ცემა, რასაც შემდგომ ორთაჭალის ციხესა და სხვა საპატიმროებში პატიმრების ბუნტი მოჰყვა, სწორედ ბაჩო ახალაიასა და „მასტერას“ მიერ იყო დაგეგმილი. ცხადია, ამ გეგმის განხორციელებას პატიმართა წრიდან მოკავშირე ჭირდებოდა, „მასტერა“ მოკავშირეს პატიმარ „კანონიერ ქურდებში“ ეძებდა, შეირჩა უკურნებელი სენით დაავადებული პლატონ მამარდაშვილი, რომელიც მზად იყო მკურნალობის სანაცვლოდ, „კანონიერი ქურდის“ სახელიც კი დაეთმო. „მასტერა“ და „ძმანი მისნი“ ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი სატელეფონო საუბრებს ჩაიწერდა და ერთი წლის თავზე საჯაროს გახდიდა“.



გავრცელებული ინფორმაციით, „მასტერა“ ზუგდიდელი „კანონიერი ქურდის“ ზურაბ დგებუაძის, იგივე „ზუგდიდსკის“ ნათესავია, აქედან გამომდინარე, კრიმინალურ სამყაროსთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა. „მასტერა“ ალბათ ამ ნიშნით უფრო შეარჩიეს „საქმის“ მოსაგვარებლად. სხვათა შორის, „საერთო გაზეთს“ ისიც უთხრეს, „ზუგდიდსკი“ საკმაოდ გავლენიანი „ავტორიტეტი“ იყო, ზუგდიდში გამართულ ერთ-ერთ ქურდულ „სხადნიაკზე“ რუსეთიდან პირდაპირ ჩავიდა ვერტმფრენითო.

რაც შეეხება „მასტერას“ სხვა დანაშაულებრივ საქმეებში მონაწილეობას.

**ზურაბ ქადაგიძე**: „2007 წელს, მილიარდერი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვამ ნაცხელისუფლებას მოსვენება დაუკარგა, ამიტომაც ქართულმა სპეცსამსახურებმა „აბეზარი“ ბიზნესმენის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. „საქმეში“ გარკვევა და ბოლომდე



მიყვანა ამჯერადაც „მასტერას“ მიანდეს და მან მსგავსი საქმეების მოგვარების „უბადლო“ ოსტატი უვაის ახმადოვი გამოძებნა, რომელსაც სავარაუდოდ, დუბაიში შეხვდა. ცხრა ძმა ახმადოვს ჩეჩნეთში ყველა იცნობდა, ისინი ომიანობისას საველე მეთაურები იყვნენ, ხოლო მშვიდობისას ადამიანების გატაცებითYიყვნენ დაკავებული. მათზე, რომ იტყვიან, ლეგენდები დადიოდა, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლიათ, ნებისმიერი რაოდენობის ადამიანის გატაცებაო. ომსა და კრიმინალურ გარჩევებს ცოცხალი მხოლოდ ორი ძმა გადაურჩა, რომლებიც 2001-2003 წლებში, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ცენტრის ქოლგის ქვეშ, მშვიდად აგრძელებდნენ ჩვეულ საქმიანობას (სანდო წყაროს ინფორმაციით, ახმადოვები გაცილებით ადრე, ჩეჩნეთის პირველი ომის დროს გადმოვიდნენ ოჯახებით და პანკისში დასახლდნენ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაული არ ჩაუდენიათო - მ.ს.). „მასტერა“-ახმადოვის მოლაპარაკებისას, პატარკაციშვილის მკვლელის გვარიც დასახელდა, ეს რუსლან პაპასკირი, იგივე „ზორონი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც იმჟამად სტამბოლში დოკუ უმაროვის თანამოაზრეებზე ნადირობდა. დაზუსტდა მკვლელობის დეტალები და ამჯობინეს, რომ ბიზნესმენის მკვლელობა ჰაერში მომხდარიყო. თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ ახმადოვმა მოულოდნელად ამ მკვლელობაზე უარი თქვა, თუმცა ჩეჩენი „ავტორიტეტი“ ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა, იგი ქართული სპეცსამსახურებს არ ენდობოდა, აქედან გამომდინარე, „მასტერასთან“ ყველა საუბარს ფარულად იწერდა. ეს ჩანაწერები, მოგვიანებით ბორის ბერეზოვსკის მილიონნახევარ დოლარად მიჰყიდა, რომელმაც თავის მხრივ ბადრი პატარკაციშვილს გადასცა და 2007 წლის დეკემბერში უკვე ქართული საზოგადოებისთვისაც გახდა ცნობილი. რუსლან პაპასკირი 2012 წლის ნოემბერში სტამბოლში დააკავეს და „მასტერას“ სახელი, უკვე თურქი სამართალდამცავებისთვისაც ცნობილი გახდა. დგებუაძემ „ნაცელიტის“ ნდობა ვერ გაამართლა, მან ფაქტობრივად „ჩააფლავა“ ეს საქმეები, ამიტომ „ჩამოალაბორანტეს“ და „სერიოზული საქმეების“ დამგეგმავის ნაცვლად, თავად იქცა „შემსრულებლად“, ანუ კუდ-ის უფროსის მოადგილე ადგილობრივი მნიშვნელობის ჯალათად მოგვევლინა. მისი ფუნქცია იყო იმ „ურჩი“ ბიზნესმენების „ჭკუაზე“ მოყვანა, რომლებიც ნაცმოძრაობის სასარგებლოდ „შესაწირის“ გაღებაზე უარს ამბობდნენ. „მასტერას“ სახელმა საქვეყნოდ კიდევ ერთხელ, ოღონდ უკვე ბიზნესგარჩევასთან დაკავშირებით გაიჟღერა. 2008 წელს კომპანია „მაქსტოპის“ მეპატრონეს ბიძინა ქაშიბაძეს თავისივე პარტნიორი ავთო (ჭუტა) წერეთელი აუმხედრდა და კომპანიის წილების გადაფორმება მოსთხოვა. სხვათა შორის, ჭუტა წერეთლისთვის ამგვარი ქმედება უცხო არ არის, ვფიქრობ, საზოგადოებას კარგად ახსოვს წლების წინანდელი ანალოგიური პროცესები თამბაქოს ფაბრიკასთან დაკავშირებით. წერეთელმა ბიზნესპარტნიორთან ტკბილი სიტყვით რომ ვერაფერი გააწყო, საქმეში თავისი ვაჟის მეჯვარე მეგის ქარდავა ჩართო, რომელმაც თავის მხრივ დახმარება გია დგებუაძეს სთხოვა. „მასტერამ“ ქაშიბაძე „მოდულის“ შენობაში „გვარიანად“ აწამა, ნაცმოძრაობისთვის 100.000 ლარის „შეწირვას“ ითხოვდა, მაგრამ უარი მიიღო. საბოლოოდ ქაშიბაძეს ფულის გადახდა მაინც მოუწია, რადგან „მოულოდნელად“ მისი კომპანია ვითომდა საბაჟო პროცედურის დარღვევის გამო, 300.000 ლარით დააჯარიმეს. ოსლოში გადახვეწილი, შეშინებული ქაშიბაძე საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

2012 წლის დასაწყისში „მასტერას“ კიდევ ერთხელ შეუცვალეს პროფილი, ბაჩანა ახალაიამ იგი ასევე განუყრელ მეგობრებთან, მეგის ქარდავასა და ალექსანდრე მუხაძესთან ერთად, თავდაცვის სამინისტროში „გადააპორტირა“, მით უმეტეს, რომ „მასტერას“ სამხედრო მოსამსახურეებთან



„მუშაობის“ გამოცდილება, 2008 წლიდან ჰქონდა. 2008 წლის 16 აგვისტოს სპეცრაზმის თანამშრომლებს აჭარიდან თბილისში გადმოყავდათ დღემდე დაუდგენელი მოტივით დაკავებული ბათუმელი სამხედრო მზვერავი როინ შავაძე, რომელიც, რატომღაც სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. შავაძე გზაში უამრავი თვითმხილველის წინ დახვრიტეს, როგორც ამბობენ, მას 28 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ოფიციალური ვერსიით, შავაძემ გაქცევა სცადა. შავაძის ქვრივი დღემდე აცხადებს, რომ მისი მეუღლის მკვლელობაში გარეულია კუდის მაშინდელი ხელმძღვანელობა – დათა ახალაია, გიორგი დგებუაძე და აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თემურ პატარიძე. 2009 წლის 21 მაისს, კუდმა მუხროვანელ „მეამბოხეებს“, კობა ოთანაძესა და გია კრიალაშვილს ყოველგვარი გასამართლების გარეშე გამოუტანა განაჩენი, ეს სისხლიანი ანგარიშსწორებაც უამრავი თვითმხილველის თვალწინ მოხდა, როცა სპეცრაზმელებმა ისინი თიანეთის გზაზე მიკროავტობუსში ჩაცხრილეს. ოთანაძე შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მერაბიშვილი რომ ორ გვამს ითხოვდა ერთია, მაგრამ, როგორც ამბობენ, გია კრიალაშვილის სიკვდილი თავად დგებუაძესაც ხელს აძლევდა, რათა იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმეში მისი კვალი გამქრალიყო. დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, დგებუაძე აუცილებლად ითანამშრომლებს გამოძიებასთან. მართალია ნაციონალებმა ერთი ხელის მოსმით გაყარეს პროფესიონალები სამართალდამცავი და საგამოძიებო სტრუქტურებიდან, მაგრამ დარჩა და ახალმა ხელისუფლებამაც დააბრუნა კადრები, რომელთა კვალიფიციურობაში ეჭვი არ მეპარება, ეს ხალხი თავისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე და არა ძალისმიერი მეთოდებით, როგორც ნაციონალები აკეთებდნენ, შეძლებს სასურველი ჩვენების მიღებას, რის შემდეგაც ძალიან ცუდად დასრულდება არამარტო ყოფილი მაღალჩინოსნების, არამედ მთლიანად ნაცმოძრაობის საქმე. „მასტერა“ მარტო ზემოხსენებულ საქმეებში კი არა, ზონდერბრიგადების ორგანიზებაში, არჩევნების დროს მოსახლეობის დაშინებაში და საპროტესტო აქციების დარბევაშიც აქტიურად ფიგურირებდა“.

**- დღეს სასამართლო პროცესებზე რაც ხდება, როგორი აგრესიაც მომდინარეობს ყოფილი ხელისუფლების მიერ დახოცილი ადამიანების ოჯახის წევრებისა თუ ჟურნალისტების მიმართ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალები ისევ გვირტყამენ. რა შეფასებას მისცემთ ამ ყველაფერს?**

- ერთი რამის თქმა შემიძლია, რომ არის ორგანიზებული ჯგუფი, ვგულისხმობ ნაცმოძრაობის სატელიტებს, სადაც თავისი რადიკალურობით „თავისუფალი ზონის“ წევრები გამოირჩევიან, რომელიც სპეციალურად დადის სასამართლო პროცესებზე დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. ისინი ცდილობენ შეურაცხყოფა მიაყენონ, მათ შორის ფიზიკური შეურაცხყოფაც, ამ გამწარებულ ადამიანებს, რასაც მიზანმიმართულად აკეთებენ. ეს ძალიან ცნობილი ფანდია, ფანდი, რომელსაც წლების განმავლობაში იყენებდა მიხეილ სააკაშვილი. მე 2009 წლის „კარვების აქციაში“ აქტიურად ვიყავი ჩართული, როცა მიტინგის პიკი იყო, ე.წ. სამართალდამცავები არსად ჩანდნენ, სამაგიეროდ, აქციის მიწურულს, როცა ხალხი იშლებოდა, მაშინ იწყებდნენ დარბევას. სულ მიკვირდა, რა საჭირო იყო ამ დროს დარბევა, მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს ძალის დემონსტრირებისთვის ჭირდებოდათ. ნაციონალები ხელისუფლებაში აღარ არიან, რომ უმოწყალოდ დაარბიან ხალხი, მაგრამ დესტაბილიზაციის შექმნას, პროცესების ქუჩაში გადატანას ცდილობენ, რომ ქუჩურ გარჩევებს დაამსგავსონ ეს ყველაფერი. ხალხს დაანახონ, ერთი იდეის გარშემო არიან შეკრებილი, საკუთარი თავის დაცვა შეუძლიათ და ა.შ. ჩემი აზრით, ამის ერთადერთი პრევენცია არსებობს, ყველა ამგვარ ქმედებაზე ხელისუფლება ადმინისტრაციული სასჯელებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღიძრას, რადგან ყველა ეს ე.წ. რადიკალი, თავის დროზე პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. გოგა ონიანს რომ უფლებადამცველობაზე გაუჩნდება პრეტენზია, კაცს, რომელიც ხან რეალურ უფლებადამცველებს ურტყამდა და ხან დევნილებს, ამის დამადასტურებელი უამრავი კადრი არსებობს. მართალია, უფლებადამცველის მანტია მოისხა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის, იგინება და პირდაპირ გადმოდის შეტევაზე. ასე ჩაივლის ნებისმიერი სასამართლო პროცესი, რადგან სპეციალურადაა გაკეთებული, ეს ყველაფერი მხოლოდ ნაცმოძრაობას აძლევს ხელს, რომ ფონი შეიქმნას, თითქოს ქვეყანა არეულობისა და საფრთხის წინაშე დგას. ამას შემდეგ ე.წ. ინტელექტუალების ჩართვა მოყვება, აქაოდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობასა და ევროპულ მომავალს ექმნება საფრთხეო. ასეთი ლოკალური ჩხუბების რაოდენობის გაზრდას შეეცდებიან, რისი იმედიც ვარწმუნებ, ტყუილად აქვთ, რომ საზოგადოება როგორმე რევოლუციურ ზღვართან მიიყვანონ, ხომ ხედავთ სხვა საშუალება არ არის, კანონი არ გვიცავსო. მალე ასეთი შინაარსის გზავნილებსაც კი გააკეთებენ, კარგი, ჩვენ დამნაშავეები ვართ, თქვენ ხომ ხართ დაზარალებულები, თქვენც არ გიცავთ მთავრობაო. მათი მხრიდან, ეს ყველაფერი დაუცველობის სინდრომის შექმნას ემსახურება და აქ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა თუ შედეგი არაფერ შუაშია.

**- ნაციონალების სურვილი გასაგებია, მაგრამ მთავრობა რას უპირისპირებს ამ ყველაფერს?**

- ამიტომაც ვამბობ, რომ ხელისუფლების მხრიდან რეაგირება უნდა გამკაცრდეს, სხვაგვარად წარმოუდგენელია. თუ ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ყოველ შემთხვევაში, ვაშენებთ ასეთ ქვეყანას, მაშინ შესაბამისი კანონებიც უნდა მოქმედებდეს, რომ შენ, ერთ კონკრეტულ მოქალაქეს უფლება არ გაქვს სხვისი უფლებები შელახო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯები. როცა შვილმკვდარ მამებსა და დედებს ლანძღავენ, აყენებენ შეურაცხყოფას, ათას სიბინძურეს აბრალებენ, ამ ყველაფერზე რეალური რეაგირება უნდა მოხდეს. ნაცმოძრაობის წევრები ისე გათავხედდნენ, რომ დაგვცინიან კიდეც, როდის გქონდათ თავისუფლებაო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# დღეს საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი რომ რუსეთთანაც აღადგინოს ურთიერთობები და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებიც წარმატებით გადაჭრას

## ექსკლუზიური ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „ინფოროს“-ის ხელმძღვანელთან ბატონ დენის ტიურინთან



**— მოგესალმებით ბატონო დენის ვალერიანოვიჩ და აქვე მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რომ უმალ დაგვთანხმდით ინტერვიუზე მიუხედავად თქვენი გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა...**

— გამარჯობა! რას ბრძანებთ, პირიქით, მადლობა თქვენ, რომ მაძლევთ საშუალებას, კიდევ ერთხელ მივესალმო ქართველებს და საქართველოს!

**— ოდესმე თუ ყოფილხართ ჩვენთან?**

— კი, და, სამწუხაროდ, მხოლოდ 2-ჯერ... პირველად საბჭოთა კავშირის დროს ბავშვობაში სოხუმის პიონერთა ბანაკში, საიდანაც ავტობუსით წაგვიყვანეს ფოთის და ბათუმის დასათვალიერებლად და მეორედ 2002 წელს, რამდენიმე დღით თბილისში... მე თქვენი ქვეყნის თაყვანისმცემელთა რიგებში ვარ და შემიძლია გულახდილად გითხრათ ისიც, რომ ძალიან მწყდება გული იმაზე, რაც დღეს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ხდება... აქვე გეტყვით, რომ განათლებით ეკონომისტი გახლავართ და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს თბილისში სწორედ ჩვენს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავების თაობაზე ვიმყოფებოდი...

**— 2002 წლის შემდეგ ბევრი რამ მოხდა, შეიცვალა ხელისუფლება, იყო ომი ცხინვალში და ა. შ., თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, იქამდე კი გკითხავთ — თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამ ყველაფრის ფონზე ქართველებსა და რუსებს შორის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობები დათბეს?**

— რიგითი ადამიანების შემთხვევაში, მე მგონია, რომ ყველაფერი წესრიგშია და ამის დასტურად ჩემი მეგობრის ნაამბობს მოვიყვან, რომელიც სულ ახლახანს დაბრუნდა საქართველოდან და რომელიც თბილისის გარდა რამდენიმე ქალაქში იმყოფებოდა, აღტაცებული ჰყვებოდა, როგორი თბილი დამოკიდებულება გამოიჩინეს ქართველებმა მის მიმართ, არადა, ეს მაშინ, როცა თბილისში გამგზავრება, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც ანტირუსული განწყობის გამო, მაგრამ მიამბო რიგითი ქართველების განწყობა, ამ წლების განმავლობაში როგორ შეიცვალა და ქართველებს უთქვამთ, რომ სურვილი იმისა, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, ეკონომიკური ურთიერთობები სასწრაფოდ უნდა მოგვარდესო! დამეთანხმეთ, რომ ქართული პროდუქციის ერთ-ერთი რეალური ბაზარი არის რუსეთი და რა არის იმაში ცუდი, რომ ქართველმა გლეხმა თავისი მოწეული პროდუქცია ისევ რუსეთის ბაზარზე შემოიტანოს? ამერიკა შორსაა, იქ თავისიც ბევრი აქვთ ყველაფერი და შეიძლება მრავალფეროვნებისთვის ერთი-ორჯერ იყიდოს კიდეც ქართული ნაწარმი, მაგრამ მუდმივი მომხმარებელი ხომ არ გახდება და საკუთარი ფერმერების მიერ მოწეულ პროდუქციაზე უარს ხომ არ იტყვის? ევროპის ბაზარიც ღია იქნება საქართველოსთვის, რადგან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, მაგრამ განა ევროპაში თავისი პროდუქცია თავზე საყრელი არა აქვთ? მეტსაც გეტყვით — ევროპა თვითონ ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია და უცხო, მათთვის სრულიად უცნობ პროდუქციას ასე მარტივად შეიტანს თავის ბაზარზე?! რუსეთს კი დღემდე ახსოვს და სურვილიც აქვს — ბიოლოგიურად სუფთა, მაღალი სტანდარტის ქართული ხილი, ღვინო, ყველი, მინერალური წყლები და ა. შ. კვლავაც დაუბრუნდეს რუსულ ბაზარს და ამის არამხოლოდ მყიდველი იქნება კმაყოფილი, კმაყოფილი იქნება ქართველი გლეხი, მეწარმე, ბიზნესმენი და განა ეს ცუდია?!

ჩემი ინფორმაციით, სულ მალე საქართველოსთან მიმართებით სავიზო რეჟიმი მოიხსნება! ამის შესახებ ბატონმა პრეზიდენტმაც ბრძანა და ვფიქრობ, სიტუაციაც მომწიფდა იმისთვის, რომ ყოფილი „ესენგე“ ქვეყნებიდან მხოლოდ ერთადერთ ქვეყანასთან საქართველოსთან — უვიზო რეჟიმი გაუუქმდეს!

აი, უკვე 25 წელია, ჩვენ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ვითარებაა, რიგი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების გამო ბევრი დარტყმა მიიღო უბრალო ხალხმა, წლობით ვერ ხერხდებოდა ნათესავების ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს დასასრული? მოდით, ვიდრე მკითხავდეთ, თქვენთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხზე — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე რუსეთის მხრიდან, აქვე გეუბნებით, რომ ამ საკითხის მოგვარებაც კი შესაძლებელია, მაგრამ ეს უპირველესად ქართულმ,ა მხარემ უნდა გააკეთოს, უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი თუნდაც ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული ღონისძიებების დახმარებით! აკი, ბრძანა კიდეც ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინმა, რომ თუკი ქართველები გამონახავენ მათთან საერთო ენას, ჩვენ, რუსეთი ამ პროცესებს ხელს არ შევუშლითო? ჩემი აზრიც ასეთია და რა იქნება იმაში ცუდი, რომ საქართველომ ბოლოსდაბოლოს ეს ნაბიჯი არამხოლოდ აფხაზი და ოსი მოქალაქეების მიმართულებით, არამედ რუსეთის ფედერაციისკენაც გადმოდგას? როგორ, განა ქართულმა მხარემ არ გაწყვიტა პირველად დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან? ამიტომ, ინიციატივა რაიმე სახის პრობლემის მოგვარებაზე, ურთიერთობის აღდგენაზე არა რუსეთის ფედერაციიდან, არამედ უპირველესად საქართველოს ხელისუფლებისგან უნდა მოდიოდეს და გიმეორებთ — ამ დიალოგის დასაწყებად პოლიტიკური ვითარება მომწიფებულია, რომ აღარაფერი ვთქვა დანარჩენ სფეროებზე, თანამშრომლობის თვალსაზრისით!

**— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია დამისი 20 პროცენტი კი ოკუპირებული რუსეთის ფედერაციის მხრიდან! ამის ნათელი დასტურია ის, რომ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ე. წ. სასაზღვრო ზოლს რუსი ჯარისკაცები აკონტროლებენ... ამდენად, ვერც აფხაზებთან და ვერც ოსებთან მისასვლელ, თუნდაც გზაზ ახლოსაც ვერ მივეკარებით და თქვენ კიდევ გვეუბნებით — დაილაპარაკეთ ერთმანეთში და რუსეთი ხელს არ შეგიშლითო?**

— მომისმინეთ, ქალბატონო ირინა... საამისოდ რამდენიმე, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი არსებობს, კერძოდ... ისეთი დონის ეკონომიკური პროექტები, რომლებზეც უარის თქმა თითქმის გამორიცხულია უზარმაზარი სარგებელის გამო და ასეთი, თუნდაც სარკინიგზო მაგისტრალია, რომელიც ლესელიძიდან ვიდრე ერევნამდე, ანდა ჩინეთამდეც კი შეიძლება განვიხილოთ. დამეთანხმეთ, რომ საინვესტიციო პროექტები ისევე, როგორც ჰუმანიტარულ-კულტურული პროექტები საწინდარი გახდება არა მხოლოდ ბიზნესის დასაწყებად, არამედ იმ აფხაზსაც და ოსსაც დაუბრუნებს რწმენას, რომ ქართველებთან თანაცხოვრება მომგებიანი იქნება ჩვენთვისო და ეს ყველაფერი კი ასევე საწინდარი გახდება იმ პოლიტიკური უხერხულობების აღმოსაფხვრელად, რომელიც საუკუნის მეოთხედის განმავლობაში თქვენს შორის არსებობდა! რუსეთი თუნდაც რკინიგზის პერსპექტივას აუცილებლად დაუჭერს მხარს, რადგან ეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაკადთან არის დაკავშირებული, რომელიც საქართველოს გავლით ირანთან და სპარსეთის ყურესთან დააკავშირებს მას და მეორე, საქართველო, რომელიც გზაჯვარედინია „აბრეშუმის გზისა“ და რომელზე გავლითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთამდეა შესაძლებელი ტვირთების გადაზიდვა — ამაზე რუსეთი როგორ იტყვის უარს, რას ბრძანებთ? თქვენ წარმოგიდგენიათ, რამხელა შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ სარგებელზეა ლაპარაკი?! ეს მაგისტრალი ხომ სინამდვილეში ერთ-ერთი მსხვილია და უმნიშვნელოვანესი ევრაზიულ სივრცეში?! არსებობს ერთი ასეთი რუსული გამოთქმა: „გზა — ეს არის სიცოცხლე“ და მართლაც ეს პროექტი სისრულეში რომ მოვიდეს, წარმოგიდგენიათ, რამხელა დოვლათს შექმნის თუნდაც საქართველოში? გზას უპირველესად ადამიანები მოჰყვებიან. დღეს საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი რომ რუსეთთანაც აღადგინოს ურთიერთობები და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებიც წარმატებით გადაჭრას, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა წარმატებით გამოიყენოს! ვიდრე საქართველო ყოყმანობს, ამასობაში, მისი მეზობელი თურქეთი — მზად არის ყველა ის უპირატესობა, რაც საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის თვალსაზრისით ბუნებრივად აქვს — თავისკენ მიიზიდოს და ევროპისკენ მიმავალ ტვირთებს, გზა თურქეთის გავლით მისცეს? მეტიც, მხოლოდ ტვირთები, არამედ სხვა ენერგეტიკული პროდუქტი, ისეთი, როგორიცაა ბუნებრივი გაზი და ელექტროენერგია, ასევე თურქეთის გავლით უნდათ, რომ მოხვდეს ევროპაში და, რასაკვირველია, ამით თურქეთის ეკონომიკა უდიდეს სარგებელს მიიღებს! ამიტომ, საქართველო ბოლოს და ბოლოს უნდა ჩამოყალიბდეს და პრაგმატული პოლიტიკის გზას დაადგეს — სურს, რომ გაურკვეველი ვადით და პერსპექტივით ევროკავშირის წევრი ქვეყნის პერსპექტივას დაელოდოს თუ მიიღოს ასევე პრაგმატული გადაწყვეტილება და იმ ქვეყანასთან დაიწყოს თავისი ეკონომიკის აღორძინება, რომელთანაც მრავალწლიანი, მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა აქვს? ვერაფერს ვიზამთ, საქართველოს გაოგრაფი-



ული მეზობლები გახლავართ ჩვენ – რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთიც, მაგრამ ისტორიულ ჭრილში თუ განვიხილავთ დღევანდელ გეიპოლიტიკურ ვითარებას, საქართველოსთვის უპრიანი იქნება იმ ევროაზიურ სივრცეში თანამშრომლობა, რომელზედაც დღეს ვიცი, რომ თქვენთან დიდი ვნებათაღელვებია...

— **დიახ, ევრაზიული კავშირის თემა მართლაც რომ კრიტიკის ქარცეცხლშია ჩვენთან...**

— ვიცი, ვიცი... მაგრამ, ევროაზიური კავშირის ეკონომიკური პერქპექტივები რამდენად დათვლილი, გათვლილი და გააზრებული აქვთ ოპონენტებს? უბაჟო მიმოსვლა ტვირთებისა, პლუს განუსაზღვრელი ტვირთბრუნვა აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთამდე, სამხრეთიდან დასავლეთამდე ხომ საქართველოს გავლით მოხდება და ნუთუ, ამის წინააღმდეგი შეიძლება იყოს თუნდაც რიგითი ეკონომისტი?! ეკონომიკური ინტეგრაცია ისეთივე აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის, როგორც ჰაერი და წყალი, მაგრამ იზოლაცია ისეთივე დამღუპველია, როგორც უჰაერობა და უწყლობა. მაპატიეთ, შესაძლოა, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა სურს მას – ხანგრძლივი უპერსპექტივობა თუ სწრაფი აღმავლობა.

— **დენის ვალერიანოვიჩ, გასაგებია თქვენი სურვილები, მაგრამ საქართველო ფრთხილობს რუსეთთან რაიმე სახის საქმიან ურთიერთობას, რადგან რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ქართული პროდუქცია რუსეთში არ შეუშვეს ვითომდა სტანდარტების დარღვევის გამო... ჩვენში გამეფებულია აზრი, რომ რუსეთი არაკეთილი მეზობელია და არასანდო პარტნიორი... ამას ემატება ლამისაა ყოველ 6-7 წელში ომი რუსეთთან და ამ ყველაფერს რა ვუყოთ, აბა?**

— დიახ, ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ მოდით, ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ ჩვენს დაპირისპირებას ზოგჯერ თქვენდამი და ჩვენდამი, ბრჭყალებში „მეგობრებიც“ არ აკლებენ ხელს...

— **რას ვგულისხმობთ?**

— ახლავე მოგახსენებთ... სამწუხაროდ, გეოგრაფიულად რუსეთის სამხრეთით მდებარე საქართველოს ხელისუფლებები, ისევე, როგორც, ვთქვათ, უკრაინის ხელისუფალნი, რუსეთისადმი მტრულად განწყობილმა და იმავდროულად გეოპოლიტიკური მდებარეობით დაინტერესებულმა ქვეყნებმა რუსეთთან დასაპირისპირებლად მომართეს არამხოლოდ იდეურად, არამედ ფინანსურადაც და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ! ლოგიკურად აქვე იბადება კითხვა — კი, მაგრამ, რა სარგებელი მიიღო თუნდაც წაქეზებულმა ქვეყნებმა? არაფერი, ხომ? ევროკავშირში უვიზო მიმოსვლაც კი ვერ მოახერხა საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ყველაფრის დასათმობად მზად არის, მაგრამ ნახეთ, როგორ ხდება? – უკრაინას უთხრა ნიდერლამნდებიდან უარი ევროპამ, იმ უკრაინას, რომელიც ზედ აკრავს გეოგრაფიულად ევროპის ქვეყნებს და საქართველო, რომელიც მხოლოდ ბუფერად სჭირდება რუსეთის გასაღიზიანებლად და რომელიც ტერიტორიულად შორსაა ევროპისგან, როგორ ფიქრობთ, ევროპის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა გახდება და მას ევროპა გულში ჩაიკრავს, როგორც დაკარგულ შვილს? ნურას უკაცრავად, რადგან ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მოქალაქეებს და ქვეყნებსაც ევროპა – მასთან თანასწორად არ აღიქვამს და ყოველთვის მოექცევა ისე, როგორადაც ახლა ექცევა, ანუ გამოიყენებს იმისთვის, რომ საკუტარი ამბიციები დაიკმაყოფილოს! არ მინდა, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების განაწყენება, მაგრამ ჩემი აზრით – უტოპიური მოლოდინები და პლუს ამ მოლოდინებში აღე-



ბული აურაცხელი თანხები, მაინც არ ღირს იმად, რომ საკუთარი მოქალაქეები გაწირო და ბუნდოვანი პერსპექტივების მსხვერპლად აქციო! ჯერ ერთი, მოდით ის ვთქვათ, თვითონ ევროპა და ამერიკა რამდენად სანდო პარტნიორები არიან მაშინ, როცა კი მათი ინტერესი იკვეთება ხოლმე? თავი დავანებოთ იმასაც, რომ ეკონომიკური კრიზისი არათუ დაძლეულია ევროპაში, არამედ ახლაცაა და ამას ხელი იმ სანქციებმაც შეუწყო, რომელიც რუსეთის მისამართით ასე გულუხვად ფაიღეს...

— **უკაცრავად, შეგაწყვეტინეთ... შარშან და წელს შესაძლებლობა მომეცა, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, კერძოდ იტალიაში ჩავსულიყავი და სწორედ იქ შევიტყვე, რომ იტალიას, რომელიც გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდა, მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვერ რეალიზების გამო 45 მილიარდამდე ევროს ზარალი მისდგომია! ასევე, გერმანიას, საფრანგეთს, პოლონეთს რუსეთის ბაზრის დაკარგვა ძალიან ძვირად დაუჯდათ...**

— აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, დიახ, ვეღარ შემოიტანეს ევროპელებმა რუსეთში თავისი პროდუქცია, ბევრი ფერმერი გაკოტრდა, დაითხოვეს მუშახელი, დაკეტეს ფაბრიკები, ქარხნები, მაგრამ ამით რუსეთს არაფერი დაკლებია, რადგან უმალვე მოიძებნა ალტერნატიული მომწოდებლები თუნდაც ჩინეთიდან, ანდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, გამიგეთ? სამაგიეროდ, უგუნურად მიღებული უგუნური სანქციებით თავად დაზარალდნენ და უფრო გააღრმავეს ის კრიზისი, რომელიც რეალურად თვითონვე შექმნეს ასევე უგუნური პოლიტიკის გამო! ავიღოთ ერაყი, ლიბია, ეგვიპტე, ავღანეთი – ვისი პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ეს სახელმწიფოები? და, ახლა ამ განადგურებულ ტერიტორიებზე აღმოცენებული რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა ვის უწევს? მთელი მსოფლიოს ლიდერები, მათ შორის ამერიკის პრეზიდენტი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, საფრანგეთის პრეზიდენტი და ა.შ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტერორიზმთან საბრძოლველად, მართალია, მზად კი არიან, მაგრამ უპირატესობას ამ ბრძოლაში მხოლოდ რუსეთის არმიას ანიჭებენ, ხომ? ანუ, რა გამოდის? ისინი აღვივებენ ცეცხლს და ჩვენ უნდა მათ კვალდაკვალ მეხანძრეების ფუნქციები შევასრულოთ?

— **რადგან ომების და კონფლიქტების თემას შეეხეთ, მინდა ყარაბაღის შესახებაც გკითხოთ, რადგან ექსპერტთა ვარაუდით, თუკი სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება კვლავაც მოხდება — დაძაბულობა მთელ კავკასიაზე გადმოვა და მათ შორის საქართველოშიც უმართავ პროცესებს მივიღებთო!**

— მოდით, ვთქვათ ხმამაღლა ის, რაც ყველამ კარგად იცის და უპირველესად კარგად მოეხსენებათ პოლიტიკურ წრეებს... სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც დღეს სათავეში უდგანან ძალიან კომპეტენტური, ანგარიშგასაწევი ლიდერები, როგორებიც არიან ბატონი ილხამ ალიევი და ბატონი სერჟ სარქისიანი, ორივე პრეზიდენტი აცნობიერებს იმას, რომ ყარაბაღში საომარი მოქმედებების ესკალაცია გამორიცხულია და ორივეს გააზრებული აქვს ისიც, რომ ფართომასშტაბიანი კონფ-



ლიქტის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ იქნება გამარჯვებული გარდა მესამე, დაინტერესებული და ჩასაფრებული ძალისა!

დღეს ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად მოგებული დარჩება – თურქეთი, რადგან საომარი მოქმედებები პირდაპირ აისახება იმ ინვესტიციებზე, რომლებსაც ან უკვე ჩადებული აქვთ თავიანთი კაპიტალი აზერბაიჯანში, ან აპირებენ... ის, ვინც უკვე ჩადო ფული ამა თუ იმ პროექტში – წავა აზერბაიჯანიდან, ხოლო ვინც აპირებს, აღარ განახორციელებს კაპიტალდაბანდებას და იფიქრებს, სად დააბანდოს ფული, რომ მოგება ნახოს, ხომ? თურქეთი „ნატოს“ წევრი ქვეყანაა, მისი უსაფრთხოებაც დაცულია საერთაშორისო კონვენციებით, მზარდი ეკონომიკა აქვს, ჰოდა, ინვესტორისთვის ეს სამი კომპონენტი საკმარისია იმისთვის, რომ თავისი კაპიტალდაბანდება აზერბაიჯანიდან თურქეთში გადაამისამართოს და მოგებაც მიიღოს. ამას გარდა, სააკაშვილისა არ იყოს, ოღონდაც რუსეთის წინააღმდეგ იპროვოკატოროს და, რასაც გნებავთ, იმას ჩაიდენს თურქეთი, მით უმეტეს, თუ ამით სარგებელსაც ნახავს!!!

— **თქვენი აზრით, საქართველომ ორ მეზობელს შორის საომარი ვითარების შემთხვევაში, რა პოზიცია უნდა დაიკავოს?**

— პირადად ჩემი აზრია, რომ საქართველომ – მკვეთრი ნეიტრალიტეტის პოზიცია უნდა დააფიქსიროს და ისევე, როგორც ამას რიგი სახელმწიფოები აკეთებენ, მოლაპარაკებებისკენ და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდოს მხარეებს!

— **თუკი თურქეთი დღევანდელ პოლიტიკურ სცენაზე პროვოკაციებით არის წაროდგენილი, რას შეიძლება ველოდეთ ჩვენ აჭარაში, სადაც ათსაობით თურქია შემოსული?**

— საკუთარ ქვეყანაშივე არაპოპულარული და პოლიტიკურად დამარცხებული ერდოღანი იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანას ავნოს – აი ,ასეთ – შიდა მოხმარებაზე გათვლილ პეოვოკაციულ ნაბიჯებს დგამს, რათა თურქეთის მოსახლეობას თუნდაც ამ პროვოკაციით „ოსმანთა დიდი იმპერიის აღდგენის“ ამბიცია გაუღრმავოს! რასაკვირველია, თურქთა რაოდენობრივი მაჩვენებელი აჭარაში დიდია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ისინი ომით არ მოსულან? უამრავი თურქი მეგობარი მყავს და თურქეთშიც უამრავჯერ ვყოფილვარ, თუმცა მათი მხრიდან ერდორანის და მისი აგრესიული პოლიტიკის მომხრეები იგივე ოსმანთა იმპერიის ძველი საზღვრების კუთხით, თურქებსაც კი უტოპიად მიაჩნიათ, მაგრამ მომხრეებიც ხომ ჰყავს? ჩემი აზრით, სწორედ მომხრეების ნაწილია დღეს აჭარაში წარმოდგენილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ არამხოლოდ ბათუმი და აჭარა, არამედ მთელი საქართველო ოდესღაც მათი გავლენის სფერო იყო, მათი იყო შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთიც, აფხაზეთიც, ყირიმიც და ა.შ.! ამჟამად თურქეთი აქტიურდება უკვე უკრაინის მიმართულებით და გეგმავს იმ ტერიტორიების მოპოვებას, რომელიც რუსებმა დიდი ხნის წინ გაათავისუფლეს ოსმანთა იმპერიისგან და ვგულისხმობ ყირიმის ოლქს... პრეზიდენტ პოროშენკოსთან ამ საკითხთან დაკავშირებით კულუარულ მოლაპარაკებებსაც კი მართავენ და მეტიც, უახლოეს მომავალში ქ. ხერსონის სახელის შეცვლასაც კი გეგმავენ, რომ თითქოსდა ისტორიული სამართლიანობა არადგინონ და უწოდონ მას – ხაჯიბეი!!!

ამ სიტუაციაში სააკაშვილმა საბრძოლო ლეგიონიც შესთავაზა ილხამ ალიევს, ცოცხალი ძალითაც შენს გვერდით ვდგავაროო! საერთოდ, მიჩნდება ეჭვი – ამ ბრჭყალებში „პატრიოტ“ ვიცე-პრეზიდენტს და ამჟამად ოდესის ოლქის გუბერნატორს რეალურად უყვარს თუ არა ან საქართველო, ანდა უკრაინა, სადაც ახალგაზრდობა გაატარა?

— **მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ ინტერვიუსთვის, რომელსაც ქართველი მკითხველი ოთხშაბათს გაეცნობა და მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ამ ერთი ინტერვიუთი არ შემოიფარგლება! ნახვამდის...**

— დიდი სიამოვნებით გიპასუხებთ ნებისმიერ შეკითხვაზე და დარეკეთ, როცა კი ამის აუცილებლობა იქნება! მშვიდობა გქონოდეთ ქართველებს!

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35



## თამარ თორაძე:

# ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი – მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც 23 წლის წინათ ხუთი ძმა და დედ-მამა მომიკლეს



***ექსკლუზიური ინტერვიუ 1992 წელს ამოხოცილი თორაძეების ოჯახის ცოცხლად გადარჩენილ წევრთან ქალბატონ თამარ თორაძესთან***

სისხლიანი ტრაგედია, რომლის შესახებაც საკმარისად ითქვა, მაგრამ ძალიან ცოტა ვიცით. რა მოხდა, რეალურად, 1992 წლის მარტში თორაძეების ოჯახში. ვინ და რა მიზნით ამოხოცა ოჯახის ყველა წევრი და როგორ გადაურჩა აშკარა სიკვდილს ერთ-ერთი თორაძე! წიგნი, რომელიც ამ ტრაგედიის დეტალებზე მოგვითხრობს, საიდუმლო, რომელიც ჯერ ვერავინ ამოხსნა, „ერთი უბრალო“ მიზეზით – ამ ამბით არც არავინ დაინტერესებულა!

თამარი იმ სისხლიანი ტრაგედიის დღეს ცამეტი წლის იყო, თუმცა ასაკთან შედარებით საკმაოდ ჭკვიანი და „გამოცდილი“. აღნიშნული მკვლელობა საკმაოდ გახმაურებული იყო, თუმცა თბილისში მკვლელობები აღარავის უკვირდა, არაფორმალური შეირაღებული დაჯგუფებები პოლიციის განყოფილებებსაც თავს ესხმოდნენ და არც ერთმანეთს ინდობდნენ...

თამარი ჩემმა უახლოესმა მეგობარმა დამაკავშირა აშშ–დან, მოგვიანებით კი ინტერვიუც შედგა.

**– ქალბატონო თამარ, რამდენი წელი იწერებოდა ეს წიგნი?**

– წიგნი „ვერელი თორაძეები“ ბავშობიდან მედო გულში და ტვინში, რომ დამეწერა. დღიურებში ვწერდი ყველა განსაკუთრებულ დღეს. არ მსურდა, რამე დავიწყებას მისცემოდა! წიგნს სერიოზული სახე მაშინ მივეცი, როცა ყველას და ყველაფრის მიმართ შიშის გრძნობა დავკარგე. დასაკარგი როცა აღარაფერი და არავინ გყავს, ალბათ, უფრო გაბედული ხდები. ჩემს საკუთარ სიცოცხლეზე არასოდეს მიდარდია. მთავარი იყო ყოველთვის, სიმართლე არ დამეკარგა... ჩემი ოჯახის სახელი რომელიც ლაფში ამოსვარეს (1992 წლის 3 მარტს „მოამბეში“ გადმოსცეს თორაძეების ბანდა ამოხოცილი იქნაო და ჩემ მშობლებს უკვე დახოცილებს ავტომატები და ლიმონკები მიუწყვეს, ასევე ჩემს ძმას ლაშას. უიარაღო 2 ძმა კახა და იმედო თვალწინ ჩამიცხრილეს)! ამას რა დამავიწყებდა?! 2013 წლიდან ამოვყარე ჯადოსნური ყუთიდან საჭირო მასალა.. (ესე ვეძახდი იმ ყუთს, სადაც ყველა დღიურს, საბუთებს და ჩანაწერებს ვმალავდი), გადავარჩიე, რაც ძალიან არ არევდა სხვების ცხოვრებასაც, მაგრამ ჩემების სიმართლეს მაინც გამოამჟღავნებდა და შევუდექი წიგნის წერას, რომელიც 2014 დავასრულე და 2015-ში უნდა გამოსულიყო 23 წლის თავზე თორაძეების დახოცვიდან. დიდი იმედი არა, მაგრამ ცოტაზე მეტი მქონდა, რომ ხელს ვერავინ შემიშლიდა, – სააკაშვილი აღარ იყო ქვეყნის პრეზიდენტი! ასევე სააკაშვილის მრჩეველები ძმები რურუები ვეღარ „იბლატავებდნენ“, მეგონა! ასევე „ზარალას“ (გიორგი რამიშვილი) ძალებიც მოსუსტებული იქნებოდა! მაგრამ სად ოცნებობ, თორაძე?! „ზარალას“ ამასობაში 200 მილიონი უშოვია და შენ წიგნს რატო არ შეუშლის ხელს?! ასევე ირაკლი ალასანიას ძალებიც არ დასუსტებულა! (ბოროტების წინ წაგდებული შნირი და სააკაშვილის ნათესავი ფულებს რო უთეთრებდა ყველა შავ საქმეს ყველა დროში..).

**– ვწუხვარ, საკმაოდ მძიმე წლები გამოგივლიათ, მომიყევით თქვენი ოჯახის ისტორია.**

– მშობლები დედისერთები იყვნენ, ამიტომაც გადაწყვიტეს შვილებს ბევრი და-ძმა გვყოლოდა. მამა ყოველთვის კარგ თანამდებობაზე იყო,(ვაჭრობის სამართველოს უფროსის ერთ–ერთი მოადგილე), ასევე დედაც, გლდანის რაიონის ბაზრის დირექტორი იყო... მანამდე სახელმწიფო სამსახურში იყო დედაც. მყავდა ხუთი ძმა და სამი და, ისე, კიდევ ერთი ძმა მყოლია მამისგან რუსეთში, ერთი და 8 თვის გარდაცვლილა... ჩემი ძმები „ანგელოზობით“ არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათვის ვაჟკაცობა იყო ის ცხოვრება, როგორც ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, მშობლებს ეს არ მოსწონდათ და ყველა ღონეს იყენებდნენ, მათი ცხოვრება შეეცვალათ. იმის მაგივრად, რომ ძმებს „დელეცი” კაცებისგან ფულები ერთმიათ და გაჭირვებულებისთვის ერიგებინათ! საკუთარი თავისთვის უნდა მიეხედათ: ესწავლათ, ემუშავათ და უბნის საქმეები არ ერჩიათ! რომელ მშობელს არ უნდა კარგი შვილი?! ჩვენს ოჯახს არასოდეს უჭირდა, რო ქუჩიდან ძმებს ლუკმა შემოეტანათ და არც არასოდეს შემოუტანიათ! აი, სხვის ოჯახებში კი მართლაც ბევრი შეჰქონდათ! ვიღაცას ეს არ მოსწონდა, ვიღაცას ჩემი მშობლები არ მოსწონდა.. როგორ არ ერჩოდნენ, რა ძალებს არ იყენებდნენ, რომ დაეპატიმრებინათ, ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე... მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდათ ან ფაქტი, თორე, მერწმუნეთ, არ დაინდობდნენ! (ვრცლად ვყვები წიგნში და აღარ მსურს ეს დეტალები ვწერო ხშირად...), ერთ დღესაც მოიცალეს კარგად! შეიკრა ეს ყველა ძალა მთავრობის და ქუჩის! ერთად მოადგნენ ვერის სასაფლაოს, მშობლებს ჩემი ძმა ლაშა მოჰყავდათ კლინიკიდან, გადახვევაზე ჰყავდათ (წინა კვირაში დაჭრეს ძმები და ძმაკაციც მოუკლეს, „ნამცეცა“ პლატოზე...), ვერის სასაფლაოზე ჩამალულები ელოდებოდნენ სამხედროფორმიანები მამაჩემის მანქანას, ასევე ყველა ახლო კორპუსთან სნაიპერები იდგნენ, გულში ესროლა სნაიპერმა მამაჩემს პირველივე ტყვია და მერე დედაჩემს და ლაშას მიადგნენ, ასობით ტყვია ჰქონდა მანქანას მოხვედრილი. ლაშა მანქანიდან იყო გადმოსული, ეტყობა, გაქცევა სცადა ან მერე გადმოაგდეს და მოკლულს ავტომატი მიახუტეს! დედას სახეშიც კი ესროლეს! საკონტროლო არც თვალში დააკლეს!!! მერე ავტომატები მიახუტეს და უკან ლიმონკებიც მიუწყვეს მანქანაში! რომელიც მოგვიანებით იმ საღამოსვე, საინფორმაციო „მოამბით“ ანახეს და გადმოსცეს!.. კახა, იმედო, პაატა, მე და ჩემი დები სახლში ვიყავით, ის ხანგრძლივი სროლები რომ გავიგეთ.. ფანჯრებიდან ვცდილობდით გაგვეგო, თუ ვის ესროლეს. ხალხის ნაკადი მორბოდა, მეზობლები, რომლებიც შეშინებულები და დაბნეულები ვერ გვეუბნებოდნენ, რა მოხდა, მერე კი ერთმა გვითხრა 07 ჩაცხრილეს მანქანის ნომრები 11-11, რომელიც მამაჩემის იყო... იმ წამსვე მეზობელი მოვიდა, მეორე სართულზე მცხოვრები თამარა (ამ ადამიანის სახელს პირველად ვამბობ, რომელიც წიგნში კეთილ მეზობლად მყავს მოხსენიებული), კახას ამშვიდებდა: მოკლეს სამივე, მაგრამ თავი ხელში აიყვანე, ბავშვები ცოდოები არიანო და დიდი ოთახის მილაგება დაიწყეს, მიცვალებულების ამოყვანაზე საუბრობდნენ ჩურჩულით. კახა ფეხზე იცმევდა, ქვევით უნდა ჩავიდე, იქნებ გადავარჩინო რომელიმეო!!! იქნებ პულსი ისევ უცემდეს რომელიმესო!! (ეს საშინელი გასახსენებელია ჩემთვის)! თამარა მეზობელი ეუბნებოდა: შენც მოგკლავენ, სად უნდა ჩახვიდეო?! იმედო კითხვას სვამდა: რა დავაშავეთ, რატო უნდა მოგვკლანო? ეს მომენტები იყო შოკი! ეს არ იყო ჩვეულებრივი ცხოვრების მომენტები! ეს მძაფრსიუჟეტიან ფილმებშიც არ მქონდა ნანახი მაშინ! ტელეფონს ვეცი, ზაზას გადარჩენა ან ზაზასგან შველა მინდოდა! (უფროსი ძმა, რომელმაც იმ დილით დატოვა სახლი და ცოლ-შვილთან წავიდა), არ ვიცი, რას ვაკეთებდი, ვფიქრობდი, ყველას ამოგვხოცავდნენ, განა იმიტო, რო რამე დავაშავავეთ?! არა, უბრალოდ, მარტივი იყო ჩემთვის პასუხი გამეცა საკუთარი თავისთვის! მშობლები მომიკლეს უდანაშაულო და ვიღას დაინდობენ ეს არაადამიანები?!!! მეზობელი თამარა ხან მიდიოდა, ხან მოდიოდა, ეს წუთებში ხდებოდა... მე ტელეფონს ვეცი და ვრეკავდი. კახა შემოვიდა იგივე ოთახში, ფანჯრიდან გაიხედა და ყვირილი დაიწყო: დროზე ბასეინში ყველა! დროზე!!! ინსტინქტურად გავიქეცით აბაზანაში, სადაც რამოდენიმე ვანა იყო შეერთებული და დაუმთავრებელი ბასეინი.. იმაში ჩავიმალეთ ალბათ 2 წუთი ჰა 3! ეს ყველაფერო ძალიან სწრაფად ხდებოდა. კახას ვეკითხებოდით მე და იმედო, რა ხდება, კახა?! რა?! ბეტეეერი მოაყენეს, იმედ, ამ ბოზებმა-ო, – თქვა კახამ. უკვე ჩვენც გვესმოდა, რუპორით აცხადებდნენ: დაცალეთ კორპუსი! უნდა ავაფეთქოთო! იმედომ გაკვირვებულმა იკითხა: ჩვენი მშობლები მოკლეს! ძმა მოგვიკლეს და კიდე ჩვენს დასაჭერად მოვიდნენ ეს ბოზები?! იმედო ვერ იჯერებდა რომ განწირული იყო. იმდენად დიდი დანაშაული არასოდეს ჩაუდენიათ ჩემ ძმებს, არ ეგონათ, თუ ვინმე ესეთ განაჩენს გამოუტანდა...!!! როდემდე დავიმალოთ, ან რატომ დავიმალოთო და გარეთ გავიდნენ სადარბაზოში, ჩვენ ბავშვებიც დავყვებოდით კახას და იმედოს. ქვევით დავიძარით, მეზობლები

**...გაჩერდა ყველაფერი! ბული დგას და საშინელი სუნი. ჩემი და კახას მკვლელის თვალები ერთმანეთს შეეჯახა იმ დროს, როცა „მაკაროვი“ ამოიღო და ჩვენსკენ გამოიშვირა. თვალით ჩამოგვიარა, ვინ ვიყავით. მარტო ბავშვები რომ დაგვინახა, ჩვენსკენ მომართული „მაკაროვი“ დაბლა დასწია და კახას დააცალა შვიდი ტყვია („კანტროლკა“)... მკვდარი თორაძეებისაც კი ეშინოდათ „ნაბოზვრებს“! გაიქცნენ სროლა-სროლით მკვლელები, გეგონება ვინმე მისდევდათ. ნეტავ, თუ ახსოვს იმ ერთს ჩემი თვალები, მე რომ არასოდეს მავიწყდება მისი შეშინებული ფართო თვალები, სამკუთხედი, გამხდარი სახე... იმ ყინვაში თეთრი „მაიკითა“ და „ბრონი ჟილეტით“ იყო... ეს ის თვალებია, ოცდასამი წელია რომ არ მავიწყდება. ..**



**დედა და მამა**



ზაზა, მამა, კახა, პაატა, იმედო და ლაშა (ზის) თორაძეები

ადი-ჩადიოდნენ, ვერ გაიგებდი, რა ხდებოდა კორპუსში, დიდი აურზაური იყო... არ მახსოვს, რომელმა მეზობელმა გვითხრა: სად მიდიხართ?! დაბლა რა გინდათ?! მოგკლავენ, დაიმალეთ! ზევით ადით! კახა და იმედო მაინც იგივე შეკითხვას სვამდნენ: „რატო“? მეშვიდე სართულზე აღმოვჩნდით ბოლოს, სადაც რამდენიმე საათი ვიმალებოდით. მხოლოდ თამარა მეზობელი აღწევდა ჩვენამდე, რომელიც პაროლით აკაკუნებდა კარებზე, ჩვენც ვხვდებოდით და კარებს ჩუმად ვუღებდით. ის გვიყვებოდა, როგორ გვეძებდნენ და როგორ ცხრილავდნენ ჩვენს სახლს და შედიოდნენ ოთახებში. ასევე მეზობლებს აწიოკებდნენ. (წიგნში ვყვები მაგ წყეულ დღეს დეტალებში) მოკლედ ვიტყვი, რომ მოგვაგნეს! სანამ მოგვადგებოდნენ კარებზე, რამდენიმე წუთით ადრე თამარა მეზობელი მოვიდა და ძმებს ჰკითხა, იარაღები ჰქონდათ, თუ არა, ძმებმა გადაწყვიტეს, რომ თამრიკოს ოჯახში, სადაც ბავშვები იყვნენ, სროლას ვერ ატეხავდნენ და გაეტანებინათ თამარა მეზობლისთვის ის 2 მაკაროვი, რომელიც მანამდე ჩაიდეს, როცა მთელი იარაღების არსენალი გაიტანეს სახლიდან სხვა მეზობელთან, რადგან არ სურდათ არავის მოკვლა.,. კარებზე აბრახუნეს, ხმა არ გავეცით, მერე ფანჯარაში მოგვიბრახუნეს: კარები გააღეთ! ვიცით, რომ აქ ხართ! ლიმონკებს შემოვყრით და ყველანი დაიხოცებით! ერთმანეთს ვუყურებდით და არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ბოლოს კახამ თქვა გაეღო კარები თამრიკოს. თამრიკომ კარები გააღო და სთხოვა მკვლელებს, ჩაეწიათ ავტომატები, ბავშვებს შეაშინებთო. ბიჭის ხმა გაისმა თორაძეები აქ არიან, ხო?! კახამ არა გაბრაზებულად, უფრო ღიმილით დაიძახა, აქ ვართ ხელცარიელებიო. შემოლაგდნენ გაფითრებული დაძაბული სახეებით წინ მომარჯვებული ავტომატებით და მიუშვირეს ორივეს! კახა იმედოს გადაეფარა, ბიჭო, არ ისროლო, უიარაღოდ ვართ და შეეცადა აეწია ავტომატი გიორგი (ჟორიკა) რურუასო ზევით! მაგრამ კიდევ იყვნენ წვერებიანი და ნიღბიანი ბიჭები, რომლებმაც იარაღი მიუშვეს იმედოს და კახაზე!!! დაყარეს ძირს ორივე ძმა ჩვენს წინ, ვუყურებდი და ვხაოდი ბოლო ხმაზე!! მაგრამ ვერავინ შევაჩერე! ვერც ავდექი! დავინახე წვერებიანი როგორ გავიდა ოთახიდან, როცა დარწმუნდა, ორივე ძმა მოკლული იყო! რურუა არ ვიცი, რამ გააბოროტა ესე, რომ მაკაროვი ამოიღო, ჩვენსკენ გამოიშვირა! თვალით ჩამოგვიარა ბავშვებს, მერე კი დაბლა დაწია და სროლა გააგრძელა უკვე მოკლულ უსულო სხეულზე!! თითქოს ვითვლიდი, ეხლა მორჩება, ეხლა და, მგონი, 7 დავითვალე!!! გატრიალდნენ და გიჟებივით გარბოდნენ. ჰაერში ისროდნენ უკვე სახლიდან გასულები! თითქოს ზეიმობდნენ და აგებინებდნენ ერთმანეთს! რომ მორჩა. მოვკალით!!! არ ვიცი. ეს რანაირად შეიძლება გადმოგცეთ, რო თქვენც შეიგრძნოთ ამ თვითეული არაადამიანის ჩადენილი!

არ იყვნენ ჩემი ძმები კაცის მკვლელები! არ იყვნენ ჩემი ძმები მოსაკლავები!!! მაგათზე ბევრად უარესები დადიან დღესაც თბილისში!!!

— **თქვენ რომ გჭირდებათ სიმართლე, გასაგებია, და ეს სიმართლე თქვენ იცით. თქვენი სიმართლე თუ სჭირდება ვინმეს?**

— რეები აკეთეს ქართველებმა?! რეებს აკეთებენ დღესაც?! ამოხოცეთ მთელი საქართველო მაშინ)!!! მაპატიეთ, საშინლად ვგრძნობ თავს, როცა ამ საშინელ დღეს ვიხსენებ! რომელიც უსაშინლესმა ადამიანებმა დაგეგმეს და შეასრულეს! იქიდან ბევრი დღეს ლიბერალობას იბრალებს! ენასაც იჩლიფავს, იწვრილებს ხმას და წითელი ნასკებითაც დაიარება შარვალკოსტუმში! ვითომ არაფერი დაუშავებია, ისე ითვლის სისხლიან ფულებს! ზოგიერთი თბილისის ოპერის გახსნაშიც იღებს მონაწილეობას და თავი თბილისის ელიტად მოაქვს! რომელ სამართალზე მესაუბრებით?! ან რისი იმედი უნდა მქონდეს?! როდის იყო ,გახრწნილ უსამართლო ქვეყანაში სადაც კანონი ჩალის ფასია და ნამუსი კაპიკიც აღარ ღირს, იქ სიმართლე ჭრიდეს?! ან ვინმეს ადარდებდეს სიმართლე?! სულ ახლო წინა წლებს გადავხედოთ, ორგანოებით მოვაჭრე პრეზიდენტი ცოლითურთ და ის გაუბედურებული მშობლები, შვილები თუ მეუღლეები?! ვიღას სცალია ჩემი ოჯახის ტრაგედიისთვის? იმის მერე კიდე რამდენი ოჯახი გაამწარეს?! დარწმუნებული ვარ იგივე სახეებმა, რომლებმაც 90-იანი წლებიდან გაიდგეს მყარი ფესვები საქართველოში და დღეს მილიონერები არიან! გააუბედურეს ხალხი, მოტეხეს! დამშეულ და გატანჯულ ადამიანებს რაღა ძალა აქვთ ბრძოლის?! ადამიანების ფსიქოლოგია კარგად შეისწავლეს მკვლელებმა და ეხლა ზემოდან გადმოჰყურებენ. რა გითხრათ, მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს, თითოეულ დამნაშავეს კარგად დაწვავს ჯოჯოხეთში და ნატანჯ და უსამართლოდ გადათელილ ადამიანებს მარადიულ სიტკბოს აჩუქებს.

— კარგი, გავაგრძელებ მოყოლას, ხალისი ნამდვილად არ მაქვს და არც დიდი სურვილი,მაგრამ ვალდებულად ვთვლი თავს, ჩემი ოჯახის სიმართლე მთელს დედამიწას მოვფინო... მჯერა, არსებობენ კეთილი ადამიანები და ისინი შეძლებენ აღქმას სიმართლის... ცუდ და მკვლელ ხალხს მაინც მოერიდებიან სხვა თუ არაფერი. დღეს ხომ ვერ გაიგებ, წითელი ნასკების ან გაწკეპილი სამოსის ქვეშ სისხლიანი ფეხები და ხელები რო იმალება, თუ ყველა დამუნჯდა წარსულიდან!!!

— **კახა და იმედოც იმ დღეს მოკლეს? ლანჩავა გვარწმუნებდა კარის იქით, რომ ის მკვლელი არაა და ჩვენს საშველად მოვიდა... ბევრი ხალხი როცა მოგროვდა, მერე გააღო კარი თამრიკო მეზობელმა. გვერდზე მეზობელთან გაგვიყვანეს. მეზობლები იძახდნენ, ბავშვებს თავი დაანებეთ არაფერი იციან, ან რატო ამოხოცეთ ოჯახიო?! ლანჩავამ თქვა, სასაფლაოზე ტეკი იყო და არ გააჩერეს, ცეცხლიც გაუხსნეს თორაძეებმა და ესე მოხდაო. ორი შვილის მამას მოხვდა თორაძეების ტყვიაო. (რომელზეც მერე ხალხი ამბობდა, თვითონ მკვლელებმა მოკლეს, რომ თორაძეებისთვის შეეტენათო. ზოგი ამბობდა, უკვე „ტრუპი“ მოიტანეს რამდენიმე დღის და იქ დააგდესო).**

— მეზობელმა პასუხი დაუბრუნა: როდის ყოფილა ტეკი რომ დღეს ყოფილიყო სევასტოპოლზეო?! ჩახოცეთ ამხელა ოჯახი! ბავშვმა რომელი ერთზე იტიროს?! და კიდე აქ დაკითხვას უწყობთო! (შეკითხვა გამიჩნდა, თუ ლანჩავას ხალხი მკვლელები არ იყვნენ და მათ არ მიუღიათ მონაწილეობა, მაშინ რა ტეკზე იყო საუბარი, მაგრამ ხმა არ ამომიღია..)?! ლანჩავა გაიძახოდა ძმებმა ცეცხლი გაუხსნესო და ვის ამას არ აკონკრეტებდა. ამავე დროს ლანჩავას გვერდზე მდგომი გვარდიელი კითხვას სვამდა: ვინ იყო ის არაადამიანი, რომ ბავშვების თვალწინ უიარაღო ძმები ჩახოცაო?! მოდი და გაგეგო, ვინ ვინ იყო, ან ვის მხარეს! ჩავთვალე რომ ყველა ერთნი იყვნენ და ამაში ეჭვიც არ შემპარვია. ჩემი პატარა ძმა პაატა 15 წლის იყო მაგ დროს. ლანჩავას დაკითხვის დროს ხედვიდან დავკარგე და ყვირილი დავიწყე: არ მომიკლა ძმაა!! სად არის პაატა და ძებნა დავიწყე! ვიღაცას ხელი ჰქონდა გადახვეული და გამოვგლიჯე ხელიდან, ძალა არ გაუწევია იმ ვიღაც ფორმიანს, მერე მომიყვა ,ტუალეტში შეუყვანია ერთს და თავზე იარაღი დაუდია, კლავდა, მეორე შესულა, რას შვებიო?! პირველს უთქვამს, უნდა მოვკლა გაიზრდება და დედას გვიტირებს ყველასო! მეორე გადაეფარა „ჩერეზ მოი ტრუპ“. რას ვაკეთებთ, ამ დავალებაზე რატო ვართ?! რატო ჩახოცეს ეს ბიჭები და მათი მშობლებიო...! ხელი გადახვეულიც მაგიტომ ჰქონია, იმას გამოუყვანია ტუალეტიდან. იმედოს მეგობრებმა გადაგვარჩინეს, ლანჩავას უთქვამს, წავიყვანოთ ბავშვები უპატრონოთა სახლშიო, ბიჭებს უთქვამთ, პატრონი ჰყავთ ამ ბავშვებს და წადით ეხლა აქედანო... ჩვენს ბინაში რო ჩავედით მე და პაატა, სახლის „გატანა“ კიდე არ ჰქონდათ დასრულებული. გაჰქონდათ, რაც ჯიბეებში ეტეოდათ და არ ეტეოდათ!!! მერე ლანჩავა მოვიდ,ა ხელი მოაწერე, რო არაფერი დაკარგულაო. რას უნდა მოვაწერო ხელი, დამანებეთ თავი—თქო და გავერიდე... წესია ესეთიო! ხო, სულ წესებით მოქმედებ—თქო! იმედოს მეგობარმა ხელი მომიჭირა, არაფერი ილაპარაკოო, ყურშიც მითხრა, მერე ხელი გადამხვია და ჩუმად მითხრა: მოიქეცი ისე, როგორც შტერი ბავშვი, თორე, შენც მოგკლავენო... როგორც იქნა, გაყარეს ეს ფორმიანი კრიმინალები ბინიდან. არც მერე ასვენებდნენ ოჯახს ტელეფონის ზარებით! ზაზას ეძებდნენ.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

**(გაგრძელება იქნება)**



# იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

**ამასწინათ ბატონმა პეტრე ქოჩაკიძემ გია ჯაჯანიძის გადაცემაში მიიღო მონაწილეობა. მისი სენსაციური მოსაზრებებით გაოგნებულმა ჯაჯანიძემ ბევრი იძახა, რასაც თქვენ ისმენთ, პირველად ახლა, ჩვენს შოუში გაჟღერდაო, თუმცა ის, რაც ბატონმა პეტრემ „პირველად თქვა“ ჯაჯანიძესთან, სამი წლის წინათ ორ წერილად გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“ (2013 წ. №24-26).**

**გთავაზობთ ქვეთავებს ამ წერილებიდან.**



გვესაუბრება მწერალი **პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი**:

სიტყვა „ისტორია“ ლათინურია და ქართულად ქვეყნის ამბავს ნიშნავს. არაფერი გამოგივა, თუ ფესვები დაკარგე, თუ არ იცი, რა ჯიშის ხარ. ეს თუ წაიშალა, არათუ სახელმწიფოს, ოჯახსაც კი ვერ ააწყობ. სახელმწიფოს გამართვა ამის გარეშე წარმოუდგენელია, ბითურია ყველაფერი.

### ვინ მოპარა საქართველოს ოთხი ათასი წლის ისტორია?

ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა – არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს მისი წარმომავლობა არ გაეგო. მოგახსენებთ, რომ სულ ცოტა 4 ათასი წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე. ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა? აქვე განვმარტავ, რომ ეს, ოთხი ათასი წლის მძინარესთან შედარებას ნიშნავს, რადგან თითოეული დღე მეტაფორულად ერთი ათას წელს უდრის. რას ნიშნავს ყოველივე, განა ეს დამთხვევაა?! 4 ათასი მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას.

### რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

ქალდეველები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვიებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? – ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: – ელი, ელი, ლამა საბექთანი. სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? – ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედაენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ – ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდევური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები – იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ – ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. და-ძმა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.



### ღვთისმშობელი ქართველი იყო?

– დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია – შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით,ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? – ამას ახლავე აგიხსნით – მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება – მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება – შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით – ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს – მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე – მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდევურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე – ქალდეა, გვარი – ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

### რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი ამის წაკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა – „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მაწევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა. თავი II – ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს. თავი XIII – სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს. რა თქმა უნდა, ქალდეურ ენაზე. კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე

მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით – სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

### რა საერთო აქვთ კოლხებსა და ეგვიპტელებს?

კოლხეთის შესახებ მოსე ჯანაშვილს შემდეგი კვლევა აქვს ჩატარებული, იგი ამბობს: კოლხეთი ძვ. წ. I ათასწლეული უწინარეს ჟამებშივე ხალდეველთა მოდგმას სჭერია მთელი შუამდინარე და მცირე აზია ეგვიპტის საზღვრებამდე, კუნძულები კვიპროსი (ამას მათებურად ერქვა აგრეთვე იავნანა) და კრეტა. შარდან კოლხელი თავის რაზმით ჰშველოდა რამზეს II-ს 1270 წ. ქრ. წ. კოლხელებივე ენადებოდნენ ლიბიელებს (აფრიკაში), სადაც ცხოვრობდა თეთრკანიანი ხალხი თხუხი, კახაკინილოსის დელტის სამხრით ქალაქი ტანისი (ავარისი) იყო უმთავრესი სამყოო კოლხელებისა. ჰიქსოსების ხანაში მთელი ეგვიპტე, სირია ღასისამდე და შუამდინარე წარმოადგენდა ერთ სახელმწიფოს ჰეგემონიის ქვეშე ხეთა-ქალდის მოდგმისა. შემდეგში 1270 წელს ხეთას მეფე ხიტისარმა (სქოლიოში აღნიშნულია: ხიტი იგივე ქიტი, ხატი, ხეტაა ხიტიის ანუ ხიტის მეფე (სარ-ცარ, მცარი, ცავი), რომ სამეგობრო ხელშეკრულება დასდო რამზეს II-სთან. ამ ხელშეკრულობის სიმტკიცეს თავდებად დაუდგა ათასი ღმერთი ხეთას ქვეყნისა და ათასი ღმერთი ეგვიპტისა, და იგივე ხელშეკრულობა თავის ბეჭდით და ხელმოწერით დაამტკიცა ხეთას დედოფალმა გილუხიპამ (სქოლიოში ნათქვამია:ასეთივე სახელიანი სეფე ქალები ქალდისა ცოლად ჰყავანდათ ფარაონებს), ასულმა კიჯადადანის ქვეყნისა. საგულისხმოა, რომ ჰეროდოტე, რომელმაც მოიარა ეგვიპტე და კოლხეთი, ეგვიპტელებსა და კოლხებს შორის ერთის მხრივ და მათ ჩვეულებასა და ენას შორის მეორეს მხრივ დიდ ერთობას აღნიშნავს. ბერძენთ მწერლებივე აცხადებენ კოლხების ერთგვარ დენას დასავლეთისკენ. სტრაბონი იუწყება, კოლხების კვალი შეინიშნებაო კუნძულ კრეტაზე, იტალიას, ადრიატიკის ზღვამდე.

აქ პლინიუსი უჩვენებს ქალაქს კოლხინიუმ კოლხთა აგებულს. ამათ წინანდელი მწერლები, კალლიმახი (260-230 წ. ქრ. წ.) და სხვა, კოლხთა ქალაქებს უჩვენებენ ეპირში, ისტრიას (სქოლიოში აღნიშნულია:კოლხებმა დააარსესო ქალაქი, რომელსაც დაარქვესო თავიანთებურად პოლა. გვგონია ნაკვეთად სიტყვისა სოფელი ზმნიდან ფუუა, ფლვა, ფლობა). თვით იუპოტერის აღმზრდელებადაც იგივე ბერძნის მწერლები აცხადებენ კოლხებს, ათინის კულტიც კოლხეთიდან გადაინერგესო. შემოვკრიბეთ ჩვენ გეოგრაფიული სახელებიც ხეთა-ქალდიისა, და მათ შორის არა ერთი აღმოჩნდა სეხნია აწინდელ საქართველოს გეოგრაფიულ სახელისა, იგეთიც-კი, არმაზი, ოპიზი, ძამა, გურია, ეფრატი. მაგრამ ამ სახელებში უმთავრესი ჩვენი ყურადღება მიიპყრო შუამდინარის წოდებამ შუმერე, ე.ი. შუამერე ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე მერე=სარწყავი მიწა. ამ შუმერის ენა აქაურობისთვის ისეთივე საღმრთო ენა იყო, როგორიც ევროპისთვის ლათინური, მაგრამ ამ ლათინურზე ორჯერ მეტ ხანს (ისტორია კაცობრიობისა, ჰელმჰოლცის რედაქცია 1904 წ. ტ. 3, გვ. 6.) ასე შემოიკრიბა დიდძალი მასალა და ისეთის ხასიათისა, რომ აშუქებს ქართველი ერის წარსულს. და ამიტომ ამ მასალის შემცველ ჩვენს ახალ შრომას სახელად დავანათლეთ „ქართველები და ქართული ენა“.

### ერი, რომელიც ქართულ ენაზე ლაპარაკობდა მსოფლიოს ბატონ-პატრონი იყო

მოსე ჯანაშვილი წერს: ქალდთა ძეგლ-წერანი ისეთი ხასიათისანი არიან, რომ იგინი დიდი მეცნიერების სიტყვით არ ჩამოუვარდებიან ეგვიპტის ცნობილ ძეგლებს. ოღონდ უნდათ მათ გულდასმით და ბეჯითად შესწავლა, ტექსტების მოგროვება, გადმოთარგმნა, გამოქვეყნება და გავრცელება. ყველა ეს უნდა ითავოს ჩვენმა ნორჩმა უნივერსიტეტმა, საცა მოღვაწეობენ ისეთი ძალები, ვით ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი და სხ. ჩვენი ძეგლწერები არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისაა, არამედ საზოგადოც, საკაცობრიო. ჯერ ისევ ამ ძეგლწერათა წაკითხვამდე ინგლისის მეცნიერი კლარკი წერდა: „ქართველი მოდგმა უწინ ფართედ იყო განთესილი. არსებობდა ძველი ქართული ენა, რომელიც შემდეგში გაშტოვდა ენებად არიისა, სემისა, ტიბეტისა და სხ. მოდგმათა. ერი, რომელიც ამ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ბატონობდა მთელს მაშინდელ ცნობილ მსოფლიოში, უმთავრესი სამყოფო კი ამ ერისა იყო იბერია – მოსეს ედემი. ბაბილონს და ასურეთს აღმოცენდა მისი სკოლები სამეცნიერო, სამწერლო და სახელოვნო შესაგნებად უძველეს ძეგლ-წერათა ფორმებისა და აკადის ძეგლწერების წასაკითხავად უნდა მივმართოთ ძველ ქართულ წყაროებს. სომხები და სპარსელები არიან ნაშთნი ძველ ქართველებისა, ასურთა მიერ დამარცხებულებისა და დევნილებისა მათ სამხრეთ სამფლობელოდან”. H. Clark. On the prehistorie and protohistorie relationr, of Asia (Journal of the of the Antropokog. ligt; tute, 1871 წ. გვ. 52-59. კ.პატკანოვი. „ვანის ძეგლწერანი და მნიშვნელობა წინა-აზიის ისტორიისათვი”, 1881, გვ. 15). როგორც ჰხედავთ, ყოველ მხრივ საყურადღებოა კლარკის აზრი და შეხედულობა. ძეგლწერათა ენა უკვე ამოცნობილად უნდა ჩაითვალოს. ქართველი ერი მოვალეა დიდის გულისხმიერობით მოეჭიდოს იმ საუნჯეს, რომელიც ბიაბან ადგილებში დაუტოვებიათ წინაპრებს. დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ერთი ძეგლწერა თავდება ლექსად, რომლის დაბოლოება ასეთია: ნუ ლალიე ნუ ლაალი ნულულიე სელუინიე ასეთები იყვნენ „გულმყარნი და კისბასნი, ვეფხვზე მალი ცხენებით“ (ამბაკომე) „ქალდინინი ბუშინი“.

### რა მისწერა ეგვიპტის სულთანმა გიორგი ბრწყინვალეს?

საქართველოს ისტორიაში არის ასეთი გენიალური მაგალითი – კერძოდ, გიორგი ბრწყინვალეს პერიოდზე მინდა გიამბოთ. ამ დროს საქართველოს გაგლეჯა ხდება ცალკე სპარსეთის, ცალკე მონღოლების მხრიდან, გიორგი ბრწყინვალემ კი მაინც შეძლო და ქვეყანა დაალაგა, გააერთიანა. არაბი ისტორიკოსების ცნობით, ეგვიპტის სულთანი გიორგი ბრწყინვალეს სწერს – „დღეგრძელჰყოს ალაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვანისა, სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტის გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, მართლმადიდებელ მეფეთა შორის საუკეთესოსი, ქართველთა სულთანისა, ზღვათა და სრუტეების განძისა, რაინდთა მცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამკვიდრებისა, რომ ბიზანტიის მეფეთა და ირანის ქვეყნების მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესი ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, წმინდა ადგილთა განმადიდებლისა“... ეს ის სულთანია, რომელიც იერუსალიმში ამ თქვენგან ქებულ ევროპელებს – ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს და მთელს ევროპას იერუსალიმის კარი მიუკეტა და ქრისტეს საფლავთან. ფულის გადახდის გარეშე არავის არ უშვებს. მაგრამ ქართველებთან, ხედავთ, როგორ იქცევა?! ერთადერთ ხალხს, ვისაც უფლება მისცა ცხენით ამხედრებული, დროშააწეული, იარაღასხმული შესულიყო, ეს ქართველი იყო. ამ დროს გერმანელს, ინგლისელს, ზოგადად ევროპელს ეუბნება, თუ ცხენზე შეჯდომა გინდათ, ქალივით, ანდა უკუღმა დაჯექითო. ეგვიპტის სულთანმა გიორგი ბრწყინვალეს გაუგონარი შეღავათები მიანიჭა – უკან დაუბრუნა ძველი ქართული მონასტერი პალესტინაში – ჯვარის მონასტერი.






### რა მოხდა „ბილგამეშიანიდან“ ძველ აღთქმაში 1500 წლის მერე?

მიხაკო წერეთელი უდიდესი მეცნიერი იყო, რომელმაც გილგამეშიანი თარგმნა. დაუკვირდით ერთ რამეს – გილგამეშიანი 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი აღთქმა. იქ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ისაა, რომ წარღვნა თავიდან ბოლომდე ძველ აღთქმაში გილგამეშიანიდანაა გადაწერილი. ძალიან საინტერესო კითხვები ჩნდება, არა?! ეს ოთხ ენაზე – ხეთურ, აქადურ, შუმერულ და ხურიტულზე დაიწერა, ანუ წინარექართულზე. აქ არის უბრწყინვალესი კვლევა მეცნიერ დენიზა სუმბაძის, ეს უცილობლივ ყველამ უნდა წაიკითხოს იმიტომ, რომ ქალბატონ დენიზას ისეთი რამეები აქვს აღმოჩენილი, რაც ერმა არ იცის.

### შეუსწავლელი მუზეუმი

**საქართველოა თვითონ კულტურა. იმ მაგიდასთან, რასაც პოლიტიკური მაგიდა ჰქვია, მსოფლიო მმართველები, სადაც სხედან, ჩვენ არ შეგვიშვებენ არც ტერიტორიების, არც ფინანსების, არც ბუნებრივი რესურსების გამო. მაგრამ ჩვენ უფრო დიდი მაგიდა გვაქვს, სადაც თავური კაცნი ჩვენ ვართ და თავად შეგვიძლია გადავწყვიტოთ, იქ სხვა დავსვათ თუ არა. ამიტომ რაც გვაქვს, ის უნდა შევთავაზოთ მსოფლიოს. ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელი მუზეუმია, თავად ჩვენ არ ვინდომებთ, რომ შევისწავლოთ. კულტურის გატანა ვერ მოვახერხეთ, ამის ანალოგი არ გააჩნია მსოფლიო კაცობრიობას.**

**გიორგი ბრწყინვალეს მაგალითი წელან ტყუილად როდი მოვიყვანე – მან ჭკუა იხმარა. ჩვენ უნიჭიერესი ერი ვართ, მაგრამ არ გვაქვს ჭკუა იმისა, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ნიჭი. გარდა ამისა, ჩვენ ერთ მარტივ ჭეშმარიტებას ვერ ვხვდებით: „ერი შეიძლება ფიზიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა, შეიძლება ეკონომიურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა, შეიძლება პოლიტიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არაა ძლიერება ერისა, ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძლიერებაშია“, – ილია II.**

თამარ შველიძე
555 23 28 24
„საერთო გაზეთი“
2013 წ. №24,26

# ძლიერი რეგიონები



## სოფელი წინამძღვრიანთკარი: უძველესი ქართული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის რეაბილიტაცია

ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ კოლეჯს ძველი იერი უბრუნდება და მის კედლებში სწავლა განახლდება.

განათლების სამინისტროს ინიციატივით შენობის სრული რეკონსტრუქცია ერთი წელია მიმდინარეობს. 300-მდე სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი მცხეთა-მთიანეთის მთელს რეგიონს უნდა მოემსახუროს. ტერიტორიაზე აშენდება ტექნოლოგიური კორპუსი და სტუდენტთა საცხოვრებლებიც. რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია და პირველი ეტაპი საშემოდგომო მიღების დაწყებამდე უნდა დასრულდეს.

საგანმანათლებლო ცენტრი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოებით, ლაბორატორიებით აღიჭურვება, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულებით პროფესიულ განათლებას. დაწყებულია სამუშაოები აგრარული პროგრამების განსახორციელებლად. მიმდინარეობს მრავალწლიანი კულტურების განაშენიანება.

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სრული რეაბილიტაცია 2 წელზეა გათვლილი და ამისათვის 2 მილიონი ლარია გამოყოფილი.

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

საზოგადო მოღვაწემ და ქველმოქმედმა ილია წინამძღვრიშვილმა 1883 წელს, საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და საზოგადოების დახმარებით, გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. 1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

## სიღნაღში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი გაიხსნა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სსიპ „ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა“, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ იან კელთან, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელიასთან, გაეროს ქალთა ფონდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი გახსნა.



სიღნაღი

თავშესაფარი სახელმწიფო ფონდის, გაეროს ქალთა ფონდისა და აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით გაიხსნა.

ოჯახური ძალადობის თავშესაფარი, საცხოვრებლის გარდა, ბენეფიციარებს კანონიერი ინტერესების დაცვას, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფს, ასევე ხელი შეეწყობა საზოგადოებაში მათს რეინტეგრაციას.

თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელსაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭება.

## მოძრავი ბიბლიოთეკა წეროვანში

წეროვნის დევნილთა დასახლებაში პროექტ bookmobile-ს მორიგ ეტაპს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბენჟამენ ზიფი სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ბიბლიოთეკა, რომელიც ავტომობილშია განთავსებული, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დევნილთა ჩასახლებებში წინასწარ გაწერილი გრაფიკით მოძრაობს და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა გააჩნია. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტი, კომპიუტერი და განათლებისა თუ კომუნიკაციისთვის საჭირო სხვა საშუალებები.

ბენჟამენ ზიფის თქმით, პროექტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებასა და კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და ფასეულობების გაზიარებას.

პროექტი 2013 წლიდან აშშ-ის მხარდაჭერით ხორციელდება მცხეთის ოთხ სოფელში: გალავანში, ფრეზეთში, წილკანსა და წეროვანში.

## ჰუმანიტარული აქცია დუშეთში

დუშეთის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბ „ტორნადოს“ ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადგომით ქ. დუშეთის უფასო სასადილოს ბენეფიციარებს ჰუმანიტარული დახმარება გადაეცათ.

მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს ჰუმანიტარული დახმარება გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა და რაგბის კლუბ „ტორნადოს“ დირექტორმა დავით ცხაკაიამ.

## წყლის პრობლემა დაბა ჟინვალში

ჟინვალის წყალსაცავში წყლის დონის მკვეთრი კლების გამო ჟინვალის მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეექმნა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, დეპუტატ ირაკლი ტრიპოლსკისთან ერთად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის დახმარებით უმოკლეს ვადაში შეძლო ამ პრობლემის მოგვარება. ამჟამად ჟინვალის მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება.

## რაჭაში 7 ჰექტარზე კაკლის ახალი ბაღები გაშენდება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ველიშიორი“ სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ 2016 წლის 1-ლ თებერვალს ჩაერთო და 7 ჰექტარზე კაკლის ბაღის გასაშენებლად და სარწყავი სისტემის მოსაწყობად 29 389 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო.

კოოპერატივის მიერ კაკლის კორომის გაშენების პროცესს ადგილზე გაეცნენ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავლის“ მენეჯერი ლევან დოლიძე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ხეხილის ახალი ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, გასაშენებელი ფართობი, დღეის მონაცემებით, 1296 ჰექტარია, ხოლო დაფინანსების მოცულობა 6,5 მილიონ ლარს აღემატება.

„დანერგე მომავლის“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს: ბაღის გაშენების შემთხვევაში — ნერგების ღირებულების 70 და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50 პროცენტს, სანერგე მეურნეობის შემთხვევაში — მეურნეობის შექმნის ღირებულების პროცენტს.

## ლენტეხი: შეხვედრა თაფლის მწარმოებელ ფერმერებთან

ლენტეხის მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ორგანიზებით, საქართველოს პროფესიონალურ მეფუტკრეთა ასოციაციამ, რომლის მიზანია საქართველოში მეფუტკრეობის დონის ამაღლება, ლენტეხის მუნიციპალიტეტის თაფლის მწარმოებელ ფერმერებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას უძღვებოდა ასოციაციის წევრი გიორგი ლაკვეხელიანი. მან ისაუბრა მეფუტკრეობის სექტორში კოოპერატივების მნიშვნელობაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დარგის განვითარებას. საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია სამრეწველო მეფუტკრეობის განვითარებისთვის. სექტემბრიდან გაიმართება რეგულარული შეხვედრები გამოცდილ სპეციალისტებთან, რათა თანდათან გადავიდეთ ევროკავშირის მოთხოვნილებებსა და საერთაშორისო სტანდარტებზე.

## ონში კაშხლის მშენებლობაზე ვერ შეთანხმდნენ

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლობჯანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე, საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები სოფელ სორის მოსახლეობას შეხვდნენ. სოფელში იმყოფებოდნენ თურქული კომპანიის “Calik Energy”-ს წარმომადგენლები. მათ კომპანიის მიერ სორის მიმდებარედ მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის შესაძლო პროექტირების შესახებ ისაუბრეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა სოფლის მოსახლეობას დაუდასტურეს თავიანთი მხარდაჭერა მათი ინტერესების დაცვაში. მოსახლეობამ გამოხატა თავისი დაეჭვება პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მიმართ. ამ ეტაპზე მოლაპარაკება არ შედგა.

## შეხვედრა ანაკლიის პორტის საკითხზე „გეოგრაფიკის“ წარმომადგენლებთან

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია ანაკლიის პორტის მშენებელი კონსორციუმის ქვეკონტრაქტორი კომპანია „გეოგრაფიკის“ ხელმძღვანელობას ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა.

გუბერნატორმა „გეოგრაფიკის“ წარმომადგენლებისგან



ანაკლია

# ძლიერი საქართველოსთვის

მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ. კომპანიამ ის მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები აღწერა, რომლებიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და მისი ინფრასტრუქტურის ფარგლებში ექცევა. ასეთი კი ათასამდე მიწის ნაკვეთი და 400-მდე შენობა-ნაგებობაა, აქედან საცხოვრებელი 110-მდე ობიექტია.

გუბერნატორის განცხადებით, ყველა მესაკუთრე მიიღებს შესაბამის კომპენსაციას და წარსულს ჩაბარდა დრო, როცა მოქალაქეებს მიწებს და საკუთრებას ართმევდნენ.

შეხვედრას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, ეკონომიკის სამინისტროს, დევნილთა სამინისტროს, სოციალური მომსახურეობის სააგენტოს წარმომადგენლები, ანაკლიისა და ერგეტას სოფლის რწმუნებულები ესწრებოდნენ.

### „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ანგარიში მთავრობას

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო ინფრასტრუქტურულ პროექტს, შუახევიჰესის მშენებლობას ახორციელებს. კომპანია ერთობლივი საწარმოა, რომელიც შექმნილია ინდური კომპანია Tata Power-ის, ნორვეგიული კომპანია Clean Energy-ისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის მიერ. ინვესტიციის მოცულობა 416 მილიონი ამერიკული დოლარია. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 730 საქართველოს მოქალაქე.


„აჭარისწყალის“ ანგარიში

### გამწვანების აქცია დაბა მესტიაში

დაბა მესტიაში, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამწვანების აქცია ჩაატარა.

გამწვანების აქცია, მთელი საქართველოს მასშტაბით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ეწყობა. აქციის ფარგლებში შერჩეულ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებს ურბანული გამწვანების ნერგები გადაეცათ.


მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტმა საჩუქრად მიიღო 280 ძირი არყის ხის, დეკორატიული ფიჭვისა და ნაძვის ხის ნერგები.

გამწვანებისთვის ადგილები საჭიროების მიხედვით შეირჩა.

ნერგები დაირგო სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ეზოში, მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის სკოლა-გიმნაზიისა და მესტიის 1-ლი საჯარო სკოლის ეზოში, ასევე სასაზღვრო პოლიციის მესტიის სამმართველოსა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მმართვის სააგენტო მესტიის სახანძრო-სამაშველო განყოფილების ეზოებში და ბორის კახიანის ქუჩაზე მდებარე საბავშვო სკვერში. ნერგები გადაეცემა აგრეთვე მესტიის ორ საჯარო სკოლას.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გამგებლის მოადგილემ, გამგეობისა და ა(ა)იპ „მესტია დასუფთავების“ თანამშრომლებმა, ასევე სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ.

### ფრანგი ბიზნესმენები სამეგრელოში მეცხოველეობის დარგში ინვესტიციების ჩადებას გეგმავენ

ფრანგ ბიზნესმენთა — ინვესტორთა ჯგუფი დაინტერესებულია რეგიონში მესაქონლეობის განვითარებით. რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დარგის პოტენციალი ინვესტორთა ჯგუფს გააცნეს გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა დავით კოდუამ და მისმა მოადგილემ ნუგზარ გაბელიამ.

ჩხოროწყუში მესაქონლეობის განვითარების პერსპექტივებზე ინვესტორებს ჩხოროწყუს გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე ესაუბრნენ. ფრანგმა ბიზნესმენებმა ასევე დაათვალიერეს სენაკში არსებული მეცხოველეობის ფერმა და მის მუშაობას გაეცნენ.

### ხულო: წირვას ხარების სახელობის ეკლესიაში

ხარების დღესასწაულზე ხულოში, ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაში სადღესასწაულო ლოცვა აღევლინა. საზეიმო ლიტურგიას სხალთის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი უძღვებოდა. ლოცვის დასრულების შემდეგ მეუფემ ტაძარში შეკრებილი მრევლი დალოცა.

სადღესასწაულო წირვას შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე, ქედის გამგებელი დავით დუმბაძე, ხულოს გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე და გამგეობების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

### ხულო: კლუბის მშენებლობა სოფელ ოქრუაშვილებში

პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში სოფელ ოქრუაშვილებში სასოფლო კლუბი შენდება, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 195 992 ლარი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონოლითური ბეტონის ბალიშისა და ლენტური საძირკვლის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის წევრებმა რამინ ძირკვაძემ და დათო იაკობაძემ დაათვალიერეს.

### 215 ეკომიგრანტი ოჯახი საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე გახდა

მთავრობის განკარგულებით წალკის, თეთრიწყაროსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 215 ეკომიგრანტი ოჯახი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე გახდა.

საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს შეხვდნენ და საცხოვრებელი ფართის საკუთრების დამადასტურებელი ხელშეკრულებები გადასცეს. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ჯამბულ ხოზრევანიძე, გამგებლის მოადგილეები თამაზ აბაშიძე და ნოდარ მიქელაძე.

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გადაცემის შემდგომ ხელმძღვანელმა პირებმა ეკომიგრანტი ოჯახების სახლები ადგილზე დაათვალიერეს.


ხულო

წინა წლებში სამინისტრო სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს საცხოვრებელ სახლებს საკუთრებაში არ გადასცემდა. განსახლებული ოჯახების უმეტესობას არ ჰქონდა საკუთრების უფლების განცდა, რაც ახალ სამოსახლო ადგილზე ადაპტაციის პროცესს ხელს უშლიდა. არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად, სამინისტრომ სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის განკარგულებით მომზადდა 2004-2009 წლებში ეკომიგრანტი ოჯახებისთვის შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების აზომვითი საკადასტრო ნახაზები და ისინი სახელმწიფო საკუთრებად ხელახლა დაარეგისტრირეს. ამავე პროექტის ფარგლებში, მათი შემდგომი დაკანონების მიზნით, ამ სახლებში მცხოვრები ოჯახების აღწერაც განხორციელდა.

2016 წლიდან დაიწყო პროცესი, რომელსაც აჭარისა და სვანეთის რეგიონებიდან წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებული ეკომიგრანტი ოჯახები წლების განმავლობაში ელოდებოდნენ.

ამ ეტაპზე მთავრობის განკარგულებით საცხოვრებელი ფართი უკვე დაუკანონდა 215 ეკომიგრანტ ოჯახს. სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი გრძელდება და წლის ბოლომდე წალკის, თეთრიწყაროსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახი გახდება.

საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტის პარალელურად, სამინისტრო 2013 წლიდან, სტიქიით დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვის პროგრამასაც ახორციელებს.


ხულო

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

**თბილისი 1992 წელი**

*უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,*
*უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი.*

**აკაკი წერეთელი**



(დასასრული)

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს საქართველოში თქვენს მიერ მოხდა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაცია, ნარკომანია ღია, ლამის ოფიციალურ პრაქტიკად იქცა, ვინაიდან თქვენი პირადი დასაყრდენი ძალების „მხედრიონისა“ და „გვარდიის“ წევრთა უმრავლესობა ნარკომანები არიან, თითოეულ მათგანს სჭირდება დღეში რამდენიმე ათასი მანეთი მაინც ნარკოტიკული ნივთიერებებისათვის, რის შედეგადაც მათ მიერ იძარცვება საქართველოს მოსახლეობა, იტაცებენ ათAსობით კერძო და სახელმწიფო მანქანებს და ყიდიან საქართველოს ფარგლებს გარეთ სრულიად ლეგალურად. ასე გაძარცვეს თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი და სხვა ქალაქები, ახლა კი, ქართული მოსახლეობის გაძარცვის შემდეგ, არაქართულ მოსახლეობაზე გადავიდნენ, რაც გვიქადის ახალ ეთნოკონფლიქტებს. დაბა ყაზბეგი, ჩვენი დიდი ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო, გადქცეულია ნარკობიზნესის ცენტრად, მეორე ჰონკონგად, აზიისა და ევროპის ნარკობიზნესის ხიდად. ამის შედეგად იძარცვება სახელმციფო ხაზინაც, რის გამოც ველარ არიგებთ ჯამაგირებს, პენსიებს, ჰონორარებს, თუმც, პუტჩისყები მაინც ღებულობენ პრემიებს თავიანთი სისხლიანი დანაშაულობებისთვის, როგორც „დემოკრატიისათვის მებრძოლნი“. აი, თქვენი „დემოკრატიის“ დიდი მიღწევები.

თქვენ ხედავთ, რომ საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ „მხედრიონისა“ და „გვარდიის“ ნარკომანთა ხელით ვერ იმორჩილებთ და ამიტომ ფართოდ ჩააბით **სამხედრო ოპერაციებში სნგ-ს საოკუპაციო ჯარები,** რომლებიც დღეს ხუნტის ჯარებთან ერთად დაბანაკებულნი არიან სოფელ რუხთან და ლამობენ აფხაზეთში შეჭრას, რათა იქ გააჩაღონ ახალი ეთნოკონფლიქტი. 23 მარტს, სამტრედიის სადგურზე ეშელონიდან გადმოტვირთეს თქვენი „გვარდიის“ჯაშვანტრანსპორტიორები, რუსი ჯარისკაცებით სავსე, რომელნიც გაემართნენ ცხენისწყლის ხიდისკენ სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად, სნგ-ს სამხედრო ვერტმფრენები თავს დასტრიალებნენ წალენჯიხას და ცელავენ ყველას, ვინც საეჭვოდ მიაჩნიათ. მათ მიერ განადგურებულია შესანიშნავი კურორტი სქური. ასე რომ, თქვენ საქართველოში იწყებთ მეორე ავღანეთის ომს და ნუ გგონიათ, მსოფლიო ბრმა იყოს და ვერ ხედავდეს ამას.

„დემოკრატიული ინსტიტუტების“ ჩამოყალიბების პარალელურად თქვენ საქართველოში მასობრივი ტერორი და 37 წლის დარი რეპრესიები გსურთ აალორძინოთ, გრძელდება დაპატიმრებები შეთითხნილი ბრალდებებით, რაც თქვენი ხელწერაა. ყალბი ბრალდებით არიან დაპატიმრებულნი უზენაესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ტარიელ გელანტია**, პუტჩისტების 6 ტყვიით მძიმედ დაჭრილი, მომაკვდავი კაცი, ფინანსთა მინისტრი **გურამ აბსანძე**, უზენაესი საბჭოს სადეპუტატო ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა დანგაძე**, დიდხანს ტანჯეს ციხეში ქუთაისის დეპუტატი **ფირუზ დიაკონიძე,** ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი დეპუტატი **ვახტანგ ჭითავა** და სხვანი. ახლა შემოიღეთ **მიტინგებზე სასიკვდილო ცემა და დანით დაჭრა უდანაშაულო ადამიანებისა, რასაც განსაკუთრებით ეფექტურად ნერგავთ უკანასკნელ ხანებში.** თქვენი ხელქვეითი კრიმინალები განსაკუთრებით არაადამიანურად ექცევიან ქალებსა და მოხუცებს, მთელი ქალთა სქესი ლამის მტრად გამოაცხადოთ პირუთვნელობისა და შეუპოვრობისთვის.

თქვენ, „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ მედაფდაფემ საქართველოში მოსპეთ ყოველგვარი საჯაროობა, დააწესეთ უსასტიკესი ცენზურა პრესაში და ტელევიზიაში, აკრძალეთ ყველა თავისუფალი გამოცემა. ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის „იბერია-სპექტრის“ რედაქტორს, პრინციპულ და მოუსყიდავ ჟურნალისტს **ირაკლი გოცირიძეს მოუკალით შვილი,** შესანიშნავი მხატვარი **გიორგი გოცირიძე** და ახლა მეორე შვილზე ემუქრებით, ჟურნალისტური სინდისის ერთგულებისათვის. ა. წ. 30 მარტს, როდესაც მოსკოვის ტელევიზიით უნდა გადმოცემულიყო ჩემი ინტერვიუ, **საერთოდ გააუქმეთ მოსკოვის პირველი არხი.** ნუთუ ეს არის თქვენი დემოკრატია და საჯაროობა? რატომ არ უჩვენებთ ტელევიზიითყოველივე იმას, რაც ხდებოდა და ხდება საქართველოში უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე? რატომ არ უჩვენებთ თბილ;ისის დანგრევას და დაწვას თქვენი ზარბაზნებითა და რაკეტებით, მიტიმგების დარბევას, უდანაშაულო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას თქვენი ბანდების მიერ, დასავლეთ საქართველოს აწიოკებას, ხალხის ძარცვა-გლეჯას? რატომ არ აძლევთ სიტყვას თქვენს ოპონენტებს, ან იქნებ ფიქრობთ, რომ ამ გზით ჩაახშობთ სიმართლის ხმას?

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს საქართველოში თქვენი „მოღვაწეობა“ სამართლებრივი თვალსაზრისით. თქვენი ჩამოსვლა საქართველოში, ხელისუფლების უზურპაციაა. თქვენს მიერ კომპარტიის ცკ-ს მსგავსი უკანონო ორგანოს, ე. წ. სახელმწიფო საბჭოს შექმნა და საკუთარი თავის დანიშვნა მის თავმჯდომარედ, არის უდიდესი უკანონობა და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა, ვინაიდან ქვეყანას ჰყავს კანონიერი ხელისუფლება, ხალხის მიერ არჩეული, ხოლო თქვენ არავის აურჩევიხართ და არც დაუნიშნიხართ ამ თანამდებობაზე. თქვენ აცხადებთ, რომ საქართველოში უახლოეს ხანში ჩატარდება ვითომდაც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი არჩევნები საქართველოში უკვე ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ჰყავს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი, რომელთა გარეშეც არავის აქვს უფლება ახალი არჩევნების დანიშვნისა, ასე რომ, თქვენი „არჩევნები“ იქნება ყალბი და უკანონო, ხოლო ახალ საარჩევნო კანონს, თქვენს მიერ შექმნილს, არ ექნება არავითარი იურიდიული უფლებამოსილება. ამგვარ „არჩევნებს“ ხალხი ბოიკოტით შეხვდება, ვინაიდან მან ერთხელ უკვე გამოხატა თავისი ნება. გარდა ამისა, ისეთ პირობებში, როდესაც თითქმის მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათია, არავითარ არჩევნებზე არ შეიძლება ფიქრიც კი, თუნდაც იგივე „არჩევნების“ დანიშვნა საგანგებო მდგომარეობის პირობებში არც ერთ მსოფლიო სტანდარტს არ შეესაბამება.

თქვენმა ხუნტამ გამოაცხადა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რომლითაც იგი ვითომდაც ხელმძღვანელობს თავის პოლიტიკაში. თქვენ რომ გესმოდეთ, თუ რას ნიშნავს ამ კონსტიტუციის აღდგენა, იმ დღესვე გადადგებოდით და გამოაცხადებდით თვითლიკვიდაციას, ვინაიდან დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანას უნდა მართავდეს არჩევითი ხელისუფლება და არა უკანონო კრიმინალური ხუნტა.

ახლა ვნახოთ, როგორ გესმით თქვენ რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა. როგორც აღვნიშნე, თქვენ გაქვთ პრეტენზია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს დემოუკიდებლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელს თქვენს ძალებს მუდამ ახმარდით საბჭოთა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას, ხოლო ამჟამად, როდესაც დაიმსხვრა ეს თიხისფეხებიანი კერპი, იბრძვით მომაკვდავი რუსეთის იმპერიის შესანარჩუნებლად, რომლის დაშლაც გარდაუვალია, როგორც ყველა იმპერიისა. თქვენ კი ყოველნაირად ცდილობთ, საქართველო კვლავ აქციოთ რუსეთის კოლონიად. რატომ არ სცნობს დღევანდელი რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და არ ამყარებს მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს? იმის გამო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღარ სურს იყოს რუსეთის კოლონია და სამხედრო პლაცდარმი. ამასთან, რუსეთს მიაჩნია, რომ საქრთველომ რუსეთის ფედერაციის ნაწილებად უნდა სცნოს შიდა ქართლი და აფხაზეთი. „თქვენ წახვალთ ოღონდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე“ გვეუბნებოდა გორბაჩოვის მთავრობა. დღევანდელი რუსეთის პოზიციაც ბევრით არაფრით განსხვავდება წინამორბედისაგან.

თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დიპლომატიურზე უფრო მეტია. დიპლომატიურზე „მეტი“ ურთიერთობა საერთაშორისო პრაქტიკამ და სამართალმა არ იცის. რა უნდა ვიგულისხმოთ ასეთ ურთიერთობაში, კოლონიური მონობა ხომ არა? მაგრამ გახსოვდეთ, რომ რუსეთის იმპერია განწირულია, ისევე, როგორც თქვენი ცდები საქართველოში რუსოფილური ნეოკომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა. საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ერთგული დარჩება თავის არჩევანისა (სხვათა შორის, წელს ეს თარიღი ოფიციალუ-

რაც არც კი აღნიშნეთ). აქედან გამომდინარე, **განსაკუთრებული ცინიზმი და მკრეხელობაა თქვენის მხრით საქართველოს დამოუკიდებლობის სამფეროვანი დროშისა და მერაბ კოსტავას სურათის ფონზე ჯდომა. იმ დროშისა, რომლის ერთგულებისათვის მრავალი ადამიანი გაგიგზავნიათ ციხეში, იმ მერაბ კოსტავასი, რომელიც 10 წლის განმავლობაში აწამეთ გულაგის საპყრობილეში და რომელსაც თქვენმა აგენტებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე.**

ახლა ვნახოთ, ვით ემთხვევა ურთიერთს თქვენი სიტყვა და საქმე საოკუპაციო ჯარებთან დაკავშირებით. თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ჯარების გაყვანის თაობაზე და რომ საქართველო არასოდეს გახდება სნგ-ს წევრი. ფიცი გვწამს, ნოლო გვაკვირვებს. იმ დროს, როდესაც ამ თანამდებობის სხვა წევრები თავისი ტერიტორიებიდან აძევებენ საოკუპაციო ჯარებს, ან თავის იურისდიქციას უმორჩილებენ, თქვენ დღითიდღე უმატებთ მათ რაოდენობას საქართველოში, გაირკვა, რომ თქვენ ჩამოსვლის პირველსავე დღეებში დაგირეკიათ მოსკოვში და გითხოვიათ ამ ჯარების საქართველოში დატოვება, რაც თავისი დაუფიქრებლობით მოსკოვის ტელევიზიით გამოაცხადა თქვენმა მეგობარმა **„დემოკრატმა“ გ. პოპოვმა**. თქვენი ხუნტის დასტურით შემოიყვანეს ყარაბაღიდან გამოძევებული **366 მოტომსროლელი პოლკი**, ამჟამად, როგორც ჩანს, გენშერთან გარიგების საფუძველზე გეგმავთ **გერმანიიდან დემობილიზებული რუსი სამხედროებისთვის ბინების მშენებლობას.** ბუნებრივია, რომ ის, ვისაც არ გააჩნია საკუთარი ხალხის მხარდაჭერა, დასაყრდენს ეძებს მტრის საოკუპაციო ჯარებში, ასე ყოფილა ოდითგან, ჩვენს ავბედით ისტორიაში, ასე იყო საბჭოთა პერიოდში, ასე იქნება მანამ, სანამ საქართველოში იქნება სნგ-ს, ანუ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი თქვენი ხუნტის სახით.

არ შემიძლია არ ვახსენო ჩვენი ახალგაზრდობის სავალალო მდგომარეობა საქართველოში შექმნილი ვითარების შედეგად. თქვენ და თქვენი წითელი „პროფესორები“ დღენიადაგ ნერგავდით ახალგაზრდობაში კრიმინალების, ნარკომანების, „კანონიერი ქურდების“ **მგლურ ჰეროიკას, შეაძულეთ ახალგაზრდებს წიგნი და შეაყვარეთ ნარკოტიკული ნივთიერებები, ავტომატი, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა.** ბოლოს, მრავალი მათგანი დამნაშავე რეჟიმის მსახურ პატარა მონსტრებად აქციეთ, რომელნიც დღეს შეუბრალებლად არბევენ მშვიდობიან მიტინგებს, მხეცურად უსწორდებიან დიდსა და პატარას, ქალსა და ბავშვს, სიმართლის თქმისათვის. მაგრამ, გახსოვდეთ, სიმართლეს ვერავითარი ციხე, ვერავითარი ტყვია და კოცონი ვერ დაამარცხებს. კარგი ახალგაზრდებიც გვყავს, რომელნიც თქვენ პასუხს გაგებინებთ ყველაფრისათვის. „უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი, უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი“, როგორც იტყოდა დიდი აკაკი.

ახლა საბოლოოდ უნდა დაგისვათ მთავარი შეკითხვა: ვინ მოგიხმოთ ჩვენ წინამძღვრად? ვინ მოგიწვიათ საქართველოში, სად არიან ის მშრომელები, ის ახალგაზრდები, რომელნიც თურმე მოსკოვში მოსვენებას არ გაძლევდნენ განცხადებებითა და პეტიციებით. არიქა ჩამოდით საქართველოში და გვიშველეთო? სად არის ეს დოკუმენტები? მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში მოგიწვიათ ერთადერთმა კაცმა, რომელსაც საკუთარი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი და რომლის სახელსაც შეაჩვენებს ქართველი ხალხი თქვენს სახელთან ერთად. დიახ, მისმა ემისრებმა ჩამოგიოყვანეს თქვენ თბილისში და აეროპორტში დაგხვდათ მოღალატეთა და კრიმინალთა მცირე ჯგუფი. სამაგიეროდ, ქართველმა ხალხმა შეგარქვათ იუდა და ამ სახელის სკანდირება არ შეწყდება საქართველოში, სანამ თქვენ ამ მიწა-წყალზე დააბიჯებთ.

ამრიგად, თქვენი „გადემოკრატება“ მარტოოდენ ფასადის შეცვლა ყოფილა, არსით კი თქვენ იგივე დარჩით, რაც იყავით, ტოტალიტარიზმის, სახელმწიფო ტერორიზმის ერთგული, სულით კომუნისტი, რაც მტკიცდება საქართველოში თქვენი ამჟამინდელი საქმიანობით, სადაც აღორჩინეთ პარტოკრატია და რეპრესიული, ტოტალიტარული რეჟიმი.

მახსენდება კანტის ცნობილი სენტენცია: „გადაფხიკეთ გერმანელი ფილოსოფოსი და თქვენ თეოლოგს აღმოაჩენთა მასში“. რასაც მე ასე მივუსადაგებდი ჩვენს სინამდვილეს: „გადაფხიკეთ „პერესტროიკის“ ნებისმიერი დემოკრატი და თქვენ კომუნისტ-პარტოკრატს აღმოაჩენთ მასში“.

ვით ვირწმუნოთ თქვენი გარდაქმნა, როდესაც თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ შეინანოთ ერის წინაშე თქვენი უმძიმესი დანაშაულები, კვლავ ცოდვას ცოდვაზე უმატებთ და ყოველივეს ძველებურად განაგრძობთ?

თქვენ იმპერიამ მოგავლინათ თავისი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად, ეს იცის ყველამ საქართველოში და ამის გამო დაგიხვდათ მტრულად მთელი ერი. გახსოვდეთ, ქართველი ერი პოლიტბიურო არ არის, მარკებითა და დოლარებით რომ შეიძლებოდეს მისი მოსყიდვა.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ანონიმურ წერილს, რომელიც დასაწყისში ვახსენე. ახლა ვრწმუნდები, რომ ეს არავითარი რუსი და სომეიხი „ნაცისტების“ წერილი არ ყოფილა. ეს იყო იმპერიული სუკ-ისა და თქვენი წერილი, სადაც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული გეგმა საქართველოს განადგურებისა. ბევრი რამ შესრულდა ამ გეგმიდან, დაიწყო ქართველი ერის გენოციდი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მაგრამ ამასთან ერთი იმპერია დაიშალა, ხოლო მეორე დაშლის პირად დგას. ასე რომ, თქვენს გეგმებს ასრულება არ უწერია. ქართველმა ერმა გამოიღვიძა და ამიერიოდან მას ვერავინ მოახვევს თავს მონობის უღელს. იმპერია მოისპობა, ხოლო საქართველო იარსებებს სამარადჟამოდ.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე თქვენ ბრალს გდებთ:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისტემატურ დევნასა და ჩახშობაში უსასტიკესი რეპრესიების გზით, მის დისკრედიტაციაში შინ და გარეთ. ქართველი პატრიოტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დევნა-დაპატიმრებაში, ქართველი პატრიოტის ვ. ჟვანიას დახვრეტაში. „თვითმფრინავის საქმეზე“ დაპატიმრებული ახალგაზრდებისა და მათთან ერთად ცრუ ბრალდებით დაპატიმრებული უდანაშაულო მღვდლის თეოდორე ჩიხლაძის დახვრეტაში, ჟურნალისტ ნაზი შამანაურის მკვლელობაში 1983 წელს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების მოწყობაში, უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზებაში მსოფლიო მასშტაბით.

3. დასავლეთის ქვეყნების დეზინფორმირებასა და დეზორიენტირებაში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

4. საქართველოში კრიმინალური რევოლუციის და სამხედრო გადატრიალების მოწყობაში უკანონო, დანაშაულებრივი ხუნტის შექმნაში, ხელისუფლების უზურპაციაში, ქ. თბილისის ცენტრის დანგრევასა და დაწვაში.

5. საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად კლეპტოკრატიის დამყარებაში, დამნაშავეთა სამყაროსადმი სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებაში, კრიმინალებისათვის ხელისუფლების გადაცემაში.

6. საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1991 წლის 26 მაისის დემოკრატიული არჩევნების მიღწევის განადგურებაში, კანონიერი პარლამენტისა და პრეზიდენტის დევნაში.

7. საქართველოში რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარების ყოფნის დაკანონებაში, მათთვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მოხსნაში, საქართველოში ამგვარი ჯარების ახალი კონტინგენტის შემოყვანაში ყარაბაღის 366 მოტომსროლელი პოლკის სახით, გერმანიიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სახლების მშენებლობის დაგეგმვაში ჩვენს ტერიტორიაზე.

8. საქართველოში კომუნისტური პარტოკრატიისა და მაფიის კვლავ აღორძინებაში.

9. იმპერიული სუკ-ის აგენტობაში და მის თავდადებულ სამსახურში წლების მანძილზე.

10. იმპერიული სუკ-ის აგენტურულ ქსელში საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩათრევაში.

11. სახელმწიფო ტერორიზმში, 1992 წლის იანვარ-თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევა-დახვრეტაში კრიმინალების ხელით.

12. დასავლეთ საქართველოს დალაშქვრა-დარბევაში, მოსახლეობის ძარცვასა და გემოციდში, კუთხური შუღლისა და სეპარატიზმის არნახულად გაღვივებაში.

13. საქართველოში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაციასა და წახალისებაში, თბილისის ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნარკომანებად, კრიმინალებად ქცევაში.

14. პიროვნულად ჩემი და ჩემი ოჯახის, თვით მცირეწლოვანი ბავშვების, დევნაში 20 წლის მანძილზე.

15. კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმების გაძარცვასა და დაწვაში (ქ. თბილისი და დაბა ბიჭვინთა).

16. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ასობრივ რეპრესირებასა და ტერორიზირებაში.

17. გერმანიასთან საძრახის გარიგებაში საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

18. იმპერიის ცენტრის დავალებით ქართველი ერის გენოციდში.

19. სამშობლოს ღალატში.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, მოვითხოვ თქვენგან დაუყოვნებლივ წერილობით პასუხს და ახსნა-განმარტებას. გიწვევთ ტელედებატებში (როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს და არა როგორც არსებული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს“, თქვენი საყვარელი მოსკოვის ტელევიზიით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს თქვენს მიმართ სოლიდარობის თანადგომას და მიკერძოებას. ტელედებატებს ექნება ტელეხიდის ხასიათი.

მზად ვარ უკან წავიღო ჩემი სიტყვები, თუ დამტკიცდება ჩემს ნათქვამში უმცირესი გაყალბება, უზუსტობა ან გადაჭარბება.

თქვენდამი ღია წერილი უკვე დასრულებული მქონდა, როდესაც ხელში ჩამივარდა თქვენი ინტერვიუ „შპიგელისადმი“, სადაც ირკვევა, რომ თქვენ ყველაფერთან ერთად უწიგნურიც ყოფილხართ. კერძოდ, თქვენ, გერმანიის საქმეების ესოდენ დიდმა „ექსპერტმა“ „შპიგელის“ კორესპონდენტის განსაცვიფრებლად განაცხადეთ, რომ თურმე ჰიტლერიც დემოკრატიულად ყოფილა არჩეული, ისევე როგორც გამსახურდია. მან „ზრდილობიანად შეგნიშნათ“, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ სხვა გვერდზე ბრჭყალებში ჩასვა ეს თქვენი დიდი „აღმოჩენა“ და გაგამასხარავათ („შპიგელი“, 14 აპრილი, 1992 წ.). არ ვიცი, სკოლაში რა ნიშანი გქონდათ ისტორიაში, მაგრამ ასეთი რამ დღეს საშუალო სკოლის მოწაფესაც არ ეპატიება. ცნობილია, რომ ჰიტლერი დანიშნა გერმანიის რაიხსკანცლერად პრეზიდენტმა ჰინდერბურგმა, ისევე, როგორც ერთ დროს თქვენ დაგნიშნათ ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის „ცეკას“ პირველ მდივნად, ამაშია თქვენი სულიერი ნათესაობა, ხოლო ჰიტლერის პარტიამ ისევე ვერ შეძლო რაიხსტაგში უმრავლესობის მოპოვება, როგორც თქვენმა პარტიამ საქართველოში, 1992 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში. ასე რომ, ანალოგები უფრო სხვაგან უნდა ეძიოთ. საერთოდ, გირჩევთ, ხშირად ჩაიხედოთ პოპულარულ სახელმძღვანელოებში და ენციკლოპედიებში, მსოფლიო მნიშვნელობის ინტერვიუს მიცემამდე.

**ზ. გამსახურდია**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
1992 წ. 19 აპრილი

# რა საიდუმლოს მალავენ მეგრული გვარები

**რა საერთო აქვთ ბასკებსა და ქართველებს, ცალკე საკითხია, ფაქტი ის არის, რომ ბასკებს დღემდე ისეთი გვარები აქვთ, რომლებიც იგივე მეგრული გვარებია: დანელია, ლატარია, დუდუჩავა, ტყებუჩავა, დუნდუა, ლოლუა, ნოდია, ასკურავა, ეჩიბერია, მელია, სულოგავა, აჩობია, მარია და ა.შ თუმცა დღეს მათ წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი გვარის შინაარსზე. ბასკები ბასკური ენის გაქრობის შემდეგ ხომ არ აილებდნენ ბასკურ გვარებს?**

**იგივე მდგომარეობაა ხეთურ გვარებთან (არა მხოლოდ) დაკავშირებითაც: შარია, გახარია, ოდიშარია, პაჭკორია, თოფურია, ფაცაცია, ფილია, გვალია, ფიფია, ხუცი, შუხურია, მასხულავა, თაქაშთურია, ასიავა, არცავა, გამახარია და ა. შ**

ამასწინათ ამგვარ ინფორმაციას გადავაწყდი სათაურით „რატომ ბოლოვდება მეგრული გვარებია „ია-თი“? ვერსია-პასუხი – „კუნძულ კრეტაზე, კრონოსის სამეფო სასახლის ნანგრევების გათხრისას აღმოაჩინეს თიხის ფირფიტები ლურსმნული დამწერლობით. მათი გაშიფვრის შედეგად (ინგლისელი მეცნიერი ჯონ ჩედვიკი) საყურადღებო ცნობები იქნა ამოკითხული. კერძოდ, ძველ საბერძნეთში და საერთოდ, მიკენურ სამყაროში, ერთი და იმავე სახელის მქონე ორი პიროვნების ერთმანეთისგან გარჩევა ხდებოდა მამის სახელით, მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ არისტოკრატიას, დანარჩენებს კი ერთმანეთისგან განასხვავებდნენ მათი საცხოვრებელი ადგილის სახელწოდების დამატების მიხედვით.

ეს წესი, როგორც ჩანს, ვრცელდებოდა არა მხოლოდ კუნძულ კრეტაზე, არამედ ეგეოსის ზღვის მთელ არქიპელაგზე. ამიტომ, პელასგი მაკრისელები, მეგრელები და ჭანები (ლაზები) ამ წესის მატარებლები იქნებოდნენ. ჯონ ჩედვიკის ცნობის მიხედვით, ამ გვარების დაბოლოებამ მშობლიური პოლისის, ქალაქის სახელწოდება უნდა მოგვცეს.

აქვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ დასაბამიდან, კოლხურ ტომთა გვარები გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და თაობიდან თაობაზე უცვლელად. შესაბამისად, კოლხური ტომის წარმოშობის ადამიანები იმ გვარებს ატარებენ დღესაც, რა გვარებსაც ატარებდნენ მათი წინაპრები, ალბათ, რამდენიმე ათასი წლის წინათ.

„ია-თი“ დაბოლოებული გვარი ბევრია აფხაზეთში და ისინი თავიანთ თავს აფხაზებად მოიხსენიებენ, ვინაიდან, სამეგრელოს ჩრდ-დასავლეთ ტერიტორიას ეგრისის სამეფოდან დაწყებული, ეწოდებოდა აფხაზეთი და იქ მცხოვრები მეგრელები აფხაზებად მოიხსენიებოდნენ, ამიტომ აფხაზებს, ისევე როგორც მეგრელებს, მეგრული გვარები ჰქონდათ და მათი მშობლიური ენა იყო მეგრული. ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთი ღვიძლი კუთხეა სამეგრელოსი და უძველესი აფხაზები მეგრელები იყვნენ.

გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა ჯონ ჩედვიკის მიერ ამოკითხული და გაანალიზებული ლურსმნული წარწერებიდან და დავრწმუნდებით იმაში, რომ ამ გვარების დაბოლოება „ია“ მშობლიური ქალაქის, ანუ პოლისის სახელწოდება უნდა იყოს. გვარის დაბოლოება „ია“ იმ დროის კოლხისათვის თანამედროვე პასპორტის მსგავსი საბუთი იყო და ამტკიცებდა იმას, რომ ის პოლის „ია-ს“ მკვიდრი და ნამდვილი მაცხოვრებელია და გამორიცხული ჰქონდა ყველა შესაძლებლობა, გაესაღებინა თავი სხვა პოლისის მაცხოვრებლად.“

ნურავის მოვედავებით საკუთარი აზრის გამოთქმისთვის, თუმცა, უპირველესად, აღსანიშნია, რომ მეგრული გვარები მხოლოდ „ია“ დაბოლოებით არ არის, „ვა“, „უა“, „ყვა“, ში“, „ბერი“, „სკირი“ და „ჭკორი“, ასევე მეგრული გვარების დაბოლოებებია და თუ „ია-ზე“ დაბოლოებული გვარის მატარებლები „აია-იადან“ იყვნენ, დანარჩენი რომელი პოლისების მაცხოვრებლებად წარმოვიდგინოთ? (ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვთქვათ ორიოდე სიტყვა)

ამავდროულად, ის როგორ არ აღვნიშნოთ, რომ აიეტის ერთ-ერთი და, ფაცია (ფასოფეა) – მინოსის მეუღლე და სწორედ კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედა იყო?

რაც შეეხება მეგრულ და აფხაზურ გვარებს – მიუხედავად მავანთა მიკერძოებულობისა (რაც ძლიერ აზარალებს მეცნიერების არა ერთ სფეროს), ფაქტად დევს, რომ დღესაც კი, აფხაზების უმეტესობას, დაახლოებით 90-92 %-ს, ქართული გვარები აქვს. უფრო ზუსტად, 75-80%-ს მეგრული, დაახლოებით 10-15%-ს ქართული – იმერულ-გურულ-რაჭულ-აჭარული და მხოლოდ 8-10%-ს ურევია ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმისა.

ვრცელი და მოსაწყენი მეცნიერული ნაშრომი რომ არ გამოგვივიდეს, მარტივად ვთქვათ ის, რაც მნიშვნელოვანი და ამავდროულად მარტივად გასაგები ფაქტებია ე.წ მტკიცებულებებით.

აღიარებულია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისი „კოლხეთის სამეფოს“ ეპოქაა (ძვ.წ XV-XIV ს.ს), ანუ ეპოქა, როცა ბერძნებმა ჩვენს ქვეყანას „კოლხეთის სამეფო“ დაარქვეს, მის მკვიდრებს კი „კოლხები“.

ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის სამეფოში 20-ზე მეტი ტერიტორიული ჯგუფია დასახელებული: თუბალები, ჰენიოხები, მესხები, ჯავახები, მანრალები, შქვითინები, დრილები, კორაქსები, მისიმიანები და ა.შ მაგრამ რადგან ბერძნებმა მათ ერთი სახელი „კოლხები“ შეარქვეს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთნი უნდა ყოფილიყვნენ და ერთ ენაზე უნდა ემეტყველათ. (ბერძენი სწავლული ჰეკატე მილეთელი (ძვ.წ VI ს) – „მესხები კოლხებია და მესხეთი კოლხეთშია“) „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს (ძვ.წ V ს) ცნობით, მის ეპოქაშიც კი, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრ-აღმოსავლეთ ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ კოლხები და გავრცელებული იყო კოლხური ენა.

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელსაც დაწყებული სინჯარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე) სუდანი (კოლხ-ქალდების იმპერია), პირინეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მეგრელია“ ეწერა. თუაფსემდე (ნიკოფსიამდე), მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი – მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ – ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძვ.წ VI ს) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.



ვისაც ბერძნებამდე ელადაში უცხოვრია, პელაზგად იხსენიება. ჰომეროსი მას „ღვთის სადარ პელასგოს“ უწოდებს, ჰესიოდე (ძვ.წ VIII ს) და აპოლონიოს როდოსელი დედამიწაზე შობილ პირველ ადამიანად პელაზგს თვლიან, პელაზგისი მიჩნეულია ჰერას წინაპრად. ლაგდება, რომ კოლხთა შთამომავალი პელაზგები, ბერძნებამდელი ელადის უადრინდელესი მოსახლეობა, ძველი საბერძნეთის წინაბერძნული, კერძოდ, კოლხური-პელაზგური კულტურის წიაღსაფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მედიტერანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება პელაზგთა განაყოფების, იტალიელ ეტრუსკთა და ესპანელ ბასკთა მეტყველება. სხვათაშორის, როდესაც მდინარე განსაკუთრებულად ადიდებულია, საეგრელოში იტყვიან „პელაგონი მოსოფუნცია“, დაუოკებელი, უძლეველი, აბობოქრებული ძალა მოდისო...

რუსი მეცნიერი ა. ნოგოვიცინი აღნიშნავს: – „პელაზგები იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად, ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი ბერძნული დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისგან მიიღეს. აქვე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ანბანს ასევე პელაზგურს უწოდებენ.“

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი თავის ნაშრომში „ტროელები და ბერძნები“ პირდაპირ წერდა: – ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოაშინაურეს ცხენი და როგორ ჩანს, ავსტრიამდე მივიდნენ, სადაც ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 2800 წელს შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა – ქართველები...“

ცნობილია, რომ მეფე აიეტის ასულმა მედეამ მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე (სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანი და დღევანდელი აზერბაიჯანი), დაარსა სამეფო, რომელსაც მის საპატივცემულოდ მედეთი-მედეა ეწოდა. ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე, ეს სამეფო ჩვ.წ აღ-ით V-VI სს მიმოხილვებშიც „მედეა-დ“ იწოდება, შემდეგ უკვე, რატომღაც „მედიას“, „მიდიას“ უწოდებენ.

ძველი (V-VI სს) მიმომხილველები კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას, მეფე-ქალის კუთვნილებას უწოდებენ. ინგლისურენოვან გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია „მედეა ზოილი“ – მედეას კუთვნილი ნავთობი. ამ მხარეს ძველთაგან ერქვა „არია“, მოსახლეობა – არიელები. აქვე, ახლოს მდებარეობს ქალაქი მახაჩქალა, „ხაჩქვა“ კოლხურად „თოხნას“ ნიშნავს, „მახაჩქალი“ ე.ი მიწის დამმუშავებელი, მთოხნელი.



ჯონ ჩედვიკი

სიტყვამ მოიტანა – ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი მძიმედ დაავადებულა და საშველი რომ ვერსად უნახავს ტიბეტში წასულა. რომ უთქვამს, საქართველოდან ვარო, მხრები აუჩეჩავთ, მაგრამ როდესაც კოლხეთი უხსენებია, გაოცებულან, კოლხეთიდან აქ რამ ჩამოგიყვანათ, დღემდე კოლხურ მედიცინას ვსწავლობთ და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოსო...

ძვ.წ. XV–XIII საუკუნეებში ქასქ-მეგრულ ტომებს გვარ-სახელები ჰქონდათ. ცნობილია, რომ წინახეთურ მოსახლეობას ქასქები, იგივე მეგრულ-ჭანური ტომები შეადგენდნენ. იმდროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტიპონიმიკის, ქასქური სახელებისა და ცალკეული სიტყვების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ქასქები სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომები არიან. ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში. საინტერესოა გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება „ია“ სუფიქსზე და მეორდება დღევანდელ მეგრულ გვარებში. მაგა-

ლითად: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), გახარია, ქათხარია, ქაშქია (ქასქია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია) და ა.შ

ქასქურ, აშკარად მეგრულ სიტყვების მსგავს სიტყვებს ვხვდებით დღეების დასახელებაშიც: მუნისქა, (მუნიშხა), ჯუმაშხა (ოთხშაბათი), თათისქა (თათიშა) – თახაშხა (სამშაბათი), თუთუსქა – თუთაშხა (ორშაბათი), ციანთისქა – ციანთეშქა – ცაშხა (ხუთშაბათი) და ა.შ

ქასქური სახელები: ასაფლალა (ასაფლალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გიციფირი), ფაათა (ჰაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიფელუ, დადილუ, თუთუ და ა.შ უამრავი სახელი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით გვარის ინსტიტუტი მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში იქმნება და პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერაში – ქორჩილავა, მეორე – ილორის ეკლესიის წარწერაში – კვარაცხელია და ა.შ თუმცა ფაქ-




ტია, რომ წინახეთური პერიოდის ქასქურს ერთი ერთზე იმეორებს დღემდე მოღწეული მეგრული გვარები. ესეც საქართველოს მსოფლიო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთი დაკნინებაა, ვინაიდან გვარის დაფიქსირება საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან მომენტად არის აღიარებული, უნდა მიიჩქმალოს, ფართო წრეებში არ უნდა გავრცელდეს, რომ ძვ. წ. XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კოლხურ (ქართულ) ტომებს უკვე გვარები ჰქონდათ!

უფრო ახლოში რომ გადმოვინაცვლოთ – ეგრისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ლაზეთის საერისთავო, რომელშიც ჭანეთიც შევიდა; ჩრდ-დასავლეთ ნაწილში, ანაკოფიიდან (ახალი ათონი) ნოკოფსიამდე (ტუაფსე) – აფხაზეთის საერისთავო; აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი იმერეთისა და რაჭის ტერიტორიაზე – მარგვეთის საერისთავო. როგორც სხვა, არც ამ მოვლენას მოჰყოლია რაიმე ეთნიკური, ენობრივი ან სარწმუნოებრივი ცვლილებები ვინაიდან ისინი ისევ მეგრელები იყვნენ, უფრო ზუსტად, „ლაზეთში" მცხოვრებ მეგრელს პირობითად დაერქვა „ლაზი", ჭანეთში – „ჭანი", „აფხაზეთში" – „აფხაზი" და „მარგვეთში" – „მარგველი". რა თქმა უნდა, მათი მშობლიური ენა მეგრული იყო, მეგრული ენის ლაზური, ჭანური, აფხაზური და მარგველური დიალექტები. მათ ყველას მეგრული გვარები ჰქონდათ. ეს დაახლოებით ისეთივე მოვლენა იყო, როგორსაც ყოფილი ეგრისის ტერიტორიაზე XIII საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი – ამ ეპოქაში ლაზეთის საერისთავის ის ნაწილი, რომელიც დღევან-დელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ახლადწარმოჩენილ „ტრაპიზონის იმპერიაში" მოექცა, ხოლო იმ ნაწილზე, რომელიც ისევ ეგრისის სამეფოში (სარფიდან მდ. რიონამდე) დარჩა, წარმოჩინდა „გურიის" საერისთავოდ. აქედან მოყოლებული, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მეგრელებს, რომლებსაც ლაზიკის საერისთავოს წარმოჩენის შემდეგ ლაზები ერქვათ, გურულებად „ვიცნობთ". რაც შეეხება მათ გვარებს – დღესაც ბევრი მეგრული გვარია შემორჩენილი გურიაში, რომელსაც თითქმის ვერ ვხვდებით სამეგრელოში, მაგალითად: ჭყონია, ლორია, მალაზონია, დარჩია, გოგუა, როყვა, ინგოროყვა და ა.შ

ასევე, ბევრია მეგრულიდან „გურულ სტილზე" გადაკეთებული გვარები: ბარამია – ბარამიძე, გვარამია – გვარამიძე, გეგია – გეგიძე, დოლია – დოლიძე, სირია – სირაძე, გოგუა– გოგუაძე, შონია – შონიძე, ფირცხელავა – ფირცხელაიშვილი, ხინთიბაია – ხინთიბიძე, ბერია – ბერიძე, დუმბავა – დუმბაძე და ა.შ გარდა ამისა, ბევრია გურიაში ლაზური გვარი – ჯაში, ტუღუში, ხალვაში, მემიშიში და ა.შ

IV-VII საუკუნეებში ეგრისის სამეფოს მეფეები იყვნენ ლაზური დინასტიის წარმომადგენლები, რის გამოც ეგრისის სამეფო იწოდებოდა „ლაზეთის სამეფოდ" და მის მკვიდრი მოსახლეობა (მეგრელები, აფხაზები და მარგველები) – „ლაზებად".

იგივე პროცესი განმეორდა VIII-X საუკუნეებში, როდესაც ეგრისის მეფეები აფხაზური დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ – ეგრისის სამეფო იწოდებოდა „აფხაზთა სამეფოდ", უფრო ზუსტად, „ეგრის-აფხაზთა სამეფოდ" და მისი იგივე მკვიდრი მოსახლეობა – „აფხაზად".

სხვათაშორის, ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს ყოველთვის ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, მაშინაც კი, როდესაც მას „აფხაზთა სამეფო" ერქვა, ხოლო მოსახლეობას – ლაზებად, თუმცა იცოდნენ, რომ ისინი მეგრელები იყვნენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბიზანტიელმა სწავლულმა ბიზანტიურ ენციკლოპედიაში ალბანელები მეგრელებად მოიხსენია და არა – ლაზებად.

ასევე, მიზეზთა გამო რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სომეხი მეცნიერები ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილს ყოველთვის ეგრისის სამეფოდ მოიხსენიედნენ და მის მკვიდრებს – მეგრელებად, ეგრისის სამეფოში ლაზების თუ აფხაზების ზეობის ეპოქებშიც. ბუნებრივია, მათ ხომ უკეთ მოეხსენებოდათ, ვინ იყვნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეები...

**გიორგი ჩხეიძე**

**(დასასრული იქნება)**



# გიორგი ყორღანაშვილის ხსოვნას

**ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო! ისე იცხოვრა, როგორადაც წესიერი ადამიანები ცხოვრობენ – ჩუმად, უპრეტენზიოდ, მოკრძალებულად და დიდი, ადამიანური ტკივილებით აღსავსემ...**

**რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული ყრმობაში ისეთ პატრიოტულ გარემოში იზრდებოდა და ისეთი ქართველი პატრიოტები იყვნენ მისი ცხოვრების მეგობრები, სხვანაირი რომ ყოფილიყო, წარმოუდგენელია!**

**ვერ იტანდა იმ ადამიანებსა თუ პოლიტიკოსებს, ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ დახლი გამხდარიყო და მუდმივად მათი ოპონირების რეჟიმში იდგა!**

**ერთხანს რეპეტიტორობით გაჰქონდა თავი და ფიზიკა-მათემატიკაში ამეცადინებდა ვერის უბნის აბიტურიენტებს, მოგვიანებით „ტაქსაობდა" კიდეც, ოჯახი რომ ერჩინა და გუშინ ნაქირავები ოთახიდან რომ გაასვენეს, ესეც კანონზომიერი იყო იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ზედმიწევნით პატიოსანი და პატრიოტი ადამიანების ადგილი კიდევ დიდხანს არ იქნება!!!**

**ამიტომაც ვეღარ გაუძლო მისმა გულმა ამდენ უსამართლობას და წავიდა! წავიდა ჩვენი გაზეთის ერთგული რესპონდენტი და გულშემატკივარი გიორგი ყორღანაშვილი თავის ვაჟთან და დედასთან შესახვედრად... იმ დიდ ქართველებთან შესახვედრად, რომლებსაც ახალგაზრდობიდან იცნობდა , მეგობრობდა და საქართველოს მომავალზე განსჯით არაერთ ღამეს ათენებდნენ!**

**მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, რომელსაც ეთაყვანებოდი და რომელიც სიცოცხლესაც გერჩივნა!..**

**„საერთო გაზეთის"**
**რედაქცია**

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

**– გთხოვთ, გაგვაცნოთ არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები:**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-74-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

**– მუხლი 66. არასრულწლოვნის სასჯელის სახეები**

არასრულწლოვნის სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) შინაპატიმრობა;

გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

ე) თავისუფლების შეზღუდვა;

ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

**მუხლი 67. არასრულწლოვნის ძირითადი და დამატებითი სასჯელები**

1. არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

2. არასრულწლოვანს ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

3. ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ 1 დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

4. არასრულწლოვანს სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს ამ კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 1 ან რამდენიმე ღონისძიება.

**მუხლი 68. ჯარიმა**

1. არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

2. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

**მუხლი 69. შინაპატიმრობა**

1. შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.

2. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით.

3. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

4. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

5. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**მუხლი 70. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**

არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით.

**მუხლი 71. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**

1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

2. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს.

3. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

5. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის.

**მუხლი 72. თავისუფლების შეზღუდვა**

არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადა 3 წელია.

**მუხლი 73. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა**

1. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

2. 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მიუხედავად.

**მუხლი 74. პირობითი მსჯავრი**

თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.

# მილიონერები, რომლებიც არ იშურებენ მილიარდებს სიცოცხლის გასახანგრძლივებლად

### რობერტ მილერი

კანადელი მილიარდერი რობერტ მილერი იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში და მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა ფაქტია,



რომ ის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე ფიქრობს და ამ მიზნით, მან თავისი ბედი დაუკავშირა უკვე ნახსენებ “ალკორ ლაიფ იქსთენშენს” – მილერი სიკვდილის შემდეგ კრიოგენურ კაფსულაში მოხვდება და თუკი გამოიგონებენ სიკვდილის წამალს, ის დაუბრუნდება ამქვეყნიურ ცხოვრებას.

### დონ ლოჰლინი

84 წლის მილიარდერი და ლას-ვეგასში კაზინოს მფლობელი დონ ლოჰლინი დიდ ფულს ხარჯავს კრიონიკის განვითარებაზე – ადგილზე, სადაც გარდაც-



ვალების შემდეგ გაყინული ადამიანების გაცოცხლება უნდა დაიწყოს. გარდა ამისა, ლოჰლინი კომპანია “ალკორ ლაიფ იქსთენშენის” კლიენტია. ეს კომპანია ადამიანებს მათი გარდაცვალების შემდეგ აზოტში ინახავს, რათა მომავალში მათი გაცოცხლება მოხერხდეს. საინტერესოა, რომ ლოჰლინი თავისი ფულის გაყინვასაც გეგმავს – მას სიკვდილის შემდეგ გაცოცხლების იმედი აქვს და ფიქრობს, რომ ფული აუცილებლად გამოადგება.

### დევიდ მერდოკი

92 წლის მილიარდერი დევიდ მერდოკი არ ცხოვრობს იმის ილუზიით, რომ უკვდავი გახდება, მაგრამ ფიქრობს, რომ სავსე-



ბით რეალურია, ადამიანმა 125 წლამდე იცოცხლოს. ამ მიზნით, ის სპეციალურ ვარჯიშებს ასრულებს და დიეტას იცავს – მხოლოდ ბოსტნეულსა და თევზეულს მიირთმევს. მერდოკი დიდ ფულს ხარჯავს სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მომუშავე სამეცნიერო პროგრამებზე. მან დააარსა ორი სამეცნიერო ინსტიტუტი, სადაც სწავლობენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, იკვლევენ გენეტიკურ გადაცდომებსა და დაავადებების მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებებს.



# მხიარული გოჭი ჰოლივუდში

ასე დაარქვეს ტაბლოიდებმა სკარლეტ იოჰანსონს – (როცა ის ათი წლის ასაკში ეკრანზე გამოჩნდა) „მხიარული გოჭი დისნეის მულტფილმიდან“, უფრო მეტიც, ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მას შემდეგ დიდი არაფერი შეცვლილა...

სკარლეტ იოჰანსონმა საკმაოდ მოკრძალებულად დაიწყო. ერთი შეხედვით – პუტკუნა ქერა, რომელსაც მრავალი ნაკლი ჰქონდა: იყო დაბალი, მრგვალი სახით, ცელულიტით და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, მოდური ჟურნალების აზრით, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, განსაკუთრებით, საღამოს მაკიაჟით, მივხვდებით, რომ შემოქმედს მისთვის არაფერი დაუკლია. მას დიდი წარმატება სოფია კოპოლას ფილმმა „თარგმანში დაკარგულები“ მოუტანა. ამ ფირში სკარლეტი ბილ მიურეისთან ერთად თამაშობდა და ეს მათ კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სურათად იქცა. 4 მილიონიანი ბიუჯეტით, ფილმმა 120 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და მრავალი ჯილდოც, მათ შორის „ოსკარი“, მიიღო - სკარლეტისთვის კი სავიზიტო ბარათად იქცა. მოდურმა რეჟისორებმა აქტიურად დაიწყეს გოგონას მიპატიჟება თავიანთ ფილმებში. „თარგმანში დაკარგულებს“ იმავე 2003 წელს, პიტერ უებერის „გოგონა მარგალიტის საყურით“ მოჰყვა, რომელშიც სკარლეტის პარტნიორი პოპულარული ბრიტანელი მსახიობი კოლინ ფერტი იყო.. სკარლეტი თვალის დახამხამებაში გოჭიდან გედად გადაიქცა. ის მართალია ცოტა სავსე იყო, მაგრამ საკმაოდ სექსუალური. ამასთან ერთად გოგონას არასდროს აშინებდა ღია სცენები და მარტივად იხდიდა კამერის

ის მალევე შეამჩნიეს ყველაზე დიდმა სტუდიებმა. აქ კი მსახიობი ძალიან მალე ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. ერთ მხრივ, დამოუკიდებელი, შედარებით ღარიბი, მაგრამ სახელგანთქმული ოსტატები, როგორებიც სოფია კოპოლა და ვუდი ალენი არიან, რომლებიც წარმოდგენას გიქმნიან როგორ უნდა ითამაშო და გზრდიან. ხოლო მეორე მხრივ – გიგანტური ჰონორარები, მსოფლიო სახელი და პაპარაცებთან მუდამ კატა-თაგვობანას თამაში.

სკარლეტმა ეს ყველაფერი იდეალურად შეათანხმა. დაიწყო 2010 წელს „რკინის კაცი 2“-ში მონაწილეობით, 2 წლის შემდეგ „შურისმაძიებლებშიც“ გამოჩნდა და ახლა კი ის ჰოლივუდის იმ ლამაზმანებს შორისაა, რომლებიც ძალიან პოპულარულებიც არიან და დამოუკიდებლობის პრეტენზიაც აქვთ.



# ჩინელი ბიჭუნა – ქირით

იმ ახალგაზრდების პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც „მეორე ნახევრები“ არ ჰყავთ, ჩინელებმა უცნაური გამოსავალი იპოვეს.

ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა ინტერნეტ-ბაზარმა „ტაობაომ” გოგონებს, რომლებსაც „ბოიფრენდებიც“ კი არ ჰყავთ, მათი „ქირაობა“ შესთავაზა.

ეს სიამოვნება დღე-ღამეში 50 დოლარი ღირს. ზოგიერთ მომსახურებას კი ცალკე პრეისკურანტი აქვს.

მაგალითად: ვახშამი საათში 5 დოლარი ღირს, ლოყაზე კოცნა – 8 დოლარი. თუ დროებითი „ბოიფრენდი“ ჩინურ ახალ წელს დამქირავებლის ოჯახთან გაატარებს და საწოლზე დაიძინებს 80 დოლარი უნდა გადაუხადონ, მისი დივანზე დაძინება კი „მასპინძელს“ 95 დოლარი დაუჯდება. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში სექსი არ შედის.

ჩინეთში მამაკაცებსაც შეუძლიათ „გერლფრენდები“ დაიქირაონ, თუმცა, ზოგადად, ქალები უფრო შეზღუდულები არიან. ამიტომაც, მოთხოვნა გასაქირავებელ მამაკაცებზე გაცილებით მეტია.

მოამზადა
**თამო კუშელავამ**
555 46 08 04






## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com